

აღმოსავლური ბიზნესი

გადასვლის უწყვეტი პროცესი





ელჰერა ბორიუნინა

*მსწავლებლის
მოგზაურობა კავკასიაში*

გამომცემელი - ქალთა არასამთავრობო
ორგანიზაცია - კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

დაიბეჭდა შვედეთის ქალთა ფონდის Kvinna till Kvinna-ს მხარდაჭერით

ქუთაისი
2010

„კაქცინა გულბრილოვის წინააღმდეგ“

„ის ერთ-ერთია იმ ადამიანთაგან, რომლებიც თავგამოდებით იცავენ ზნეობრივ კრიტიკრიუმებს, გამომუშავებულს რუსი ერის ისტორიითა და კულტურით“, - ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინათ დაინერა ქალბატონ ელვირაზე. მართლაც, ყველას არ ძალუძს, ამაღლდეს სხვებზე სიტყვებით - „ასე მგონია, მე იმ ომში მომკლეს“, და საკუთარი სულის ლუსტრაციის კიდევ უფრო გამოავნებელ შრეებს



გვამზიროს: „რამ განგაცვიფრათ ყველაზე უფრო ომის მრავალბმინობაში? სასონარკვეთამ, სიძულვილმა, შურისძიების წყურვილმა?!“ - და პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე: - „ადამიანურობამ“. ამის შემდეგ კი ყველას, ვისაც გაოგნებული ჟურნალისტივით აღმოხდება - „ნუთუ?!“ - აუხსნას: „ომში ყველაზე განსაცვიფრებელი ადამიანურობაა. ცხელ წერტილებში ცხოვრების აღქმა იცვლება. იქ იბადება განცდა სიცოცხლისა, როგორც საჩუქრისა. რატომღაც, საშინელებათა წიაღში ჩნდება წყურვილი ყოვლისმიტევებისა, თანალმოზისა“.

შეიძლება საუკუნე ვუმზიროთ ერთსა და იმავეს და დავინახოთ აბსოლუტურად სხვადასხვა სუბსტანცია. ჩვეულებრივი მოკვდავნი ომში და ომის დროს სიკვდილს მზერენ, მატერიალურ და სულიერ ნგრევას, სიძულვილს - რაც სრულიად გასაგებია. მასწავლებელი ნოვოსიბირსკიდან (ასე უნდა ვიცნობდეთ ელვირა გორიუხინას, ასეთია მისი ნება) კი ომის სასტიკი ბილიკებით მიდის თითოეულთან, აყურადებს სიცოცხლეს, მისხალ-მისხალ კრეფს სიკეთის მარცვლებს, როგორც თვითონ ამბობს - ასწავლის და თვითონაც სწავლობს.

ამ არაჩვეულებრივ ადამიანს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს.

დაიბადა 1932 წელს. 1954 წლიდან 2000 წლამდე იყო მასწავლებელი ნოვოსიბირსკში. 1954 წლიდან 2000 წლამდე - ნოვოსიბირსკის სახელ-

მნიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის თანამშრომელი (ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის პროფესორი). 1997 წლიდან თანამშრომლობს „ნოვია გაზეტასთან“...

80-იან წლებში ნოვოსიბირსკში დააარსა კინომოყვარულთა კლუბი „დიალოგები“, სადაც თავისი ფილმებით ჩადიოდნენ აბულაძე, ჩხეიძე, ზანუხი, ნორშტინინი... ეს მისი მეტად მნიშვნელოვანი ღვაწლი იყო კულტურათა დიალოგის სკოლის შექმნაში.

მიღებული აქვს უამრავი პრემია. მათ შორის სამი, როგორც ჟურნალისტ-მშვიდობისმყოფელს.

კავკასია, საქართველო მისთვის მარადიული მიზიდულობის ცენტრია. ერთ-ერთი თავისი ვიზიტის დროს 1992-ში სოხუმში, საომარი დაპირისპირებების ეპიცენტრში აღმოჩნდა, პირველი შეხება ომის სისასტიკესთან აეროპორტში ნანახი ელდით გულდაფლეთილი ქართველი მამა იყო, პანანა შვილის ცხედართან. იმ დღემ სამუდამოდ შეცვალა მისი ცხოვრების რიტმი, ბიძგი მისცა შემდგომ მოგზაურობებს. უბედურებათა მენყერმა კავკასიაში მოგზაურობები მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახადა.

აფხაზეთი, ყარაბაღი, კოდორი, სუმგაითი, ცხინვალი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი...

- მასწავლებელი ნოვოსიბირსკიდან (ასე გვეცნაურება ჩვენი დროის უდიდესი ჰუმანისტი, პროფესორი, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, ეთნოკონფლიქტოლოგი, ჟურნალისტი) ათი უსაშველოდ გრძელი წელი ივლის ომების ეკლიანი ბილიკებით, რათა ადამიანებში სიკეთის მარცვალის გადაარჩინოს. თან დაჰყვება კოლეგების მონივნება, სამხედროების გაოგნება და რიდი, ბოევიკების მდუმარე პატივისცემა, ასობით ადამიანის სასოებით მიპყრობილი იმედის მზერა.

„ელვირა ნიკოლოზის ასული ძალიან სხვანაირი ჟურნალისტია. ის არ მიეშურება იქეთკენ, სადაც მისი კოლეგები... ის მიდის ბავშვებთან და მასწავლებლებთან და უტარებს თავის გაკვეთილებს. ის ყოველთვის უბრუნდება ერთსა და იმავე ადამიანებს“, - სიყვარულით წერენ მასზე კოლეგები. თვითონაც აღიარებს: „წესად მაქვს: ვცდილობ, დავუბრუნდე ერთსა და იმავე ადამიანებს, რადაც არ უნდა დამიჯდეს ეს“.

„მას არაფერი მოაქვს თან. მხოლოდ ხელს გინვდით და გეუბნებათ, მე თქვენთანა ვარ. ან საერთოდ არ ამბობს არაფერს, მაგრამ ყველას ესმის“.

„ადამიანს უნდა გაუჩნდეს გრძნობა, რომ არ დავინწყებიათ. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ ვიღაც გულგრილი არ არის იმის მიმართ, ცოცხალია ის თუ არა!“ ეს მისი აღსარებაა, მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია, შეძენილი ათასების ტკივილის, ტანჯვის თანაზიარობით.

ეს ყველაფერი უნდა განიცადო, რომ შემდეგ მოვიდეს აზერბაიჯანელი ტყვე ჭაბუკის და სომეხი მედლის, ნარინეს სიმართლის განცდა.

ყველა უსამართლობის გამო საერთო პასუხისმგებლობის გაცნობიერება ცხოვრების სიმართლის წინაშე, - ასე უწოდებს მსგავს სულიერ მდგომარეობას, როდესაც ისმის მაღალი სულის ღაღადისი: „მაპატიე, ჩემნეთო, თუ შეგიძლია - მე მაპატიე!“ და ყოველ ჩვენგანთან ძალიან მარტივად მოდის გაგება იმისა - **რატომ არ შეიძლება ომი!**

„ის არა მხოლოდ აღწერს მოვლენებს თავის ირგვლივ, არამედ ცდილობს, აღადგინოს სიკეთის ბალანსი“- ისევ მისი კოლეგები „აგრძელებენ განცვიფრებას“. თუმცა მისი არ უკვირთ მათ, ვისი ფარღალა ქოხის კარებიც ოდესღაც უკითხავად შეალო და სამუდამოდ იქ დარჩა. რადგან ეს „მათი“ ელვირაა, მათი სულის ნაწილად ქცეული. ელვირა, რომელიც მთელი წელი მხოლოდ იმ წადილით სულდგმულობს, რომ ელირსება ნანატრი შვებულება და იმ ქოხის კარებს ხელმეორედ შეაღებს, ახლობლებად ქცეულ მონატრებულ ადამიანებს ჩაეხვევა, მათ ახალ ჭირ-ვარამს თუ სიხარულს გაიზიარებს... და ეს მთელ კავკასიაში, იქ, სადაც ყველაზე მეტად ჭირს სუნთქვა...

უნებლიეთ მიდიხარ დასკვნამდე: სიკეთე ერთჯერადი კატეგორია არ არის. როცა მზერ მსგავს სურათებს, სირცხვილი გიპყრობს ყველა იმ მომენტის გამო, როცა ვილაცისთვის გითანაგრძნია, ვიშვიშით ნუხილი გამოგიხატავს, „ერთჯერადი“ სიკეთით მის სულში იმედი ჩაგისახავს და მეორე წუთას სამუდამოდ დაგვიწყნია...

„ვაქცინა გულგრილობის სანინალმდეგოდ“. ეს ფრაზა ქალბატონ ელვირას საგაზეთო წერილის სათაურიდანაა. თავისი ცხოვრების მავა-

ლითით მან ეს ვაქცინა არა მარტო დაგვიტოვა, ფაქიზად აგვცრა კიდევ, სულის შებერვით ტკივილები დაგვიამა და სულიერი კათარზისის გზას შეგვაყენა.

„მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში“ დამსახურებულად იკავებს ადგილს ტოლსტოისა და სოლჟენიცინის უკვდავი ქმნილებების გვერდით“, - ასეთი შეფასება ჰქონდა დიდი ხელოვნების ჭეშმარიტ შემფასებელთაგან ნანარმოებს.

ავტორი ახერხებს, ყველა ეროვნების მკითხველს ესაუბროს ენაზე, რომელსაც კაცთაშორის სიკეთე, სიყვარული ჰქვია. ამ „საგანში“ კი ქართველ მკითხველს დიდებული მოძღვარი ელოდება - ელვირა გორიუხინა - მასწავლებელი ნოვოსიბირსკიდან, რომელიც გვასწავლის, რომ „მარტოობაში უბედურება ორმაგდება“ და ამიტომ ჩვეული სიჯიუტით ავლებს ჩვენს სულებში ხნულს სიკეთის მარცვლის გასაღვივებლად, მონანიების, მიტევების და მოყვასის სიყვარულის ყოვლისმომცველი გრძნობების გასაღვიძებლად.

ნარკვევი პირველი

კომონის ხეობის შვილები

„ეს 14 აგვისტოს მოხდა. ჩვენ სახლში, სოხუმში ვიყავით. დაინყო საშინელი სროლა. სოხუმში გემი შემოვიდა, რომელმაც სოხუმის და მისი შემოგარენის დაბომბვა დაიწყო. ჩვენ გვეშინოდა და თავშესაფარში ვიმალებოდით. მოვიდა ბიძაჩემი, ჩავსახა მანქანაში. ჩვენს გარდა ბევრი ხალხი იყო, ყველანი სოხუმში წავედით. ერთი წლის ბრძოლების შემდეგ სოხუმი დაეცა. ეს ყველაფერი 1993 წელს მოხდა“.

ნანული გულბანი, 14 წლის

„ამ საშინელ ომში ჩემთვის ყველაზე ძვირფასი დავკარგე - დედა. დავკარგე, როდესაც ყველაზე უფრო მჭირდებოდა. ჩემი უფროსი ძმაც დაიკარგა. ის იბრძოდა და დაიღუპა. ისე ახალგაზრდა იყო, რომ წვერ-ულვაშიც კი არ ჰქონია. სრულიად ახალგაზრდა წავიდა საკუთარი მიწის დასაცავად. ეს ჩვენი ოჯახის საშინელი ტრაგედია იყო. ჩემს გულში ამან ზღვარი გაავლო. ხომ შეიძლებოდა, ეს საშინელი ომი არ დაწყებულიყო. ჩვენი სულები გათელილია!“

მაია გუჯეჯიანი, 13 წლის

„სოხუმის დაცემა. 1993 წლის 16 სექტემბერს ომი განახლდა. 27 სექტემბრის 15 საათზე სოხუმი დაეცა. ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი. მსოფლიოს ყველაზე თბილი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული და სავსე - თვალთა მკვდრებით. ამ საშინელი წუთების დავინწყება შეუძლებელია. მე ამას ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ“.

ნანა ოყრეშიძე, 15 წლის

„სოხუმში ომი მიდიოდა. მე საშინლად მტკიოდა კბილი. დედამ დილით კბილის ექიმთან წამიყვანა. ექიმმა შემეცოდა. გმირი მინოდა, რადგან ქალაქში ვარ იმ დროს, როდესაც დაბომბვები მიდის. კიდევ რომ მოვმკვდარიყავი, სოხუმში დავრჩებოდი. კბილი ამომიღეს. დედამ საჩქაროდ წამიყვანა. ამ დროს დაბომბვა დაიწყო. ყუმბარები სახლებს ხვდებოდა. დედას ძალიან შეეშინდა. ცდილობდა, ამფარებოდა, ფიქ-

რობდა, ამით გადამარჩენდა. ორივენი შიშისგან ვკანკალებდით. მე ამას ვგრძნობდი. ქუჩებში მკვდრები ეყარა. სახლები იწვოდა. მე და დედა შემთხვევით გადავრჩით. ეს ყველაზე საშინელი დღეა ჩემს ცხოვრებაში“.

ლევან პირველი, 15 წლის

„მეორე კლასში ვსწავლობდი, როდესაც დაიწყო ძმათამკვლელი ომი აფხაზეხსა და ქართველებს შორის. ეს იყო მტკიცუნულად მოფიქრებული ომი. დღემდე ბოლო არ უჩანს ადამიანთა ტანჯვას. მშიერ-მწყურვალი ხალხი სამშობლოს საზღვრებს გარეთ არის გაფანტული. მე, დევნილს, ჩემი სახლი და ჩემი სკოლა მენატრება. ჩემად ვერ აღვიქვამ სკოლას, რომელშიც ახლა ვსწავლობ“.

სოფიკო ჩოფლიანი, 11 წლის

„1994 წლის მარტში ბომბავდნენ კოდორის ხეობის სოფლებს. მამა პოზიციებზე იყო. დედამ არ იცოდა, სად დავმალულიყავით. გავიქეციტო ტყეში. დიდი შიში გადავიტანე, მეგონა, ცხოვრება იქ დამთავრდა. მივხვდი, რომ მტრისთვის სულერთი იყო, სად ბომბავდა, ვის ბომბავდა“.

სოფიკო ჯაჭვლიანი, 13 წლის

ნარკვევი მეორე

„ჯანჩენ ისინი, ვისაც არაფრის ეშინია...“

ავტობუსი ერევანი-სტეფანაკერტი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. 14-16 საათის გზა მთელი ეპოპეა ხდება. თანამგზავრებს ისე ეჩვევი, დაშორება გულს დანით გისერავს.

ლუსია ექთანია ლაჩინიდან. ქმარი 1992 წლის 29 ივლისს დაელუბა. 27 ივლისს ლუსიაც დაიჭრა. მათი გოგონა ლანა მამის გარეშე დარჩა. ახლა მას ლანგარი უჭირავს. ლანგარზე ნამცხვარია. სახლში მიაქვს. პირველი ულუფა მე მერგო, როგორც სტუმარს რუსეთიდან. ლანა მთელი გზა სამველს არ შორდება, ჩვენი მძღოლის შემცვლელს. სამველს შვილი დაელუბა. „შვილიშვილები არ მეყოლება“. ამ სიტყვებში უიმედობა და ტკივილია. მინდა ერთი შეკითხვა დავსვა, რომელიც დიდი ხანია, ტვინს მიბურღავს. ეს შეკითხვა, სიმართლე ითქვას, მთლად ჩემი არ არის. ის ჩემმა სტეფანაკერტელმა მეგობარმა ვიქტორია ვოსკანიანმა დასვა: „ღირდა კი ყარაბაღის დამოუკიდებლობა ამდენ მსხვერპლად?“ ერთხელ ვიქტორიამ მკითხა, თუ, უბრალოდ, ფიქრები ხმამაღლა გააჟღერა: „როგორ ფიქრობ, მათ, ვინც ეს დაიწყო, ესმოდათ, რა მსხვერპლი იქნებოდა გასაღები? წინასწარ რომ სცოდნოდათ ყველაფერი, მაინც ასე იმოქმედებდნენ?“

მსხვერპლი ყარაბაღში იმდენად დიდია, რომ ეს შეკითხვა მუდამ თან მახლავს. სამველი მიხვდა, რისი კითხვაც მსურდა. ეტყობა, ეს მისი კითხვაც არის. „იცი, ყოველთვის ვეკითხები ჩემს თავს: რატომ უნდა ვიყო მე კარგად? დაე, ვიყო ცუდად. ოღონდ შვილიშვილები იყვნენ კარგად, თუნდაც სხვისი... შეხედე, რა სილამაზეა! ფუნჯს ვინატრებდი ახლა! ეს ყველაფერი ნახატში ასახვას ითხოვს... არა?“

კი, ეს ყველაფერი ნახატში ასახვას ითხოვს, სამველ. ოღონდ, ის კი არ ვიცი, როგორ უნდა დახატო...

ერევანი-სტეფანაკერტის ტრასაზე ერთსაათიანი მონაკვეთია, როდესაც შენ მუდმივად ხედავ დიდ მასის. არც ერთი წამის გაელვება არ ჰგავს მეორეს. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მასისთან ერთად მოდის ვერტიკალის შეგრძნება, როცა მიწიერი ყოფიერება ნარანარად გადადის

არამინიერში. იმის შეგრძნება, რაც ჩვენი ცხოვრების საზღვარს მიღმა ძევს, სახიერ ფორმებში მხოლოდ აქ გეძლევა, აქ, სადაც სული იძენს უცნაურ, მუდმივად ცვალებად მოხაზულობას. გეჩვენება, რომ შენ სულის მოძრაობას ხედავ. ეს მთა კი არ არის შენს წინ, არამედ რომელიღაც სულიერი სუბსტანცია, ბოძებული იმისთვის, რომ შენ შენს ყოველდღიურობაში არ მიგავინყდეს, რომ არსებობს ის, უმაღლესი აზრი შენს ხანმოკლე და დროებით ამქვეყნიერებაში. მე კარგად მესმის სომხების სიყვარული მასისისადმი. სხეული ნატრულობს სულს, ძალით განდევნილს. ასე იქნება ყოველთვის. შემთხვევას ვერ ვიხსენებ - ავტობუსში სიჩუმემ არ დაისადგუროს, როდესაც ღრუბლებიდან ან ნისლიდან გამონათებას იწყებს დიადი სულის კონტურები, რომლებსაც ამ შემთხვევაში მთების ფორმა აქვს მიღებული. მასისი სულში სამუდამოდ შემოდის და იქ დიდების შეგრძნებასთან ერთად რაღაც უცნაურ განგაშს გისახლებს, რომლის არსსაც მე ვერ გავიგებ. მაგრამ ეს განგაშის გრძნობა არსებობს ყველაში, ვინც კი მასისის გავლენის ქვეშ ექცევა.

„თუ მოსკოვი მასისის ალების ნებას დაგვრთავს, ხვალ ის ჩვენი იქნება“, - გვაფხიზლებს თანამგზავრის სიტყვები და ჩვენ დროებით ვთავისუფლდებით მასისის ძალაუფლებისგან, რომ მერმე საკუთარი ხედვითა და სულით კვლავ ჩავეყვინთოთ დიადის მონატრების ანკარა გრძნობაში.

ჩემი ხნისა და ოდნავ უმცროსი ასაკის ადამიანები ჯერ კიდევ შეიგრძნობენ ერთმანეთს ძმებად. არავის ძალუძს შეგუება დანაკარგებთან, იმასთან, რომ თავისუფლად ვერ გადაადგილდები და ცხოვრობ შენი ყოფილი სამშობლოს სივრცეში. ჩემი მეზობელი იური, თავის მეგობართან ერთად, მარდაკერტში მიდის, საავადმყოფოში - მეგობარმა შეტყობინება მიიღო, რომ მისი ჯარისკაცი შვილი მძიმედ დაავადდა. მიდიან და არ იციან, ცოცხალია, თუ არა. „მე რუსეთი მესიზმრება. იქ დიდხანს ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. სად არის ხე, სად? რა დაიჩემე - მთები, მთები... ხე მანახე!“ ხეები არ არის. მე არ შემიძლია, იურის ხე ვანახო. „მთები? ღმერთმა დამიფაროს! ქვეყნად ყველაზე უფრო აქ დამარხვის მემუნიია. წარმოიდგინე, აქ მიცვალებულს მინას კი არა, ქვებს აყრიან. თუ აღვსდექი, ვერ გამოვალწევ. შენ ეს შეგიძლია გაიგო? ვერასოდეს გამოვალწევ“.

იური გროზნოში ცხოვრობდა. ომის დაწყების შემდეგ სომხეთში გადმობარგდა. გროზნოში სომხები ბევრნი იყვნენ - ხელოსნები, მასწავლებლები, ექიმები...

...იური ჟირინოვსკიზე: „ყოველი წარმოქმნილი სიტყვის შემდეგ ის საავადმყოფოში უნდა წვებოდეს. თვითონ მიხვდებით, რომელში“.

აი, ლაჩინიც - ავტობუსიდან ბევრი ჩამოდის, მათ შორის ლუსია - ქალიშვილთან ერთად. ერთი წლის წინ ლაჩინი დაცარიელებული მეჩვე-
ნა. ახლაც იგივე ნანგრევები ჩანს, მაგრამ ბევრ ადგილას ელექტრონის
შუქი აპობს წყვილად. ვის შეუძლია აქ ცხოვრება? ამბობენ, რომ უკვე
ხუთასი ოჯახი ჩასახლდა. პირობები აუტანელია, მაგრამ ადამიანები მა-
ინც ცხოვრობენ.

ყველაზე მეტად იმან განმაცვიფრა, როდესაც ვნახე ისინი, ვინც
ავტობუსს დახვდა. ახალგაზრდა მამაკაცები, წარმოსადგეგები, ლამა-
ზები, შავი წვერი და დიდრონი თვალები აქვთ, მათი შემხედვარე ვერც
იკითხავ: როგორ შეიძლება აქ ცხოვრება? ამ თვლებში არის რაღაც
იმაზე მეტი, ვიდრე იმ ცხოვრების ასახვა, რომელიც ირგვლივია. რო-
გორ მოხვდნენ ეს ადამიანები ლაჩინში? რისი იმედი აქვთ? ლუსიას გო-
გონა სამველსაა ჩახუტებული და დიდხანს არ უშვებს. მერმე ლუსია
სიბნელეში იკარგება და მისი ხმა მესმის: „თუ ჩამოხვალ, ელვირა, ექთა-
ნი იკითხე და ყველა მოგასწავლის“. მე ვხედავ ლუსიას ფესტს, მიმარ-
თულს სახლისკენ, რომლის ნახევარი ნანგრევებშია, მეორე ნახევარში
კი ფანჯრებზე მინების ნაცვლად ჭრელი ნაჭრებია აფარებული.

ღმერთმა მოგცეს ძალა, ლუსია. თუ შენ, დაჭრილმა, ქმრის დაღუპ-
ვა გადაიტანე, დანარჩენსაც გაუძლებ.

თარგმანი სომხურიდან

ნარინე მოვსესიანი (დავარქვით მას ასე) მედდაა. პროფესიით -
ფრანგულის მასწავლებელი. ერევნიდანაა. როდესაც ყარაბაღში ომი
დაიწყო, ფრონტზე წავიდა. ნაწილი, სადაც ნარინე მსახურობს, მარდა-
კერტშია განლაგებული.

საუბარი არ გამოგვდის. ლაპარაკი არ უნდოდაო, ვერ იტყვი, ჩემთან
შესახვედრად თვითონ მოვიდა. მისთვის მიუღებელი ჩემი შეკითხვები
იყო. მხოლოდ დღის ბოლოს ძლივს მივხვდი, რომ ნარინეს ქცევაში არის
საკუთარი სიმართლე, რომელიც სულაც არ არის ვალდებული, ანგარიში
გაუწიოს არც ზოგად ჭეშმარიტებას, არც ჩემს შეხედულებებს იმაზე, რა
არის კარგი და რა - ცუდი. სამხედრო ცხოვრების გამოცდილება საკუ-
თარ სიმართლეს შობს, მწარეს და ამაყს ერთდროულად. მას ჰქვია არ
ამბობს ხმამაღლა, ბანალურ შეკითხვაზე მოსალოდნელი პასუხის გაცე-
მას არჩევს. მოვსესიანს თავისი შეკითხვები აქვს და თავისი პასუხები.

...ყველაფერი კი ცუდად დაიწყო. საუბარში ყველაზე ცუდი მე ვი-
ყავი.

ერთხელ ნარინემ მიაბო, რა გადახდა თავს ლაჩინში: დაიჭრა აზერბაიჯანელი ქალი, ფეხიდან სისხლი მოჩქეფდა. ექთანმა ნარინემ მას ჩრილობა არ შეუხვია. რაზმის უფროსმა ამ საქციელის გამო მწარე სიტყვები უთხრა.

მე კი ვერაფერი გავიგე და მივაყარე სულელური შეკითხვები ჰიპოკრატეს ფიცზე და ყველაფერ იმაზე, რაც მისგან მომდინარეობს.

მოვსესიანმა განყენებული მზერით შემომხედა და თქვა: „არსებობს იმაზე დიდი რამ, ვიდრე ჰიპოკრატეს ფიცია. თუნდაც ის ფიცი, რომელიც მე დავდევი“. და დადუმდა. რალაც იყო მის დუმილში ისეთი, რამაც მაიძულა, დავმორჩილებოდი. ასე დავმორებოდი ნარინეს - ძალა არ მყოფნიდა. შემდეგ ჩვენ ნაწილში მივედით. ნარინემ წნევა გამიზომა, ქვეყნის აბები მომცა. მაჩუქა უზარმაზარი ჰილზი, რომლისგანაც ლარნაკის ან შანდლის გაკეთება შეიძლება. მაჩვენა მეგობრების ფოტოსურათები. დიდხანს აკვირდებოდა მათ სახეებს და მათზე, როგორც ცოცხლებზე, ისე განაგრძობდა საუბარს. როდესაც დალუპულების მოსაგონარი ავწიეთ, თავისი კონიაკის სირჩა ჩემსას მიუჭახუნა. „მიცვალე ბუთლა სადღეგრძელოზე მიჭახუნება რომ არ შეიძლება?“ „ისინი არ მომკვდარან“, - ამბობს ნარინე და ამას ისე ამბობს, ლამის ვირწმუნო, რომ მამულისთვის დალუპულები არ კვდებიან.

პირველი დალუპული, რომელიც ნარინემ ნახა, თვრამეტი წლის ყმანვილი იყო. ნარინე ტირის. „გული გამიქვავდა“. ყველა დალუპულზე დანვრილებით ყვება. განსაკუთრებით კი დალუპულ მეთაურზე. „მამაცი იყო, რომანტიკული. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. რაც მთავარია, მოთმინება. როცა მარდაკერტი აიღეს, ის ნაღმზე აფეთქდა“. დაილუპა ნარინეს მეგობარი კარინა გეგორქიანი, ჭურვის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა. ნარინე ლექსებს წერს თავის მეგობრებზე, ცდილობს, ეს ლექსები რუსულად მითარგმნოს. ძირითად სირთულეს ზოგადი ფრაზების დაძლევა წარმოადგენს. მაგალითად, ნარინე სომხურად კითხულობს, რუსული ენის მასწავლებელი კი თარგმნის: „მე დავკარგე ისინი. ისინი უკან ვერ დაბრუნდებიან. ისინი ჩემს მოგონებებში დარჩნენ“. - არა, - ამბობს ნარინე, - არ ვარგა, ასე არ შეიძლება. „მოგონებებში დარჩნენ“, - ეს ის არ არის. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ იქამდე, როგორც უნდა ფლერდეს: „ისინი მიწოდებენ ჩემს მოგონებებში... ისინი ჩემი მოგონებების ტახტზე მიწოდებენ... აქამდე მიწოდებენ ფიქრის ყოველ გაელვებაში...“

რატომ წავიდნენ და რატომ დამტოვეს?
ნუთუ ღმერთმა ძლიერად მხოლოდ მე შემრაცხა,
რომ შევიძლო ეს ვაება
დაუსრულებლად ვატარო...
მე ყველაფერს უნდა ჩავებლაუჭო, რომ ვიცოცხლო

და ისინი სიცოცხლედ ვაქციო.
როდესაც მე მათზე ვყვები,
მგონია, რომ ისინი ცოცხლები არიან.

აი, ასე: მოგონებათა ტახტზე. მეფობენ. უფლობენ.

მხოლოდ ასეთი უნდა იყოს სიტყვა, როდესაც დაღუპულებზე საუბრობ. ასე ფიქრობს ნარინე.

არის სტეფანაკერტში საძმო სასაფლაო. ის მალლობზე მდებარეობს. როდესაც ზევით ადიხარ, საფლაოების ტერასები იშლება. მარმარილოს ფილებზე ახალგაზრდების სახეებია გამოსახული. ასე თვალნათლივ გრძნობ სასტიკ უსამართლობას. მოკლულნი არიან ულამაზესი ახალგაზრდები. მათ შვილები არასოდეს ეყოლებათ. მე ვყვები ამ უზარმაზარ მთა-სასაფლაოს ჩემეულ აღქმაზე და მესმის პასუხი ახალგაზრდა ქალისგან, რომელმაც ქმარი დაკარგა: „არა, მე სხვა გრძნობა მაქვს. როდესაც მთაზე ადიხარ, ისეთი გრძნობა გიპყრობს, თითქოს ისინი ტოკავენ. თითქოს ახალგაზრდული ჯარი მოემართება. თითქოს ყველანი ცოცხლები არიან“. ასე ფიქრობს ნარინეც. თავისუფლებისთვის ბრძოლა მას გენებში აქვს. „მე არ შემიძლია, აზერბაიჯანულს ვუსმინო. ვერ ვიტან თურქულ წარწერებს. არ მახარებს ირანული ჰაერი ერევანში. ამაზე ვსაუბრობდი ჩემს მოსწავლეებთან...“ - ეს როგორ? - ისევ გაცვიცხლდი მე, - ჩვენ ხომ მასწავლებლები ვართ, ვინ მოგვცა უფლება! „მე არასდროს მითქვამს, რომ მოსწავლეები ზუსტად ისე უნდა იქცეოდნენ, როგორც მე. მხოლოდ იმაზე ვსაუბრობ, რასაც თვითონ ვგრძნობ. მე მათ ყოველთვის ვაფრთხილებდი: თქვენ უნდა მოიქცეთ ისე, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ და არა ისე, როგორც მე მიმანია“. მოვსესიანმა იცის და უყვარს რუსული. მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ სომეხთან მხოლოდ სომხურად უნდა ილაპარაკო. „ჩვენი ანბანის თითოეულ ასოს თავისი ხმოვანი გამოხატულება აქვს. ჩვენი ასოები ჩვენი საკუთრებაა“. უყვარს პოლ ელუარი, ვერლენი, მოპასანი, დიუმა, ბალზაკი. სომხურად ბალზაკის ნაკითხვა არ შეუძლია. ადამიანთან მის ენაზე უნდა ისაუბრო.

შიგადაშიგ ის ლაჩინის ისტორიას უბრუნდებოდა. „მე ვერ ვადავაბიჯე სომხურ სიკეთეს...“ აქ, როგორც იქნა, დადის ჩემამდე, რომ, შეიძლება, ცხოვრებაში პირველად, ვხვდები იმას, რასაც ძირისძირეული სიმართლე ჰქვია. ტკივილიანი სიმართლე, რომელსაც ადამიანი თვითონ ატარებს და რომელზეც პასუხს ჰპირდება აგებს. ნარინე იმიტომ მომიყვა ლაჩინში მომხდარ ამბავს, რომ ის ტანჯავდა მას, ცხოვრობდა მასში. მას ახსოვს თითოეული სიტყვა, რომელიც მეთაურმა უთხრა. ეს-

მის მისი სიმართლის. მაგრამ ცხოვრობს და იქცევა საკუთარი სიმართლით, რომელიც მეგობრების სისხლითაა განათებული. ნარინეს არ სჭირდება ვისიმე სასამართლო ან გამართლება და არ ეშინია უფლის სასამართლოს წინაშე წარდგომის. ხოლო თუ საუბარში შეეყვება, არჩევს, დარჩეს ისეთი, როგორც არის, მიუხედავად იმისა, თუ როგორი მოეჩვენება მოსაუბრეს. სიმართლე ხალხისა და ღვთის წინაშე - ასეთ რამეს იშვიათად შეხვდები.

ნაწილში რამდენიმე საათი გავატარეთ. ისე მომინდა, ექთნის ოთახში ღამის გასათევად დარჩენა, რათა გაგრძელებულიყო ჩვენი შეხვედრა, რომელიც მშვენიერი გამოვიდა, როგორც კი მივხვდი, საქმე მაქვს იშვიათ ნიჭთან - იყო უშიშრად ერთგული საკუთარი თავისა. საკუთარი სამშობლოსი. საკუთარი ანბანისა.

„ისტორიის მანძილზე პირველად - არ დავხარეთ თავი“, - ჩამემის მძღოლის, სამველის ხმა, როდესაც მოვსესიანს ვეხვევი. ახლა ვიცი, რას გულისხმობდა იგი.



ექვსი წლის ლილია ვოსკანიანი, მეტროში ჩასვლისას მამამისს ეკითხება: „მამა, ეს ამათი სარდაფია? ისინი აქ ემალებიან ბომბებს?“



ყარაბალში ქვეყნის მეგობარი და ნაცნობი მყავს. ასაკოვანი სურენი მიყვება: „მარწყვს ვაგროვებდი. შევაგროვე... უცებ - სფერული ბომბი. მოვიხედე - სადაა მარწყვი. თვითმფრინავი დაკიდულად გაჩერდა. მფრინავმა დამიმიზნა, მაგრამ არ ისვრის, ჩემს თავზე ირაოს აკეთებს. მოთმინება დავკარგე. ვყვირი: „მესროლე, ნაძირალავ! ჩემთვის სულერთია!“ შებრუნდა და გაფრინდა. ეს რუსეთის თვითმფრინავი იყო. წავედი უფროსთან. საფონოვია მისი გვარი. ცოლთან ერთად მივდივარ, ხელ-ფეხი მიკანკალეებს. ის კი მიუბნება: „ცოცხალი გადარჩენილხარ, რას ჩივი?“ „მე არ ვჩივი“. მან ვერაფერი გაიგო. ასე წამოვედით. ეს რა არის? თუ მომკლავდნენ, მაშინ უნდა მეჩივლა? ასე ვინ მიდის საჩივლელად?“



სალამოს ჩემი მეგობარი ვიქტორია ბოსტანს მაჩვენებს. აქ ყუმბარა ჩამოვარდა. „ადრე წელიწადში მწვანის რამდენიმე მოსავალს ვიღებდით. ნახე, ორი წელია, არაფერი ამოსულა. მიწამ ვერ ამოისუნთქა“. ბოსტნის გვერდით ქვის დიდი ღუმელი დგას. ის სახლის მცხოვ-

რებლებმა დადგეს, რადგან შუქი არ იყო. რიგრიგობით აცხობენ პურს, კვერს. ღუმელში, შიგნით, ფოთლებია - აკურატულად ჩანყობილი. ღუმელთან მისასვლელი ღიაა. „ვილა წაიღებს, - გვეუბნება ვიქტორია, - სხვა ეზოებში თავისი ღუმელების განყოფილება დაინყეს“. ეს ძალიან ეხმარებოდათ, რადგან შუქის მოსვლა კიდევაც უხაროდათ და კიდევაც არა. „იცი, განათებული სტიფანაკერტი - დიდებული სამიზნეა“. ღმერთო მაღალო, ვერასდროს ვიფიქრებდი!

●
გარიკი თვრამეტი წლისაა. 14 წლიდან ომობდა. ლამაზი ბიჭია, განათლების გარეშე. უმუშევარი. ხოჯალაზე ვეკითხები. ტრაგიკული ისტორიაა, მაშინ აზერბაიჯანელი მოხუცები და ბავშვები დაიღუპნენ.

-ჰო, გადავწვით, რომ შემდეგ არ დაბრუნებულიყვნენ.

-მაგრამ იქ ხომ ხალხი იყო. - ეს მე ვარ.

-მათ სუმგაითი უნდა გაიხსენონ და სხვაც მრავალი.

-მაგრამ რა შუაშია აქ კონკრეტული ბავშვი, მოხუცი?

-ბავშვი გაიზრდება და დანას აიღებს ჩვენს ასაჩეხად.

-ამ ლოგიკით გამოდის: აილო და მთელი ხალხი უნდა განყვიტო.

-ამის გაკეთებას ჩვენ ვერ შევძლებდით....

მომეჩვენა, რომ ამის წარმოდგენა გარიკს მაინცდამაინც დიდ უხერხულობას არ უქმნის. რომ შეგძლებოდა, გასაკეთებელი იყო.

ამ საუბრისას ჩემში ფსიქოლოგი მოკვდა. მე ყველაფერი წმიდა წყლის სიმართლედ მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ გარიკის სახეზე ტანჯვის კვალსაც ვხედავდი.

●
მინდა იმ რაიონებში მოვხვდე, სადაც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. „ასეთი ბრძოლები ყველგან იყო“, - მომიჭრა სიტყვა რობერტ კოჩარიანმა, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა.

- ვისთან მოხვედით?

- ყველასთან, ვინც ყარაბაღში ცხოვრობს.

- თქვენს კურიერებს ვინ ახდენს?

- არავინ.

- ვინ იღებს პასუხისმგებლობას თქვენს უსაფრთხოებაზე?

- არავინ.

ასეთი დიალოგი მქონდა ყარაბაღის გამართან.

მაშ ასე, მარდაკერტში მივდივარ. ვინც სინამდვილეში ზრუნავდა ჩემს უსაფრთხოებაზე, ეს ვლადიკ მოვსესიანი იყო. მეორე ფფუფის ინ-

ვალდი. ომში მემიზნე იყო, მრავალჯერ დაიჭრა. როცა ცოლი მშობიარობდა, დაბომბვა დაიწყო. ცოლს ფარაჯა გადააფარა. ყველანი სარდაფისკენ გავარდნენ, მშობიარე მაგიდაზე დარჩა. გადარჩა. ბავშვი დაიბადა. ვლადს ფილტი არა აქვს. „რატომ ენევი, ვლად?“ „ძალზე განვიცდი, როცა ყველაფერ ამაზე ვფიქრობ. დარწმუნებული ვარ, არც აზერბაიჯანელებს სურთ ომი. იცი, ერთი შევიპყარი და ვეკითხები: „რატომ ხარ აქ? შენ აქ დაიბადე?“ „არა, - მეუბნება, - არ დაებადებულვარ“. „აბა, რატომ მოდიხარ იარაღით?“

... გამომიყვეს ცალკე ოთახი, სადაც ყველა მხრიდან ქარი შემოდის. არადა, ეს საუკეთესო ოთახია ყოფილი სასტუმროს ნანგრევებში. მავთულზე ნათურა ჰკიდია. კედელზე იმის ნარჩენებია, რაც ერთ დროს პირსაბანი იყო. საპირფარეო არ არის, არც წყალი. დერეფანში სიბნელეა. ვლადიკს მოაქვს ქურა, რომელსაც უცნაური სპირალი აქვს: მისი ნაწილები ლითონის ლურსმნებითაა შეერთებული. ქურას სითბოსი არაფერი ეტყობა. ვლადი დანით რალაცას თლის და აერთებს კედლის ღრუში, სადაც, წესით, ელექტრომავთული უნდა გადიოდეს. რალაც სკდება, ბოლავს, მაგრამ ქურა თანდათანობით თბება. მე ვთხოვ, ელექტროექსპერიმენტებს მოეშვას. „რას ამბობ, ხუთთვიანი ხომ არ დაბადებულხარ? საერთოდ არაფერი გესმის? მთელი ღამე საუბარი მოგვიწევს. აქ სტუმარი იშვიათად მოდის“.

თუ ვლადი 92 წლის მოვლენებს იხსენებს, აუცილებლად ტირილი აუვარდება ხოლმე. მიყვება, როგორ აფეთქდა ნალმზე აზერბაიჯანელი, რომელსაც კარგად იცნობდა. „მე ის არ მომიკლავს. იცი, ის ვინ მოკლა? ვფიქრობ, ომმა მოკლა. ძალიან გთხოვ, სადაც იქნები, ყველგან თქვი, ომი ნუ იქნება. თქვი“.

ვლადიკის ხელფასი სამი ათასი დრამია. ეს პურსაც არ ყოფნის. „მეჩვენება, რომ ომი ყოველთვის იქნება. აქ დამთავრდება, იქ დაიწყება. იცი, არის ასეთი სომხური გამონათქვამი: „ყოველ სოფელს თავისი ძალი ჰყავს“. გესმის, არც ერთ ხალხს არ გასწყვეტია ძალები“.

დამშვიდობებისას ის შესანიშნავ ფრაზას ამბობს სომხურად, რომელიც თარგმანში ასე ჟღერს: „სომეხი მაშინღა ფხიზლდება, როდესაც ჭრილობა ძვლამდე აღწევს“. ეს სომხების დიდ მოთმინებაზეა ნათქვამი. ამასთან, ვლადიკის მოთმინება ზღვრამდეა მისული.



ისინი თორმეტი იყვნენ, ახალგაზრდა, ლამაზი ბიჭები, რომლებიც მარდაკერტის რაიონში მასწავლებლებად მიავლინეს. ეს მათი ალტერნატიული სამხედრო სამსახურია. ჩამოვთვლი მათ სახელებს: კარენი, დავითი, სამველი, ლევონი, კარაპეტი, ვაზგენი, ანუშავანი, არტური,

ვაჰაგნი, გაიკი, გორი, რობერტი. ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ლინგვისტები, პროგრამისტები.

ნოემბრის ცივი ღამეები იდგა. გათბობა არ იყო, ჩაიც კი არ გვექონდა. გაერთიანებული ნომრები ომის პერიოდის ყაზარმებს მოგვაგონებდნენ. ისინი თორმეტნი შემთხვევით არ არიან. ისინი მოციქულები გახლავან. მათზეა დამოკიდებული სომხეთის მომავალი და ეს მშვენივრად იციან. „ვინ, თუ არა ჩვენ?...“ თითქმის მთელი ღამე ვმსჯელობდით ბავშვებთან მათ პირველ შეხვედრაზე. მათ ესმით, რომ მთავარი სიძნელე ცოდნისა და სწავლების სფეროში კი არ მდგომარეობს. პრობლემა ბავშვების ფსიქოლოგიაშია საძებნელი. ყოველი მათგანი ბავშვებისკენ მიმავალ საკუთარ გზაზე ფიქრობს. ომის შემდგომი პროვინციული ყოფის სიძნელეები ნაკლებად ადარდებთ.

მათ შორის არის ერთი, რომელიც მარდაკერტში იბრძოდა. მან თქვა, რომ თვითონაც სჭირდება ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და იმედი აქვს, რომ ამას ბავშვებში იპოვის. ამ ახალგაზრდებმა განმაცვიფრეს აზრთა წყობით, პრობლემის ჩამოყალიბების ნიჭით და გამართული რუსულით. მისიონერული ამოცანები მათი ცხოვრების არსი გახდა. ასეთი მასწავლებლები ნებისმიერ ერს შესძენდნენ ღირსებას. ისინი არ ჰგავდნენ ჩემს ნაცნობ გარიკს, რომელზე ფიქრიც მოსვენებას არ მძღვედა. ღამის სამი საათი იყო და გავბედე, მათთვის ყველაფერი დაუფარავად მომეყოლა. როცა მოყოლას მოვრჩი, ხანგრძლივმა სიჩუმემ დაისადგურა. არავინ ჩქარობდა ეთქვა ან „კი“, ან „არა“. სიჩუმე დაარღვია გაიკმა, რომელსაც ვოლგოგრაღის ფიზკულტურის აკადემია აქვს დამთავრებული.

-რამდენი წლის იყო, როცა მებრძოლი გახდა?

-მეთოთხმეტეში იყო, - ვპასუხობ.

-აი ახსნაც. ეს უკვე დამსხვრეული ფსიქიკაა. ასეთ ასაკში ბრძოლა არ შეიძლება. ის, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. მაგრამ არც ის შეიძლება - ბრალი დასდო იმიტომ, რომ ასე ფიქრობს. ჩვენ ხომ მასზე ბევრი რამ არ ვიცით.

ვაჩვენებ ფურცელს, რომელზეც გამოსახულია სქემა ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლისა: სტეფანაკერტი - შუშა - ლაჩინი. შემდეგ კირსის მთა, რომელზეც სომეხი მებრძოლები მრავალი საათის განმავლობაში ადიოდნენ. ამ მთაზე თოთხმეტი წლის გარიკიც აიჭრა. რა ვიცი მე მის შესახებ? არაფერი! ჩვენ ყურადღებით ვათვალიერებთ ყმანვილის ხელით გამოსახულ სქემას. ისრები ხან ხოჯალისკენაა მიმართული, ხან - მალიბეილისკენ და ვგრძნობ, როგორ თანდათან ვგებულობ, რა შეი-

ძლება მდგარიყო თვრამეტი წლის ბიჭის კატეგორიული ფრაზების უკან. ბიჭისა, რომელმაც ბრძოლა ოთხი წლის წინ დაიწყო. „სომეხი უნდა იყო, მისი რომ გესმოდეს“, - თქვა ერთ-ერთმა იმ თორმეტიდან. ალბათ, ის მართალი იყო.

შუშა

„ორმოცი ათასი მკვდარი ფანჯარა ჩანს იქ ყოველი მხრიდან“, - მანდელშტამი ამბობს ამას შუშაზე. კიდევ - ეშმაკის მოციქულზე. მე შუშას სიზმარშიც ვხედავდი. ცხადში პირველად 1995 წლის სექტემბერში ვნახე. აი, ისიც, ცაში აზიდული, სისხლით მორწყული მიწა. რა ჩანს ყოველი მხრიდან? ხაჩკარი. სკოლის გვერდით ხაჩკარია. ჯვარცმის ქვებს ტურებით დანაფებია გოგონა. 23 სექტემბერს მას ექვსი წელი უსრულდება. გვერდით ძმა უდგას. სამი წლის. ვის ეკუთვნის ხაჩკარი? მამას? ძმას? ბაბუას? აღმოჩნდა - ყველას, ვინც დაიღუპა. ბავშვებს უფროსები არ ახლავთ თან. როგორ მოხვდნენ აქ? თვითონ ამოვიდნენ!

ისინი დარჩნენ ხაჩკართან, რომელიც ბავშვებთან ერთად მთლიანობას ქმნიდა. „სულის მონათესავე შიში“, - მე უკვე ვიცი, ეს რა არის.



1996 წლის ნოემბერი. შუშაში მესამედ მოვხვდი, ჩემს მეგობარ ალიკ ვოსკანიანთან ერთად. „მე კი არ მიყვარს შუშა“, - მითხრა, როდესაც მალლობზე ასულები, ქალაქში შევედით. როცა უკან ვბრუნდებოდით, აღნიშნა: „თქვენ რომ იცოდეთ, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი დაიღუპა!“ ალიკის დედა, ჩემი მეგობარი ვიქტორია, მიყვება, თუ როგორ მოვიდა ალიკი 9 მაისს შუშიდან, სამი ცალი ტიტა ეჭირა ხელში: „ის მთლიანად გასისხლიანებული იყო. ჩვენ სარდაფში ვისხედით და არაფერი ვიცოდით. ყველანი გარეთ გამოვცვივდით. და ეს ტიტები. თითქოს ესენიც გასისხლულები იყვნენ. ალიკი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც გამარჯვება გვაუწყა... იყვნენ ისეთები, რომელთათვისაც ომი - საშოვარია. ქალაქში დაფასებული ადამიანებიც კი არ ერიდებოდნენ სახლების ძარცვას. ჩემი შვილი კი ტიტებით ხელში გამოგვეცხადა... კარგია, ხომ, რალაცნაირად... თავისუფალი კაცია, არა?“

„...თავისუფალმა კაცმა“ შუშის ცნობილ საპყრობილეში მიმიყვანა. თეთრი კედლები ვეებერთელა წრეს ხაზავენ. შუშაში მყარი ქვის შენობებია, ეზოში - მოედანი. მოედნიდან რამდენიმე დიდი ფილა ამოგლეჯილი. სპეციალისტების აზრით, ეს უძველესი ხაჩკარებია, რომელთაც არამიზნობრივად იყენებდნენ. ალიკი ხელით ეხება ქვის ასოებს. როგორც ყველა სომეხი, ფიზიკურად გრძნობს წინაპრების ძახილს.

საპყრობილის უფროსი ახალგაზრდა კაცია, ორმოცზე მეტის არ იქნება. ნებას მრთავენ, ორ აზერბაიჯანელს შევხვდე. ფაიკ გადიმოვი. 75-შია დაბადებული. ტყვეობაშია 94-ის აპრილიდან.

ელჩინ ჟაფიაროვი ცხრამეტისაა.

ფაიკი ჩვენთან ეროვნული ტანსაცმლის ნარჩენებში გამოვიდა. ყოფილი მოკრივეა, შეკრებებზეა ნამყოფი ჩემს მშობლიურ ნოვოსიბირსკში. ტყვედ ჩავარდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე მწყემსავდა საქონელს მარდაკერტის რაიონში. ისწავლა სომხური. შუშის საპყრობილის საკანში შემდეგი სიტყვით შევიდა: „ბარეზეს“ (გამარჯობათ)! თანასაკნელი აზერბაიჯანელები გაოგდნენ. ფაიკს კონტაქტში შესვლა არ უჭირს. „არა, შეგიძლია წარმოიდგინო? - ამბობს ალიკი, - ციხის ექიმმა ყოველგვარი სამუშაოსგან გაათავისუფლა. ამის მისაღწევად არავის მორიდებია!“

ფაიკს თავის ქალის ჭრილობა აქვს მიღებული. თვალთ უზნელდება. ორივენი უღარბესი ოჯახებიდან არიან. მათ არავინ გამოისყიდის. როგორც ჩანს, არც არავინ გაცვლის. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ როცა ყარაბაღულ სახლში აღმოჩნდა, მაშინლა მიხვდა - რა უნდა იყოს სახლში.

ფაიკს ვკითხე, როგორი სიზმრები ესიზმრება. „მთელი წელი ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ: მამა და დედა ტირიან“. მან გაიმეორა: „ისინი ყოველთვის ტირიან. სიზმარი გინდ შეწყდეს, გინდ არა - ერთსა და იგივეს ვხედავ“.

ფაიკი სუმგაითელია, მეთერთმეტე მიკრორაიონიდან. ელჩინს დედა რუსი ჰყავს, მაგრამ თვითონ რუსულად ვერ საუბრობს. ელჩინი სულელურად ჩავარდა. სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის წევრი იყო. წყალზე წავიდა. საზღვარი ვერ შენიშნა. წყლის ჭურჭელი ჰქონდა. მიცემა არ უნდოდა და ხმამაღლა დაინყო აზერბაიჯანულად უკმაყოფილების გამოხატვა. სწორედ მაშინ ჩაავლეს ხელი. ელჩინს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავს - სამი უმცროსი და-ძმა. სიზმარში მხოლოდ სახლს ხედავს, მეტს არაფერს. მისი სულიერი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ფაიკის ფოკუსები მასში ღიმილსაც არ იწვევს. დღემდე ვერ გაუგია, როგორ ჩავარდა და რისთვის.

ჩვენ რუსულზე გადავედით. ელჩინი დადუმდა. ფაიკი გაუთავებლად ლაპარაკობს, ერთი გინდან მეორეზე გადადის, მეორედან - მესამეზე. უცებ, ციხის თანამშრომლები, რომლებიც ჩვენს შეხვედრას ესწრებოდნენ, ფაიკისა და ელჩინის მშობლიურ აზერბაიჯანულზე ალაპარაკდნენ. მათ მოეჩვენათ, რომ მე სწორად ვერ ვიგებ ბიჭების ნაამბობს. ღმერთო დიდებულო, რა სანახაობა იყო! ვეებერთელა, უფანჯრებო ქვების ტომარა. გამართული აზერბაიჯანულით მოლაპარაკე სომხები თავიანთ

ტყვეებს გულმოდგინედ ეხმარებიან, ზუსტად გადმოსცენ ის ტკივილი, რომელიც მათში დაგროვდა და სულს უსერავს. სომხებს სახეზე დიდი ვნება და დაძაბულობა ახატიათ. ისინი გამწარებული ცდილობენ, კარგად გაიგონ სხვის ენაზე ნათქვამი, რომ ჩემთვის, რუსისთვის, ცხადი გახდეს, რითი ცხოვრობს ტყვე! დადგა წამი ისეთი სიცხადისა და ერთმანეთის გაგებისა, რომ შუშის საპყრობილის სქელი კედლები სასაცილო დეკორაციად მომეჩვენა. რამდენიმე წამის გაელვებაში ჩვენ, უბრალოდ, ადამიანები ვიყავით, მაგრამ ამ წამებმა მაინც ვერაფერი შეცვალა. დამშვიდობების დრო დადგა. დავინახე, როგორ გაიარეს ბიჭებმა ეზო და საკუთარი საკნებისკენ გაემართნენ. ციხე ჩვეულებრივი ცხოვრებით აგრძელებდა ცხოვრებას. ხელში მხოლოდ ბიჭების მშობლების მისამართები შემრჩა. და მეტი არაფერი! ა-რა-ფე-რი!

იპნანა

(ალბერტ ვოსკანიანის მონათხრობიდან)

„ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ამ შემთხვევას რომ ვიხსენებ, ეგრევე ტირილს ვიწყებ. ერთი ქალი მძევლად აიყვანეს. მას ორი ბავშვი ახლდა, ბიჭი სამი წლის იყო, გოგო - წლისა და ორი თვის. დედას თავში ჩაარტყეს და დარეტიანებული, ბიჭთან ერთად მანქანის საბარგულში ჩატენეს. როცა აზრზე მოვიდა, ხედავს - გოგონა არ არის. სად უნდა ვეძებო? ყველაფერი ვცადე: ვრეკავ, ვითანხმებ, ვიგებ. არაფერი გამოდის. ჩვენ ტყვეების გაცვლას, ზოგჯერ, „ზევიდან“ (კანონიერად) კი არა, პირდაპირ უშუალოდ ვახორციელებთ. ასე პრობლემა ნაკლებია და სარგებელი - მეტი. რაც უფრო ქვედა საფეხურთან გაქვს საქმე, მით უფრო ადვილია შეთანხმება. აქ ადამიანი სიცოცხლეს იმნაირადვე შეიგრძნობს, როგორც შენ. გაცვლა, ზოგჯერ, პირდაპირ სადახლოზე ხორციელდება. სულ მახსოვდა დაკარგული პატარა კარინა. თუმცა მე ჩემი წესი მქონდა და ის ჩემთვის წმიდათანმინდა იყო: ბავშვებზე არავინ უნდა გაიცვალოს. ამას თუ დაუშვებ, ბავშვების გატაცებას დაიწყებენ. ისედაც დანყებული აქვთ.

მეორე მხარესთან შეხვედრისას მაინც ვიკითხავდი: რამე ხომ არ იცით ჩემი კარინასი? დედამისი მუხლებში მივარდება - „მიშველე!“ ვერიდები შეხსენებას, რომ უკვე ორი წელი გავიდა, ბავშვი ოთხის გახდა. დედისთვის ხომ ეს ამბავი მაინც „გუშინ“ მოხდა. მე უკვე ხელი ჩაქნეული მაქვს, რომც იპოვონ გოგონა, როგორ დავამტკიცოთ, რომ ჩვენია? ერთ დღეს ნაცნობი, რომელიც მეორე მხრიდან გაცვლებში იყო

ჩართული, მეუბნება: „იცი, ალიკ, ყველაფერი ემთხვევა. ორი წლის წინ გოგონა ნახეს. მშობლები არ ჰყავს. ოღონდ პირობა გვაქვს: დედამ დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილად მისი შვილია. გვითხრას ნიშნები. ისე უბრალოდ ვერ მოგცემთ“. სანყალმა დედამ ხალების ჩამოთვლა დაიწყო. ვითქვამს, ნამხდარი საქმეა-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი. გადავწყვიტე, პირველი შევსულიყავი. თუმცა აღმოჩნდა, ხალების თვლა არც იყო საჭირო. კარინა ზედგამოჭრილი დედამისია. ვეძახი. მივარდა დედა შვილს, ის კი აზერბაიჯანულად ეუბნება: „იოხ!“ (არა!) და გამზრდელისკენ იწევის, რომელიც მას, როგორც შვილს, ისე ექცეოდა. დედა ხმამაღლა მოთქვამს, ბავშვიც. გამზრდელიც ტირის, ის ხომ თვითონაც დედაა და მეორე დედისა ესმის. აქეთ ბავშვს ვერ კრავს ხელს. აი, ასე ვდგავართ და პატარას ნაწილებად ვხლეჩთ. მთელი პალატა მოთქვამს. იქითა მხრიდან: „ვის სჭირდება ეს ყველაფერი? ჩვენ, აზერბაიჯანელებს? შენ, სომეხს?.. ეს მოსკოვს სჭირდება!“ „დაადგინეს, რომ მოსკოვს სჭირდება“, - ირონიულად იღიმება ვოსკანიანი.

მართლაც, ვის სჭირდება? აი, რა მინდა გავიგო ალიკთან და იმ აზერბაიჯანელთან ერთად, რომელსაც მთელი ეს წლები მუდამ ახსოვდა პატარა გოგონა, სახელად კარინა.

„წაიცივანეთ ბავშვი მანქანისკენ. ის თავის აზერბაიჯანულზე გააჰკივის და დედას ხელებით იშორებს. მანქანაში დედამ ბავშვი დიდი გაჭირვებით ჩაისვა კალთაში და ხელებზე გადაიწვინა. ბავშვი უცებ გააჩუმდა და ეგრევე ჩაეძინა. ყველამ ამოვიოხრეთ. იცი, ამბობენ, რომ მუცელში მყოფ ბავშვსა და დედამისს გულის ერთნაირი რიტმი აქვთ. გამოდის, ბავშვი თავის ბუნებრივ რიტმში ჩაჯდა. ისე რა გააჩუმებდა?“



ალბერტ ვოსკანიანის კიდევ ერთი მონათხრობი.

„ტყვე მიგვყავს გასაცვლელად. ჩვენთან იმის დედაც არის, ვისზეც ვცვლით. საშინელი ამინდია. ცივა. ქალი აზერბაიჯანელს თვალისჩინივით უფრთხილდება. მანქანას რალაც გაუფუჭდა. მე ვყვირი: „მამაკაცი არ ხარ, მოდი და დამეხმარე!“ ქალმა ხელები ჩაავლო და ტირილით მეუბნება: „არ მოგცემ! გამიცვივებ და მერე ვინ გამიცვლის?“ მე მაინც დავიჯინე, რომ მანქანას ბიჭი მოსწოლოდა და არა ქალი. მაშინ ქალმა თავსაფარი მოიხსნა, თავზე შემოახვია და მხოლოდ მერე გამოუშვა.

გზაში ღამის გათენებამ მოგვინია. ქალმა ისევ: „მის გვერდით დავიძინებ. რა იცი, რა შეიძლება მოხდეს“. ორი დღე ასე ზრუნავდა მასზე და ისე შეეჩვია, როცა მეორე მხარეს გადასცეს, თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე.

... ეჰ, თქვენ ტყვეთა გაცვლა უნდა ნახოთ. მე შევამჩნიე, სახეს რომ ვერ ხედავდე და ხმა არ გესმოდეს, ვერ გაარჩევ, რომელია აზერბაიჯანელი და რომელი სომეხი, ზუსტად ერთნაირად იქცევიან. ბავშვების გამო მადლობას რომ გეუბნებიან, ერთნაირად გიკრავენ თავს და ერთი შინაარსის სიტყვებს გეუბნებიან. ერთნაირად ცდილობენ მადლიერების ნიშნად ხელზე გაკოცონ. უესტები ერთნაირი აქვთ. შემოხედვაც. გესმის, ერთნაირი შემოხედვა. ამის ატანა შეუძლებელია!“



...ქართული „მხედრიონის“ ერთ-ერთმა მებრძოლმა მითხრა: „ომის დაწყება არ შეიძლება. მას დიდი კუჭი აქვს“. ამას ინვალიდის სავარძელზე მიჯაჭვული მეუბნებოდა. მხატვარმა-მულტიპლიკატორმა, რომელმაც ფუნჯი „კალაშნიკოვზე“ გაცვალა, იცოდა, რასაც ამბობდა. მაგრამ ომიეული დრამა, რომელსაც მებრძოლი ვერ ხედავს, იმაზე უფრო საზარელი აღმოჩნდა, ვიდრე უფეხო მხატვარი მეუბნებოდა...

ალიკ ვოსკანიანის კაბინეტში (მთიანი ყარაბაღის უშიშროების სამსახური) სომეხი ეროვნების მძევლების სიები წავიკითხე. ეს ის ხალხია, რომელთაც სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ შორის ძალიან ბევრია ქალი. ვნახე 1910 წელს დაბადებულნი. გამოდის, ისინი 90 წლისანი არიან. მათი ბედი გაურკვეველია. გადწყვეტილი არ არის, მათ გაცვლიან, თუ ისე გაათავისუფლებენ. ალიკის მაგიდაზე დადებულ ფოტოსურათზე ბიჭი და მამამისი არიან გამოსახული. ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა, ვარდენისში. ბავშვი, რობერტ უნანიანი, 1985 წელს არის დაბადებული. მას მამამისთან, რომელიც მინდორში მუშაობდა, სადილი მიჰქონდა. ორივე აიყვანეს. ომის კუჭი არ ჩერდება, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ომი დამთავრებულია.

... ალბერტ ვოსკანიანი, რაც შეუძლია, ყველაფერს გააკეთებს. იმასაც კი, რაც არ შეუძლია. მე ვფურცლავ წიგნებს, რომელთაც ალიკი გულმოდგინედ იზუთხავს. ღმერთო ჩემო! მე არც კი ვიცოდი, რომ არსებობს განათლების უზარმაზარი დარგი, როგორცაა ომის წესები. ამის ცოდნა საინტერესოა, როცა ყოველ ნაბიჯზე უკანონობას ხვდები.

აი, მაგალითად, ალბერტის საყვარელი წიგნი, „საერთაშორისო სამართლის განვითარება და პრინციპები“. ჟან პიკტე, 1993 წელი.

„კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი ქცევისა და დასჯის წინააღმდეგ“, 1984 წელი.

როგორ იცავენ ამ კონვენციას ომში, ჩვენ, მკითხველო, მალე გავიგებთ ბავშვების ნაწერებიდან, რომლებიც იმ ქალაქში დაინერა, მანდელშტამმა რომ მტაცებელი უწოდა.

„ტერორისტულ აქტებს, რომლებიც ომის დროს ხორციელდება, სხვა იურიდიული კონოტაცია აქვთ.“ ღმერთო ჩემო, ეს რაზე წერენ ისინი? სომეხი ბიჭის, რობერტის, გაუჩინარებას რა „იურიდიული კონოტაცია“ აქვს?

„ჟენევის კონვენცია“, 1942 წლის 12 აგვისტო.

„ტერორისტული აქტების აკრძალვა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში“.

ალბერტ ვოსკანიანი ჩემს სკეპტიციზმს არ იზიარებს. „მე ყველაფერს ვკითხულობ, რაც საქმეში გამომადგება“.



შუმის საპყრობილის ერთ-ერთი თანამშრომელი ძირძველი ბაქოელია. ოცი წელი იმუშავა აზერბაიჯანის სამართალდამცავ ორგანოებში. ვეკითხები: „ბაქოში ყველაფრის დატოვებამ მოგიწიათ?“ „არავითარ შემთხვევაში! - წამოიძახა სომეხმა - ჩემმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა დროულად გამაფრთხილეს: „დროა, მოემზადო და წახვიდე! სასაკლავო იქნება!“ იშოვეს მანქანა, თავიანთი ხელით კოხტად ჩაალაგეს ყველა ნივთი. მანქანა დაიძრა. ყვირილი ისმის: „გაჩერდი!“ გავჩერდი. ძველმა ბაქოელმა სახლში დატოვებული ცოცხი ნახა. ახლაც თვალწინ მიდგას: როგორ აგდებს მანქანაზე ცოცხს და ხმამალა, უკანასკნელად წარმოთქვამს: „იაკში იოლ!“ (კეთილი მგზავრობა!) კარგი მეგობრები დამრჩა იქ“.



არლეთა შაჰნაზაროვა ახუნდოვის სახელობის ბაქოს რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა. მისი ისტორია სხვა ათასი ისტორიის მსგავსია. როცა არეულობა ახალი დანყებული იყო, აზერბაიჯანელებმა გააფრთხილეს - სამსახურში არ ევლო. ცხოვრობდა, ითვლიდა ყოველ წამს, რომელსაც შეიძლებოდა, სიკვდილი მოჰყოლოდა. პური მეზობელს მოჰქონდა. არლეთა მან გადაარჩინა. ფარსმა.

„აი, კავკასიური სინდრომი - იჭრება საუბარში ერთი ინტელიგენტი ქალი. - გესმით, მან სომეხი გადაარჩინა, რადგან ის მისი მეზობელი იყო. ლუკმაპურს უყოფდა. მაგრამ ეს მას სრულიად არ შეუშლის ხელს, ქალაქის მეორე ბოლოში სომეხები ხოცოს“.

არლეთა დუმს, მერე კი არაბუნებრივი ძალით წარმოთქვამს: „არა, მას კვლა არსად არ შეუძლია, ის ჩემი მეზობელია. არ-სად! ა-რას-დროს! და ა-რა-ვის!“

არლეთა მასწავლებელია შუშაში.

●
 მათემატიკის მასწავლებელი გურენ ნალბანდიანი 35 წლისაა. ომობდა. ოთხი შვილი ჰყავს. ხელჯოხით დადის. მე მასთან შეკითხვა მაქვს. იგივე, რომელსაც ვიძლეოდი ცხინვალში, სოხუმში, გროზნოში: ძნელია, იმის შემდეგ, რაც ბავშვებმა საკუთარი თვალით ნახეს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე ელაპარაკო ტანგენსებზე და კოტანგენსებზე? „ისინი უკვე სხვანაირები არიან, - მეუბნებოდნენ მასწავლებლები ბავშვებზე „ცხელ წერტილებში“ - მათი გამოცდილება სიკვდილიდან და ნგრევიდან დაინყო“.

„მე მათ გზა-კვალს ვუბნევ, - მპასუხობს გურენი. - სხვა გზა არ არის“. მინდა გავიგო, შეცდომაში შეყვანისკენ სწრაფვა რაოდენ ესაბამება მისი პირადი ცხოვრების საშინელ სურათებს. „არანაირად! უბრალოდ ბავშვები არაფერში არიან დამნაშავენი“. გურენის დედა დანვეს. მამამისს უნდოდა, რაც გადარჩა, სახლში შეეტანა. ოთხ თანასოფლელთან ერთად მძევლად აიყვანეს. მერამდენე წელია, მასზე არაფერი ისმის. მე მის მონაცემებს ვინერ - ეშმაკს არ სძინავს. გურენი რვეულს მართმევს და თავისი ხელით მიწერს მამის, დედის გვარებს, ტრაგედიის ადგილს, რიცხვს. ასე ჩაიწერა გურენის ხელით ჩემს რვეულში: „ეს იყო 1992 წლის 13 ივნისს“. ყველა „ცხელ წერტილში“, სადაც არაფერს არაფერი ესაქმება მშვიდობიან მოსახლეობასთან, არსებობს დაუოკებელი მისწრაფება - აუცილებლად თვითონ დატოვონ ჩანაწერი მამაზე, დედაზე, შვილზე, ძმაზე. ხუთი წლის ხეტიალში კარგად გავითავისე, რომ ამაოა ეს ყველაფერი, მაგრამ ჯიუტად ვაგრძელებ წერას და სხვასაც ვაწვდი რვეულს. როგორც ჩემმა მეგობარმა ნელი ლოგინოვამ თქვა: „როცა ჩვენ მოლექულამდე დავყავართ, მაინც გვრჩება ერთი ფუნქცია: სხვას გადავცეთ სიგნალი საკუთარ თავზე“. „მე ფანტომასსაც მივმართე. მასაც არაფერი შეუძლია“. თურმე არსებობს ომის ასეთი დარგი - ადამიანებით ვაჭრობა. მრავალი სხვადასხვა ხელობა ჩნდება ომში. ფანტომასი შუშაში საყოველთაოდ ცნობილი კაცია. მას და მის საქმიანობას ისევე მშვიდად ეკიდებიან, როგორც გრაჩოვის საქმეებს.

...მთიან ყარაბაღში უმჯობესია, გენერალ გრაჩოვის სახელი არ ახსენო.

...სერგეი შახრაის სახელი ყველგან ერთნაირად ცუდად ჟღერს.

...გთხოვენ, უამბო რუს პოლკოვნიკ ივანოვზე, რომელმაც ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა.

შუშას შვილები

„მე სტეფანაკერტში დავიბადე და ხუთი წელი იქ ვცხოვრობდი. როცა ეს მოძრაობა დაიწყო, დედამ ერევანში, ბიძასთან წამიყვანა. დედა და ჩემი უმცროსი ძმა სტეფანაკერტში, „გრადის“ ჭურვების ქვეშ დარჩნენ.

ქალაქს ბომბავდნენ. დედა და ძმა ტყეს აფარებდნენ თავს. მინდორში ეძინათ. ერევანში ვშიმშილობდით. არც შუქი. არც გაზი. ტალღონით - ნახევარი პური და კარტოფილი.

მამა დაჭრეს. როცა ის ყავარჯნიანი ვნახე, მაშინ მივხვდი, რატომ იქცეოდა უცნაურად დედა: ამას მიმაღავდა. ერთ კვირადღეს სალოცავად მივდიოდი. ეზოში ყველანი მოწყენილები იყვნენ. მე მივხვდი, რატომ. წამიყვანეს სტეფანაკერტში. ქალაქის დაბომბვა დაიწყო. ყოველი ბომბის აფეთქებაზე ვლურჯდებოდი და ენა მერთმეოდა. მამა პოზიციასზე წავიდა“.

კრისტიანა ოვანესიანი, 15 წლის

„26.01.92წ. როდესაც აზერბაიჯანელი ომონელები კარინ-ტაგს დაესხნენ თავს - ეს ყველაზე მძიმე დღეა ჩემს ცხოვრებაში. ერთხელ მაღლობზე ავედი და იქიდან ვუყურებდით, როგორ ბომბავდნენ აზერბაიჯანელები სტეფანაკერტს. „გრადის“ დანადგარმა იმსხვერპლა მამაჩემი 19 თებერვალს. ერთი წლის შემდეგ, 6 აგვისტოს, ჩემი უმცროსი ძმა თვალში დაიჭრა. იმ ღამით აგდამიდან დაბომბეს სტეფანაკერტი. როცა შუშა გაათავისუფლეს, ჩვენ ბაბუას სახლში დავბრუნდით. ახლა სახლის აღდგენაზე ვმუშაობთ“.

გაგიკ ბაგერიანი, 15 წლის

„1992 წლის ივნისში ჩვენ ლტოლვილები გავხდით. ჩვენთან ერთად ბებიაც იყო. ის ყოველთვის ტიროდა. როცა სახლიდან მოვდიოდით, მან მიტოვებულ კერიას შეხედა და თქვა: „ო, ღმერთო! შეენიე ჩემს შვილებს“.

აღმოჩნდა, რომ მთავარი გასაჭირი წინ გველოდებოდა.

მე ვნახე, როგორ ხტებოდა მდინარეში ხალხი, რომელიც გამხეცვებულ აზერბაიჯანელებს დაუსხლტა ხელიდან. ვინც ცურვა იცოდა, მიცურავდა, ვინც არა, ღმერთს სთხოვდა შეეღას. ერთი ბავშვი წყალში ჩავარდა. დედამ დაიყვირა და ირგვლივ განწირული მზერით იყურებოდა. მოგვეჩვენა, რომ შეიშალა. ეს რამდენიმე წამს გაგრ-

ძელდა. ის შეშლილივით წამოიჭრა და ბავშვისკენ გაიქცა. ბავშვს მდინარე ქვიდან ქვას ანარცხებდა. ამ დროს რუსი ჯარისკაცი გამოჩნდა, წყალში გადახტა და მდინარის ქაფს დაუნყო ბრძოლა. ჩვენ ზემოდან შიშით დავყურებდით ყოველივე ამას.

ბავშვი ჯარისკაცის ხელეშშია. ისინი ნაპირზე არიან. ბავშვი მკვდარია. მე სწორედ ეს დამამახსოვრდა“.

ნუნე მირზაბეკიანი (მე-7 კლასი)

„მე ბაქოში დავიბადე. მხოლოდ პირველ კლასში ვისწავლე. შემდეგ თავს ვშველოდით. მოვედით კიროვაკანში. მინისძვრაში მოვყევით. გადავედით ყარაბაღში. ორი წლის შემდეგ მარდაკერტში მამაჩემი დაიღუპა. ეს იყო 1994 წლის 6 იანვარს.

მან ექვსი ქალიშვილი დატოვა. ჩვენ ეზოში ვთამაშობდით. მე ყვირილის ხმა გავიგონე. როცა სახლში შევედი, ბებია ამბობდა: „ჩემი ქალიშვილის ცხოვრება დაინგრა“. რა მოხდა? ბიძაჩემის ცოლმა თქვა: „არაფერიც არ მომხდარა“. მაგრამ მე ერთი შემთხვევა გამახსენდა: როდესაც მამაჩემის ძმა დაიღუპა, მაშინაც ამბობდნენ - არაფერი მომხდარაო. მე მივხვდი, რომ მამაჩემი მოკვდა. მე გრძნობა დავკარგე. ამის დაჯერება არ მინდოდა. ერთ წელზე მეტია, არ წარმოვთქვამ სიტყვას „მამა“. ვისაც ასეთი რამ არ უნახავს, ვუსურვებ, არც არასდროს ენახოს.

ბიძაჩემს, სიკვდილის შემდეგ, ქალიშვილი შეეძინა. სიკვდილამდე მან ცოლს ბეჭედი დაუტოვა. ეს ერთადერთი სინშინდია ოჯახში. ბავშვები ბეჭედს კოცნიან. ბებიაჩემმა ორი ვაჟიშვილი დაკარგა“.

სუსანა ავანესიანი (მე-9 კლასი)



მასწავლებელი: ახლა ვისაუბროთ სიცოცხლის საზრისზე.

მოსწავლე: ახლა მოფრინდება თვითმფრინავი და არ იქნება არც აზრი და არც სიცოცხლე.

(გაკვეთილზე საუბრებიდან)



ისინი გონებას კარგავდნენ, როდესაც მამის დაღუპვას გეზულობდნენ.

ისინი შიშისგან ლურჯდებოდნენ და მეტყველების უნარს კარგავდნენ.

მათ მოთმინება ისწავლეს და სიკვდილის ლოდინი.

მათ ახსოვთ, რა გადახდათ ბაბუებს და ბებიებს, ძმებსა და დებს, ბიძებს და დეიდებს, მეზობლებს და მეგობრებს.

მათ იცინან, რომ უბრალოდ მამა კი არ მოკვდომიათ, არამედ ბებიას შვილი და მამიდის ძმა.

მათ ისწავლეს უფროსების დაბნეული საუბრისა და დუმილის ნაკითხვა, ნიშნებისა და აქსტების იდუმალი აზრები, რომელსაც უფროსები ერთმანეთში ცვლიან.

მათ იციან, რითი განსხვავდება ჭურვი ბომბისაგან.

ისინი ყარაბალის შვილები არიან. შვილები, რომელთა სულში, თუ ომში შვილდაკარგულ მასწავლებლებს ვერწმუნებით, წევდიადმა დაისადგურა.

თუ წევდიადია, მაშინ საიდან ეს მზერის სიმტკიცე, სწავლისა და დამახსოვრების წყურვილი?

საიდან ლოცვის ისეთი ძალა, რომლისგანაც მე, ასაკოვანს, ჟრუანტელი მივლის?



ღამით ვერონიკა ვოსკანიანი თავის შვილიშვილს ფირფიტას ურთავს და სომხურ სულისშემძვრელ მელოდიას ასმენინებს წეროზე. ეს მელოდია მისი შვილის, ალიკის იავნანა იყო. ეს მუსიკა ალიკის გოგონას ლილიასაც გაუცნობიერებლად ძალიან შეუყვარდა. „როგორ გაიგო მან ეს?“ - მეკითხება ვერონიკა ბნელში. ბნელში იმიტომ, რომ შუქი არ არის. როგორც არ უნდა წუოდნენ ჭურვები, ცხოვრების ძაფი შიგადაშიგ წყდება, მაგრამ მაინც გრძელდება. დანაკარგებში ძალას იძენს, გასაჭირში - სიბრძნეს და სიმტკიცეს.



მეზობლის ბავშვი ტირის. გავრბივართ მის დასაწყნარებლად. ბავშვის დედა არ ჩქარობს: „იტვიროს. სომეხისთვის ბავშვის ტირილი - სიხარულია. ტირის, ესე იგი, ცოცხალია!“



„იცით, ყველაზე საშინელი რა იყო, როცა სარდაფებიდან ამოვედით? ერთმანეთს მხოლოდ ხმით ვცნობდით: „კარინა, შენ ხარ?“ „აჰ, სონია, ნუთუ ეს შენ ხარ?“ ყველანი უცებ შევიცვალეთ. ამაზე საშინელი რა უნდა მოხდეს?“ (პენსიონერ კ.გ.-ს მონაყოლიდან)

იმ სახლის მეოთხე სართულზე, სადაც მე ვცხოვრობ, წყნარი ქორწილია. ე.ი. მხიარულებისა და მუსიკის გარეშე. ერთი წლის წინ სიძეს დეიდაშვილი დაეღუპა. ლუბოვ ნერსესის ასული, დაღუპულის დედა, მთლიანად შავებშია. ის მასწავლებელია, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. შვილი პირველ სექტემბერს იყო დაბადებული. ვისთვის ცოდნის დღეა, ვისთვის - სასაფლაოსი. ასე იქნება ყოველ 1 სექტემბერს, სანამ იცოცხლებს.

მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში

სასიძოს დედა დისშვილის პორტრეტთან გაჩერდა. „იმათთანაც ხომ ასეა“. - მეზობლის მხარეს მიანიშნებს. მეზობელი აზერბაიჯანელია.



სტეფანაკერტში დავდივართ. მალა, მეცხრე სართულის სიმაღლეზე, თოკებია გაჭიმული - სახლიდან სახლამდე, მთელი ქუჩის გაყოფილებაზე. თოკებზე მიმაგრებულ ქსოვილზე ვეებერთელა ასოებითაა დანერილი რაღაც სიტყვები. თავიდან მეგონა, რომ ეს რეკლამა იყო. მერმე, ძალა მოვიკრიბე და წავიკითხე: „გაგიკი, 19 წლის“. „ხაჩიკი, 20 წლის“. „გურგენი, 23 წლის“. „სლავიკი, 29 წლის“. ცა მავთულებითაა დანწული, საიდანაც სიკვდილი იხედება. იხედებიან დალუპულებიც. მე არ შემიძლია ცისკენ ყურება. ყარაბაღელები დალუპულებსაც ხედავენ და ვარსკვლავებსაც. ისინი დაინახავენ ხაჩიკს სლავიკთან ერთად და ვარსკვლავს მაშინაც კი, როდესაც თვითონ ცოცხლები აღარ იქნებიან.



შელამებულზე ვბრუნდები. სახლს ვერ ვაგნებ, მიუხედავად იმისა, რომ დიასახლისმა მშვენიერი ორიენტირი მომცა: „აფთიაქის სახლი იკითხე“, ე.ი. სახლი, რომელშიც აფთიაქია განთავსებული. ქუჩის კუთხიდან მამაკაცი გამოჩნდა. მხარზე ზურგჩანთა ჰკიდია.

-სად იყავი?

-ბოსტანში.

-შორსაა?

-თხუთმეტი კილომეტრი იქნება.

-ზურგჩანთა რატომ გაქვს ცარიელი?

-იცი, კიტრი მქონდა დარგული, პომიდორი. ყველაფერი განადგურდა, - ყურებამდე იღიმის. შეიძლება, მე ვერ გავიგე რაღაც.

-საერთოდ არაფერი დარჩა?

-როგორ არ დარჩა, დარჩა. ისე, სიმაართლე რომ გითხრა, არაფერიც არ დარჩა.

აი ასე, ვდგავართ ორნი და ვიცივით. აქ, მთიან ყარაბაღში, ეს სულელური სიცილი დიდ რამეს ნიშნავს: „ჩვენ ცოცხლები ვართ! მართლა ცოცხლები ვართ!“



-ვიქტორია, ნახე, სახლი იწვის. ხანძარია! - ეს მე ვყვირი მთელი ხმით. მეოთხე სართულიდან სქელი კვამლი გამოდის. მეხუთეზე კი ბიჭი და გოგო დგანან და მშვიდად საუბრობენ.

-ეს ხანძარი არ არის, ელვირა. უბრალოდ, მეოთხე სართულზე სა-
დილს ამზადებენ. ქურა ბოლავს. ვინც მეხუთეზე ცხოვრობს, შეჩვეუ-
ლია. კვამლი, დიდი ამბავი! ისინი ხომ ცოცხლები იქნებიან... რა აქვთ
სანერვიულო?

ისინი ცოცხლები იქნებიან... ღმერთმა ქნას!

●

ჩემი დიასახლისი ვიქტორია მეუბნება, რომ იყვნენ ისეთი სომხებიც,
რომლებმაც სარდაფის საკუთარი კუთხის შპალერით მონყობა გადან-
ყვიტეს: ხომ შეიძლება სარდაფში ცხოვრებამ წლობით მოუწიოთ? ამას
ყარაბაღელები ამბობენ: „მამაცები წავიდნენ. დარჩნენ ისინი, რომელ-
თაც არაფრის ეშინიათ“.

მათ მართლაც არაფრის ეშინიათ.

●

სამამულო ომის მონაწილე ხაჩატურ გრიგორიანს ჰყავს შვილიშვი-
ლი სონია, რომელიც თორმეტი წლისა იყო, როცა ომი დაიწყო. ცხოვ-
რობს მარტუნში. ჩვენ ერთმანეთს სტეფანაკერტში შევხვდით, ბაბუამი-
სის სახლში.

-თავიდან ლამაზი იყო, - ამბობს ის, - შენ ხომ ხვდები, სიკვდილი
რომ არის მოსული შენთან.

-რა იყო ლამაზი, სონია?

-რომელი გაინტერესებთ, ჭურვი თუ ბომბი?

ო, ღმერთო! მე ამაზე არ ვლაპარაკობ. ის კი სწორედ ამამა.

-სონია, გქონდა წასვლის სურვილი?

-არა, მე მივხვდი, რომ თმენა და ცდა იყო საჭირო.

-რისი ცდა, სონია?

-სიკვდილის. აბა, მეტი რის. როცა მეზობლები მოკლეს, მე გავიფიქ-
რე: ჩვენ რითი ვართ უკეთესები? ისინიც ისეთივე სომხები იყვნენ, რო-
გორიც ჩვენ. და ჩვენც შეიძლება დავიღუპოთ.

-რომ გაქცეულიყავით?

-ვერსად გავიქცეოდით. ჩვენ სხვა მინა არ გვაქვს, მხოლოდ ეს.

სხვა დროს სონიამ მითხრა:

-როცა თურქებმა დაბომბვა დაიწყეს...

-რომელი თურქები, სონია? ეს როდის, თხუთმეტში?

-დიახ, თხუთმეტშიც და ახლაც.

ისე ამბობს, თითქოს ცხრაასთხუთმეტშიც ისე ეცხოვროს, როგორც
ოთხმოცდათორმეტში.

მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში

„ყოველი გასროლით მტერი გვახსენებდა, რომ ჩვენ სომხები ვართ“, - ეს მან დამშვიდობებისას მითხრა. ფეთქდება ეროვნული გენური მეხსიერება. ამ ომებს რატომღაც ლოკალურს უწოდებენ. ფსიქოლოგიური შედეგები კი ტომტალურიან.



-რა არის ეს? - ეკითხება ალიკი თავის გოგონას და ერევნული ტროლეიბუსისკენ ახედებს.

-ეს დაბმული ტანკია.



ახლა უკვე ზუსტად ვიცი, სიკვდილის წინ რას ვნახავ, მეხსიერებამ თუ არ მილაღატა. აი, რას ვნახავ: ხევი მთებს შორის. ვირი, რომელიც მორყეულ ხიდზე გადადის. ცრემლით დანამული ბოლოკის კონა სომეხი კაცის ხელში.

ამ ხევთან ალიკ ვოსკანიანმა მიმიყვანა. „აი, თქვენ სიურპრიზი გამგზავრების წინ“ და მიჩვენებს წყაროს, საიდანაც წყალი გადმოედინება. ეს იყო ნატურალური ნარზანი. ალიკის მამა წარსულში მზურღავი ოსტატი იყო. მთელი ცხოვრება და მთელი ძალ-ღონე კასპიის ნავთობს შეაღია. ლოვილური ოსტატი - ეს ისაა, რომელსაც შედუღაბება და სხვა სამუშაოების შესრულება დიდ სიღრმეზე შეუძლია. ზუსტი გათვლის გარდა განსაკუთრებული ინტუიციაც არის საჭირო, მექანიზმმა წყლის ქვეშ გამართულად რომ იმუშაოს. ზავენი, ალიკის მამა, წყლის საძებნელად ბაქოდან მთიან ყარაბაღში ჩამოვიდა. ყარაბაღში გათხრილი ათობით არტეზიული ჭა მისი ნახელავია. დავდიოდი ზავენთან ერთად სტეფანაკერტში და მაკვირვებდა, რომ ისიც ესმოდა, რაც მიწის სიღრმეშია დაფარული. ნარზანის წყარო ზავენის აღმოჩენილია.

...დღე ჩქარა შეცვალა წყვილიადმა. მთიდან ნელა მობობლავდა ტომრებით დატვირთული ვირი. გვერდით მამაკაცი მოჰყვებოდა, წკნელით ხელში. ერთმანეთს გავუსწორდით. როცა გაიგო, რომ რუსი ვარ, ჩამოსული, მამაკაცმა საჩქაროდ ტომრის გახსნა დაიწყო. ამოიღო ბოლოკის კონა და გამომიწოდა. მას მოეჩვენა, რომ ეს ცოტა იყო და კვლავ ტომარაში ჩაჰყო ხელი, რაც შეიძლება ბევრი ბოლოკის ამოსაღებად. მე უკვე ვიცოდი, ამ ადგილებში კონა ბოლოკი რას ნიშნავს და შეხვედრის გასახანგრძლივებლად დაუწყე ლაპარაკი ცხოვრებაზე. რუსულ და სომხურ სიტყვებს ურევდა ერთმანეთში, მიაშობო, რომ შვილი მოუკვდა. ბრძოლაში მოკლეს. ახლა ის და მისი ცოლი მარტოდმარტონი დარჩნენ მთელს დუნიაზე. მას კიდევ რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები

არ ემორჩილებოდა და უცებ, სიტყვაგამწყდარმა, ტირილი დაიწყო. ცრემლებს იმ ხელით იწმენდა, რომელშიც წელან მიწით დასვრილი ბოლოკი ეჭირა. მიწა ლოყებზე ჰქონდა მიკრული, ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. ჩემს თვალწინ ის თანდათან უძლურ მოხუცს ემსგავსებოდა. შემდეგ, ეტყობა, მიხვდა, რომ ვერ შეძლებდა, ეთქვა ჩემთვის ის, რისი თქმაც სურდა, ხელი უმწეოდ ჩაიქნია, ვირი წინ გაირეკა და ვინრო ბილიკს გაჰყვა. დიდხანს ვადევნებდი მზერას. მან ბილიკიდან გადაუხვია და მთას მიეფარა. მე კი თავში ისევ ის შეკითხვა მიტრიალებდა: ღირდა კი დამოუკიდებლობა ამ ჭაბჭაბუკის, ამ გლეხის შვილის სიცოცხლედ?

...ეს მუდამ ასეა, როდესაც ყარაბალიდან მიემგზავრები. მთებისა და ვარსკვლავების შემხედვარე, ფილოსოფიურ-განყენებულ ტალღაზე ერთვები. ან გზაში რომელიღაც შემთხვევითი შეხვედრა ისეთ ნამდვილ, ჭეშმარიტ, აუტანელ ტკივილს მოგგვრის, ისე მოგიწურავს გულს, რომ მთელი შემდეგი წელი ყარაბალთან ახალი შეხვედრის იმედით ცხოვრობ, რათა საკუთარი დარდი განიქარვო, დარდი, რომელიც არასდროს თავდება. ნუთუ ესაა ყარაბალის ხვედრი? ნუთუ?

ბზა შინისაკენ

ეშმაკმა მიბიძგა, ალბათ, მთიანი ყარაბალიდან თბილისისკენ გამეწინა, კიროვაკანის გავლით. ზუსტად შუალამით ავტობუსი გაჩერდა შენობასთან, რომელსაც ფანჯრები ჩამტვრეული ჰქონდა, კარები კი არ იკეტებოდა. ეს სადგური იყო. შენობაში, სადაც ქარი ყველა მხრიდან უბერავდა, ეულად დაყიალობდა ორი-სამი ფიგურა - ან ჩრდილი, ან ადამიანი. პირველად, ჩემი გრძელი შარავზის მანძილზე, შიში თუ ძრწოლა ვიგრძენი. გუნება გამიფუჭა ფიქრმა, ნუთუ ჩემს ასაკში, ჩემი სანყალი გროშებით, ყოველი შვებულება ერთი ცხელი წერტილიდან მეორეში წონიალში უნდა გავატარო? ვინ და რამ უნდა გამაჩეროს?

შემოდგომისთვის შეუფერებელი სიცივე ძვალსა და რბილში მატანს. როგორც იქნა, ვნახე წარწერა: „ხანგრძლივი დასვენების ოთახი.“ კარი მორიგე მამილო. მას გოარი ჰქვია. მე „ვრითმაც“: გასპარიანი (საინტერესოა, სადაა ახლა ეს მომღერალი, ცოცხალი თუა?) „ყავა გინდა?“ - ფართოდ იღიმება გოარი. არადა, ჯერ არც იცის, ვინ ვარ, საიდან ვარ. პატარა სამორიგეო ოთახში ხუთიოდე წლის არმენს სძინავს. ჩვენ ერთობლივად „ვრითმაც“: ჯიგარხანიანი. მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი ზის, ლამაზი, სევდიანი თვალებით. ზოია გოარის შვილია.

დედა თამაშს აგრძელებს. „ზოია... კოსმოდემიანსკაია?“ მე ვიცი ომის გზებზე ამ თამაშების მალული აზრი, ეს თამაში სულაც არ არის. ეს ერთმანეთისთვის ცნობიერების გადაცემის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა: „ჩვენ ერთმანეთი ვიცით, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ჩვენ ერთ დროს ერთი მთლიანი ქვეყანა ვიყავით... გამორიცხულია, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვახსოვდეს“.

ზოია სასაზღვრო რაიონში ცხოვრობს. იქ დღემდე ისვრიან. აქ ექიმთან ჩამოვიდა. „იცი, ყველაფერი მტკივა“. ეს ყველგან მესმის. მოსაბრუნებელი ადგილი არაა. მე უკვე ვიცი, რა ღირს სომხური დიდმოთინება. „ნადი, დანეკი. ბოდიშს გიხდი, შუქი არ არის. არც წყალი. არც საპირფარეო“. „მამაკაცების ხომ მუშაობს? ჩემი თვალით ვნახე!“ - ავფეთქდი მე. „ის არ მუშაობს, როცა იქ მამაკაცია. და მუშაობს, როცა იქ მამაკაცი არ არის. გაიგე?“

მე ყველაფერი გავიგე.

ოთახში ფანჯარა ფართოდ არის გაღებული. სიბნელეში ტანზე ვიხურავ ჭუჭყიან ძონძებს. ასეთივე ძონძების გროვა გვერდითაც აღმოვაჩინე. ღამის ორ საათზე გროვა შეინძრა: „ელცინს რომელ თვეში ირჩევენ?“ ო, ღმერთო! „მგონი, დეკემბერში“, - ვამბობ და ვხვდები, რომ სხვა არჩევნებში ამერია. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გაისმის: „ჩვენს პეტროსიანს რომელ თვეში ირჩევენ?“ ღმერთო, არ ვიცი! რა ჩვენი საქმეა, ძვირფასო ასია ალავერდის რაიონიდან, რა გვესაქმება ჩვენ მათთან? ნებისმიერი ხელისუფლების ჟამს, შენ, ბიბლიოთეკარი, კიროვაკანში ივლი მანვნის გასაყიდად, ზედმეტი ხუთასი მანეთის საშოვნელად. მე კი ვიხეტივალე „ხანგრძლივი დასვენების ოთახებში“, სადაც არც წყალია, არც შუქი, არც ტუალეტი.

სისხამი დილაა. ჯერ კიდევ ბნელა. „შენი სამუშაო მოგნონს?“ - მეკითხება ასია. „რატომ არ უნდა მომწონდეს?“ „დღეს სომხეთი, ხვალ - საქართველო... ასე შეიძლება?“ „მე მოვკვდები, ასია, თუ საზღვრები ჩაკეტეს. მე მოვკვდები, თუ ეს შეუძლებელი გახდა!“ „შენ ორმოცისა ხარ?“ სანამ არ გათენებულა, ამ მხიარულ შეკითხვაზე დაგშორდები, ასია. მაპატიე, ფანჯარა ისე მივხურე, შენი მანვნის ქილები არც შემინიშნავს. ჩემშია გოარი და ზოია თავისი არმენით. ჩემშია ასია. ჩემშია კიროვაკანი, დაქსელილი მავთულებით, რომლებშიც „მარცხენა“ დენი გადის. ჩემშია ყველა, ვისაც გზაში შევხვდი.

წინ ჩემი ოცნების ქალაქია, თბილისი. საყვარელი და მშობლიური, როგორც ერთ სიმღერაშია.

ნარკვევი მესამე

ჩეჩნეთი. 1995 წელი

როდესაც 1995 წლის 7 აპრილს სამაშკის ბომბავდნენ, ვიცოდი, როგორც კი შვებულებას ავიღებდი, პირველ რიგში, იქით ვავემართებოდი. შემოდგომამდე იმის გარდა რა დამრჩენოდა - „ჰაჯი-მურატი“ გადმომელო და კითხვა დამეწყო. მე მაშინაც მეჩვენებოდა, რომ ჩემმა საყვარელმა ტოლსტოიმ მოიგონა ჰაჯი-მურატი.

მოთხრობაში არის გამგმირავი ძალის ეპიზოდი, თვითონ ჰაჯი-მურატის მიერ მოყოლილი. მან სასიკვდილოდ დაჭრა ერთი მიურიდი. ის ეუბნება: „შენ მე მომკალი. მე კარგად ვარ. შენ მაჰმადიანი ხარ, ახალგაზრდა, ძლიერი. მიილე ჰაზავატი. უფალი ბრძანებს.“

-და რა, შენც მიილე? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

-არ მიმიღია, ფიქრი დავინყე. - თქვა ჰაჯი-მურატმა.“

სად არიან ისინი, მოფიქრალი მთიელები? ასე ვბჭობდი სახლში, ტელევიზორის ეკრანს მიჩერებული, სადაც სიკვდილის როკვას ჯოხარ დუდაევის პორტრეტებით აღჭურვილი ბრბოს ღრიანცელი ცვლიდა.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მაიძულებდა, ჩეჩნეთში გამგზავრება დამეყოვნებინა. ეს იყო 1992-1994 წლების ქართულ-აფხაზური შთაბეჭდილებები. 1992 წლის ოქტომბერში, ბლოკირებულ სოხუმში ყოფნისას სრულად შევიგრძენი ის, რასაც ჩემთვის ჩეჩნურ მუქარას ვუნოდებდი.

ტელევიზიით არაერთხელ გამოვიდა მეამბოხე გენერალი, რომელიც თბილისის აფეთქებას ვგპირდებოდა. მაგრამ ჩემი ყველაზე მთავარი „კოზირი“ ჩეჩნეთის წინააღმდეგ გახდა ერთი ქართველი მამის, სახელად სულიკოს, ვარამი. მან შვილი დაკარგა, ეკატერინბურგის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. ვახტანგი სოჭში რუსული დაქვემდებარების გემით მიემგზავრებოდა.

მამა-შვილი ერწმუნენ 1992 წლის 21 სექტემბერს მოსკოვში დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. შევარდნაძის და არძინბას არცთუ მეგობრული ხელის ჩამორთმევა განმტკიცებულ იქნა რუსეთის პრეზიდენტის ხელით. ეს სიცოცხლის გარანტიას იძლეოდა. ასე ფიქრობდა მამა-შვილი. სანყლები, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ არანაირი ოფი-

ციალური დოკუმენტი ჯამში არაფერს ნიშნავს, როცა საქმე ცალკე, კონკრეტულ, კერძო პირამდე დადის.

ბიჭვინთაში გემზე ამოვიდნენ „ჩეჩენი ადამიანები“, როგორც მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა კაპიტანი და მგზავრები ეროვნული ნიშნის მიხედვით გამოხშირეს. პირველად მაშინ გავიგონე სიტყვა „ნმენდა“. ლაპარაკი იყო ეთნიკურ ნმენდაზე. ამ „ნმენდებს“ პირდაპირ შევეფეთე სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში, აფხაზეთში, ინგუშეთში, მთიან ყარაბაღში. ამაზე მშვიდად, პირდაპირ და ღიად საუბრობენ.

როგორც ჩანს, „ჩეჩენმა ადამიანებმა“ დახვრიტეს ეკატერინბურგელი ბიჭი, ქართველი კაცისა და რუსი ქალის შვილი. ოთხი წლის განმავლობაში (უკვე მეხუთე წელი მიდის) ცდას არ ვაკლებ, რომ მოვძებნო ერთადერთი ადამიანი, დავხმარო მხოლოდ ერთ მამას. მაგრამ რუსეთის გემის კაპიტნის ფრაზა „ჩეჩენ ადამიანებზე“ სისხლში ჩამიჯდა და ომთან რთული ურთიერთობა ჩამომიყალიბა. მახსოვს, სახალხოდ არაერთხელ მითქვამს, იმით, რომ გულგრილები დავრჩით ქართველი მამის ვაების მიმართ, ჩვენ, რუსები ჩვენს ვაებას მოვიმკით-მეთქი. ეს მხოლოდ გვეჩვენება, რომ ომებს ლოკალური ხასიათი აქვთ.

1992 წლის დეკემბერში, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის თენგიზ აბულაძის სახლში, წამომცდა შემადრწუნებელი ფრაზა: „დაიცადე, რუსეთო. მალე შენი დროც მოვა“. იმ პერიოდში ლამის ჭკუიდან შემშალა სასაზღვრო სამსახურის რეაქციამ რუსული გემიდან მგზავრების დაკარგვის შესახებ. გემის კაპიტანი არ მალავდა, რა ბარბაროსულად ექცეოდნენ მათ, ეკიპაჟის წევრებსა და მგზავრებს.

რა მოიმოქმედა სასაზღვრო მმართველობამ?

არაფერი! პასუხი: „გააგრძელეთ გზა“.

ნუთუ მაშინ უკვე არსებობდა შეთანხმება ბოვეიკებსა და ფედერალებს შორის? ომი, როგორც მე მეჩვენება, 1994 წლის დეკემბერში არ დაწყებულა. ის, ჩვენი მონაწილეობით, ყველაზე ნაკლები, 1992 წელს დაიწყო და განვითარდა.

დიახ, ვალიარებ! მე არ შემეძლო, დამევიწყებინა არც სულიკო, არც მისი ვაჟიშვილი, არც ასეულობით ქალი სვანეთიდან, რომლებიც თავიანთ ქმრებს და შვილებს ეძებდნენ.

ყველაზე ხშირად მახსენდება შალვა, რომელიც ერთი წლისაც არ იყო, ქართველი მამაკაცისა და რუსი ქალის შვილი, სოხუმიდან ჭუბერის უღელტეხილით წამოყვანილი.

რეზო ლომიძე, სოხუმელი მძღოლი, თავის ოჯახთან ერთად (მცირენლოვანი ბავშვები, მოხუცები) მშობლიური სახლიდან 1993 წლის 27 სექტემბერს გადმოვიდა. ყინავდა. ორი თვის შალვა გაიყინა. დანაც კი არ ჰქონდათ, საფლავი რომ გაეთხარათ. ბავშვი დიდ ჩანთაში ჩაასვენეს და მთას აუყვნენ.

ინგა, რეზოს მეუღლე, მიაბობდა: „მეორე ბავშვი ჩემს კალთაზეა ჩაბლაუჭებული, ხელში მაქვს ჩანთა, რომელშიც შალვაა. ასე მივედით საკენამდე. გზაში ერთი სვანი შემოგვხვდა. კოცონი დაგვინთო. ვზივართ, ვთბებით. ჩანთა მუხლებზე მიდევს. ერთი საათის შემდეგ ჩანთა შეინძრა. დედა, რა არის ეს? გავხსენით ჩანთა - ბავშვი ილიმბა. ცოცხალია! და რას ფიქრობ, გამიხარდა? არა! შევშინდი. ხომ არ მეჩვენება? ღამე კოცონი. ჩემს ხელებთან სხეული ინძრევა.“

რეჟისორი მიმა ჭიაურელი, დიდი ვერიკო ანჯაფარიძის შვილიშვილი, იღებდა რეზოს იმ მომენტში, როდესაც ის მის სახლში გაზრდილ დის-შვილს დასტიროდა. მან გზას ვერ გაუძლო. გარდაიცვალა. „იცი, გზაში ყველაზე საშინელი რა არის? ახლობლის დამარხვა რომ არ შეგიძლია. ბავშვებს არ ესმით, რატომ ვტოვებთ მიცვალებულს და მივიღვართ. როგორ გინდა აუხსნა?“ - მეკითხება რეზო.

მე არ ვიცი, ამის ახსნა როგორ შეიძლება.

ინგასა და რეზოს ოჯახს გორში შევხვდი, უსახურ ხუთსართულიან სახლში, რომელიც დევნილებითაა გადაჭედილი. ახლოვდებოდა ერთი წლის თავი, რაც ქართველები სოხუმიდან წამოვიდნენ. ფანჯრის რაფაზე დალუპულის სურათი დევს. როცა ბავშვებს კანფეტს აძლევენ, იმ სურათთან მიაქვთ.

შალვა უკვე ერთი წლისაა. მე ხელით ვეხები მის სხეულს და დანაშაულის შეგრძნება მიპყრობს. რას ვაკეთებდი მე მაშინ, როდესაც შალვა იყინებოდა და მერე ცოცხლდებოდა? რას?

მე ვიცოდი, რომ ჩეჩნეთში მანც ნავიდოდი, მაგრამ გამგზავრებას კვლავ ვაყოვნებდი.

...1995 წლის სექტემბრის დასაწყისში ფილმის გადაღებაზე მოვხვდი. ფილმს „ათას ერთი რეცეპტი შეყვარებული კულინარისთვის“, სადაც მთავარ როლს პიერ რიშარი ასრულებდა, ჩემი ნაცნობი ნანა ჯორჯაძე, მეუღლის, ირაკლი კვირიკაძის სცენარით იღებდა. ქართველ თავად ქალს, რომელიც ფიცხ კულინარს შეუყვარდება, ნინო კირთაძე თამაშობდა, ერთ-ერთი მსხვილი საზღვარგარეთული სააგენტოს თანამშრომელი. ნითური ლამაზმანი თბილ ტყავის ჩექმებში დალივლივებდა. თეთრი კაბა ეცვა. ეს მისი პირველი როლი იყო კინოში.

შესვენებისას ნინოს გავესაუბრე. უცებ ასეთ რამეს მეუბნება: „ზოგჯერ ეს ყველაფერი ისე ირეალურ რამედ მეჩვენება, რომ სურვილი მაქვს, ყველაფერს თავი დავანებო და მივატოვო. ნამდვილი რეალობა, სადაც ამჟამად უნდა ვიმყოფებოდე - ჩეჩნეთია“. აი ასე!

ნინო ჩეჩნეთში ომამდეც იყო და მაშინაც, როცა ირგვლივ ყველაფერი დულდა. ნინო, როგორ შეგიძლიათ ჩეჩნებს უთანაგრძნობთ? ნუთუ არ გახსოვთ შამილ ბასაევის რაზმი აფხაზეთში? ნუთუ?

პასუხად ასეთი სიტყვები გავიგონე: „რას ამბობ, ელვირა? ისინი, ვისაც იქ ვხედავდი, ზუსტად ისევე იბრძოდნენ საკუთარი თავისუფლებისთვის, როგორც ჩვენ. რა დამავინწყებს, როგორ ლოცულობდნენ ბრძოლის წინ. ტელევიზორის ეკრანიდან მათი ცეკვა რალაცნაირად საძულველად ბრაზიანია. მაგრამ, როდესაც კონკრეტულ ჩეჩენს ხედავ, რომელიც ფიცს დებს, რომ თავისუფლებისთვის თავს განირავს, შენ არა მარტო თანაუგრძნობ მას, შენ იცი, რომ ის მართალია. ამაშია საქმე. აფხაზების მიერ დაქირავებულ ჩეჩნებზე მეკითხებოდი. დაქირავებულებს სამშობლო არა აქვთ. გგონია ქართველების წინააღმდეგ მებრძოლებში ერთი ქართველიც არ არის? ეხლაც თვალწინ მიდგას: როკვა - ფიცი ჩამავალი მზის ფონზე - მოქნილი ხელები ცისკენ ინევენ... მე იქაურობა მიზიდავს. ჩემს მეგობარ ჟურნალისტს ჩეჩნები ხშირად ეკითხებიან: „სად დაიკარგა თქვენი წითური? რატომ არ მოდის?“ ზოგჯერ ვნანობ, რომ ფილმში გადაღებაზე დავთანხმდი...“

მეორე დღეს არ მივედი გადაღებაზე და პიერ რიშართან შეპირებული საუბარიც არ შედგა. გროზნოსკენ გავწიე. მაფრთხილებდნენ, რომ გამგზავრება ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დღის შემდეგ სჯობდა. მაგრამ ისე მრცხვენოდა ჩემი ამდენი ხნის შეყოვნების, რომ ზუსტად იმ დღისთვის გავეშურე გროზნოსკენ.

გზაში ერთი ამბავი გადამხდა, რამაც კარგა ხნით ამომავლო კალაპოტიდან.

პედაგოგობა

ეს პლიევოში მოხდა - ოციდან ერთ-ერთ კარგების ქალაქში, რომელიც ლტოლვილებისთვის არის მონყობილი. ინგუშეთში 61 ათასზე მეტი ლტოლვილია.

ქალაქში ჩემი მეგზური, არც მეტი, არც ნაკლები, გენერალი ბაშირ აუშევია. ის ქალაქის გეგმურ დათვალეირებაზეა ჩასული. ნაზრანში ჩამოსვლის პირველ დღეს შემთხვევით ნავანყდი ვაკონს, რომელიც მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ბლოკთან იყო მიდგმული. მაგიდასთან გენერალი იჯდა, დაცვის გარეშე. მისი სამუშაო დღე მთავრდებოდა. გაქათქათებული პერანგი. დახვეწილი მანერები. ბრწყინვალე რუსული მეტყველება. ნათელი აზრი და ნათელი ნება - ასე ჩამოვაყალიბებდი ახალგაზრდა გენერლის არსს. დრო, როდესაც გენერალს შევხვდი, მისთვის რთული იყო. ის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაათავისუფლეს და ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის შედეგების ლიკვიდაციის დროებით კომიტეტში გადაიყვანეს. გენერალი თავისებურად ხედავ-

და ვითარებას, მაგრამ საუბარს თავს არიდებდა. დროებითი კომიტეტი - მაშ, იყოს დროებითი კომიტეტი.

მას არ სურდა, თან წავეყვანე. ალბათ მობეზრებული ჰქონდა თავი სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულებისგან. არავითარი შედეგი, მხოლოდ გაუთავებული ლაყბობა.

ჩვენი საუბრის დასასრულს ის კეთილად განენყო. გასვლა ხვალ დილის ცხრა საათზე დაიგეგმა. 08. 55-ზე გენერალი მანქანაში იჯდა.

ჩვენს ქალაქში სამასზე მეტი კაცია. სხვაობა რეალურ და დარეგისტრირებულ ლტოლვილებს შორის ისეთია, რომ რვაკაციანმა ოჯახმა შეიძლება საკვები ხუთ ან სულაც ოთხ კაცზე მიიღოს. აქ 222 ბავშვია. ტან და ფეხშიშვლები, ნახევრადმშვივრები.

ქალაქში მოგზაურობა ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ადმინისტრაციული შენობიდან დავიწყე, მესამე სართულზე განლაგებული ოთახიდან. უყურებდე ადამიანებს, რომლებიც ოცდაათწლიანი სიცხეში გახურებულ ოთახში იმყოფებიან, აუტანელია. ბედს სურდა, ტემპერბიეების ოჯახში მოვხვედრილიყავი. სხვა შთაბეჭდილებები ვერასდროს გადაფარავს იმას, რაც იქ ვნახე. ამას მთელი ცხოვრება ვერ დავივიწყებ.

მკითხველო, თუ გეშინია, შეგიძლია რამდენიმე აბზაცი გამოტოვო. მართლაც, რატომ უნდა გაინვალო თავი...

ტაბურეტს, რომელზეც თეფშით გაცივებული ფაფა დევს, მისხდომიან - უფეხო ინვალიდი, ორი წლის ბავშვი, მისი კუზიანი დედა, ექვსთითა დაუნი და ტარანივით ხმელი მოხუცი ქალი, დიდი სამამულო ომის მონაწილის ქვრივი. გამოაქვთ ორდენები, მედლები. პირველად ხელში ვიღებ წითელი ვარსკვლავის ორდენს. ვფურცლავ ახმეტ ტემპერბიევის სამხედრო ბილეთს. ჩვრებიდან კვლავ ცვივა მედლები. ფაფის ნარჩენებში ირევა.

ისინი პირველად „ბეტეერით“ ვლადიკავკაზიდან გროზნოში გამოიქცნენ. რაც კი ჰქონდათ, მგზავრობის საფასურად გადაიხადეს. შემდეგ გროზნოდან ნაზრანში გაიქცნენ. მანამდე, უფეხო ინვალიდს მძევლად ყოფნამ მოუწია. „მე ვერ ვმოძრაობ. მორგევი ჩამადგეს. ასე, მკვდრებს შორის ვიჯექი“. სახსარი საერთოდ არ გააჩნიათ. აქვთ მხოლოდ დაღუპული მამის ორდენები და მედლები. საინტერესოა, როგორ მოჰქროდნენ „ბეტეერით“ უფეხო და დაუნი? „ერთმანეთს ჩავეჭიდეთ და ასე ერთ გორგლად შეკრულები ჩამოვვდით გროზნოში“, - ამას ქვრივი ამბობს.

შემდგომში მე კიდევ ბევრ რამეს ვნახავ, მაგრამ ვერც ერთი შეხვედრა ვერ ამოადგებს ჩემი მეხსიერებიდან ამ საცოდავ ოჯახს, რომლის ნევრებიც, დახმარების იმედით, ვედრებით შემომცქეროდნენ. მათ თვალბში მუდარის გარდა არაფერი იყო. ისინი ვერც კი მიხვდნენ, ეს უკვე

მეთხე წელი, რა სჭირთ, რა ემართებათ. მათ რაიმეს შემეცნების თავი არცა აქვთ. მათთვის მთავარია, ცოცხლები გადარჩენ, ამ სიტყვების პირველყოფილი მნიშვნელობით. მათ სულ ეჩვენებათ, რომ ერთ დღეს ვიღაც მოვა და იტყვის: „მორჩა! საკმარისია! ალაჰმა გამოგცადათ. ყველაფერი კარგად იქნება“. მაგრამ არავინ მოდის და არც არაფერს ამბობს.

...ორ „ოთახს“ შორის ჭუჭყიანი ჩვრებია გაფენილი. ასეა განცალკევებული ოჯახისგან ტუბერკულოზის ბოლო სტადიაში მყოფი ავადმყოფი. შევდივარ და ვხედავ, როგორ იხრჩობა სასიკვდილო ხველებში მამაკაცი. „კვდები. თუ გული მიგივათ, დამხედეთ“. შემიძლია. დავხედე.



საცხოვრისი არ მაქვს. შემთხვევით ვხვდები პრეზიდენტის სასტუმრო სახლში. საუნა. ხალიჩები. ტელევიზორები. ტულეტები. არავითარი განკარგულება აქ ცხოვრებაზე არ გამაჩნია. ველოდები, სახლი როდის დაწყნარდება, რომ იატაკზე დასაძინებლად მოვკალათდე. გვიანაა, მაგრამ სახლში მაინც ჩოჩქოლია. საპატიო სტუმრის ჩამოსვლას ელოდებიან. დღეს ეს სტუმარი მიხეილ ლაპშინია, აგრარული პარტიიდან. სახალხო ბედნიერებისთვის მოამაგენი მთელ ზაფხულს მოგზაურობაში ატარებენ. სამზარეულოდან ხორცის სუნი გამოდის. ჭამა მინდა.

ეზოში გავდივარ. სტადიონის მხრიდან მომღერალ აზიზას ხმა ისმის. თავის სიმღერებს ლტოლვილებს უძღვნის. გამოდის, ტემპერებიეგების ოჯახსაც, გამიელვა თავში. სტადიონი ბობოქრობს. მეჩვენება, რომ ჩვენ ყველანი რაღაც მეორე რეალობაში ვცხოვრობთ, რომელიც ნიშნების, მითების, სიმბოლოების, კლიშეებისგან არის შემდგარი. ხოლო ნამდვილი ცხოვრება, თავისი ზღვა განცდებით, წრფელი ტკივილებითა და ვარა-მით პარალელურად გადის, ჩვენს ცნობიერებასთან შეხების გარეშე.

ჩვენ ვხვდებით ან არ ვხვდებით მიხეილ ლაპშინს, ვმღერით სიმღერებს, რომლებიც ლტოლვილებს ეძღვნებათ და რომლებსაც ისინი ვერასდროს მოისმენენ, რადგან ეს უბედური ადამიანები თავიანთ ვაკონტებში ჩუმად კვდებიან. დგანან არტილერიის მიერ დანგრეული სახლები. ხოლო სადღაც დანგრეულის აღსადგენად გამოყოფილი თანხიდან ფულების წვიმა მოდის. შეგრძნება უფრო გამომძაფრდა, როდესაც პლიევოდან დაბრუნებულმა, ტელევიზორში ბორის ელცინის გამოსვლას ვუყურე. ლამის „ვესტიში“ პრეზიდენტი აღშფოთებულს გამოხატავდა ბოსნიაში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო. გაიცა დაპირება დიდი ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. ეს რომელია? პლიევოში რომელია?

სულელურად გაშეშებული, ოლექკას ხმას გამოვყავარ გარინდებიდან. ოლექკა სახელმწიფო დუმის ერთ-ერთი დეპუტატის თანაშემწეა. ამჟამად ინგუშეთს სტუმრობს. როგორც კი საუნიდან გამოვიდა,

ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა: „თქვენ, ძვირფასო, გროზნოში ჯერ არ ყოფილხართ?“ პასუხს არ დალოდებია, ისევ აჭიკჭიკდა: „იცით, მე იქ არ ვიყავი, მაგრამ ამბობენ, რომ სუფთა ტარკოვსკია. წარმოიდგინეთ, სახლი არ არის და არის, ვთქვათ, ერთი ფანჯარა. და ის კიღია სივრცეში. თითქმის ისე, როგორც საწოლი. თქვენ გახსოვთ ეს კადრი ფილმიდან „სარკე?“

ვილაცამ შენიშნა, რომ მრუდე სარკეებს თავიანთი ესთეტიკა გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, უხამსობა ყველგან უხამსობაა. ომშიც.

ოლეჩკას ჭიკჭიკს ადმინისტრატორის ხმა ფარავს: „თანხის გადახდას ნუ აყოვნებთ. ხომ გახსოვთ, დღე-ღამე ჩვენთან ორმოცდაათი ათასი ლირს.“ მე ანგარიშს ვინყებ. სისხამ დილით, სანამ ყველას ძინავს, ჩემს ნივთებს ვიღებ და მეორე კარიდან გავდივარ. მთელი ღამე გაჭენებულ „ბეტეერზე“ შემომჯდარი უფეხო ინვალიდი და დაუნი მესიზმრებოდა.

სამაშკი

ჩეჩნეთი სინამდვილეში სრულიად სხვანაირი აღმოჩნდა, სრულიად არა ისეთი, როგორც ჩემს დამახინჯებულ წარმოსახვაში იყო. მომიტევე, ჩეჩნეთო, მომიტევე! მაგრამ ჩეჩნეთზე მოყოლა სამაშკიდან მინდა დავიწყო. ჩემი ტკივილიდან და სირცხვილიდან. რუსეთის სირცხვილი - აი რა არის სამაშკი.

სამაშკიმდე მისვლა ძნელია. დიდი გაჭირვებით მოხვდი აჩხოი-მარტანში. მე სკოლას ვეძებდი. ცხელი სექტემბერი იდგა. №3 სკოლაში მშენებლები მუშაობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კვირადღე იყო. ცხელ წერტილებში მუშაობასთან დამოკიდებულება ყველგან განსაკუთრებულია. სწორედ მუშაობა, რაც არ უნდა მძიმე იყოს ის, უბრუნებს ადამიანს ნორმალურ მდგომარეობას. ადამიანისთვის სამუშაო თავისუფლების ყლუპია, ომის გარეშე ცხოვრების იმედი. №3 სკოლაში გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს. სკოლის დირექტორი, ისტორიკოსი ჰასმაგომეტ ჰასანის ძე ოსმაევი, მშენებლებისთვის ჩაის ადუღებს. მისი შეხედულება ომზე განსაკუთრებულია, მაგრამ ზუსტად აქ, ჰასმაგომეტის კაბინეტში, გავიგონე სიტყვები: „ომმა თავისი საქმე გააკეთა“. ამას ამბობდა, როგორც მასწავლებელი და როგორც ისტორიკოსი. მან გამაფრთხილა: სამაშკისკენ გზა არ არის. სულაც არ გაჰკვირვებია, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, სამაშკისკენ წასვლა რომ მქონდა გადაწყვეტილი.

ბაზარში წავედით, რათა წაგვეხემსა. გაოგნებული დავრჩი ჩეჩნების დამოკიდებულებით ჩემდამი, რუსისადმი. თანდაყოლილი სიამაყე უფლებას არ აძლევს მათ - დარდს მიეცნენ. უკანასკნელი ძალების მოკრებით

ახერხებენ გაძლებას. კი, შენ რუსი ხარ, მაგრამ პირველ რიგში, სტუმარი ხარ, და მე მოვალე ვარ, დავივინყო ანგარიში, რომელიც შემიძლია წარგიდგინო. მთიელი სიყალბეს უცებ გრძნობს. როცა თავს უფლება მივეცი, მეთქვა - შესაძლებელია, მეც ამელო ხელში იარაღი, როგორც თქვენ, ჩეჩნებმა აიღეთ-მეთქი, სასაუზმის მეზობელ მაგიდასთან მსხდომმა ბიჭებმა შემანყვეტინეს: - თქვენ გულწრფელი არა ხართ, ქალბატონო. ვის წინააღმდეგ დაინწყებთ ბრძოლას? საკუთარი სამშობლოს ჯარის წინააღმდეგ? თუ როგორ წარმოგიდგენიათ სიტუაცია, იარაღით ხელში? - და მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტში აბსოლუტურად გულწრფელი ვიყავი, საერთო სიყალბე ჩეჩენმა ზუსტად დააფიქსირა. მე გრძნობების აწონვა ვისწავლე. კიდევ - სიტყვების.

შემდეგ ჰასამაგომეტთან ერთად ხიდისკენ წავედი და ორი წვერებიანი ახალგაზრდა დავინახე ავტომატებით ხელში.

- ვინ არიან? - ვიკითხე.
- ბოევიკები. - მიპასუხა დირექტორმა.
- მათთან დალაპარაკება შეიძლება?
- რატომაც არა?

მე ბოევიკებს ვავძახე. მოვიდნენ ოცდახუთი-ოცდაათი წლის ბიჭები. მშვენიერი სახეები, დიდებულად მეტყველებენ რუსულად. ერთი ყოფილი მეტყვევა, მეორე - მძღოლი. აი აქ, აჩხოი-მარტანის ხიდზე დაიწყო შეცნობა უცნაური ომისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ოფიციალურ ვერსიასთან. ეს იარაღის ჩაბარების პერიოდი იყო. ყოფილმა მეტყვევამ, თითქმის თვალცრემლიანმა, მითხრა:

-მე ჩავაბარე ჩემი „მუხა“, თქვენ შეგიძლიათ ამის გაგება? მაგრამ ჩვენს აჩხოი-მარტანში ათობით ნაძირალა შემიძლია დავისახელოთ, რომლებმაც ფედერალური ხელისუფლების ნებართვით თავიანთი იარაღი მიწაში დამალეს. ერთ ბოთლ არაყად შეგიძლია, ვისაც გინდა, რაზეც გინდა - მოელაპარაკო. მე მავალდებულებენ, ჩემი უკანასკნელი იარაღი ჩავაბარო. უიარაღოდ სახლი როგორ დავიცვა? თქვენ იცით, რას ნიშნავს მთიელი მამაკაცისთვის, საკუთარ სახლს ვერ იცავდეს? საერთოდ გაუგებარია: ვინ ვის უთანხმდება და რაზე...

არა, ამ მეტყვევს, რომელიც ბოევიკი გახდა, ჩემს მიმართ სიძულვილი არ ჰქონდა. ის ჯერ კიდევ ასხვავებდა ერთმანეთისაგან ცალკეულ რუს ადამიანს და რუსეთის პოლიტიკურ მანქანას, მაგრამ ნდობის მარაგი ეწურებოდა. ეს აშკარად ჩანდა. როგორს შეგხვდები, მაგომეტ, 96-ის შემოდგომაზე, როდესაც კვლავ ჩამოვალ აჩხოი-მარტანში? როგორს? ცოცხალი თუ ხარ, მაგომეტ?

სამაშკიში საიდუმლო ბილიკებით მივდივარ. ავტობუსები არ დადიან.

აი, როგორი ყოფილა ეს სამაშკი...

ამ სოფელს ხატინს ეძახიან, როგორც დაბა „დაჩნოეს“ ჩრდილოეთ ოსეთში.

რა ემართება ჩვენს ცნობიერებას, თუ ჩვენ ხატინს ვუნოდებდით რუსულ სოფელს, რომელიც რუსეთის ავიაციამ ააფეთქა? არცთუ დიდი ხნის წინათ, ტელევიზიით ვუსმენდი თავდაცვის საბჭოს მდივნის იური ბატურინის გამოსვლას. განათლებული ინტელიგენცია. თვალებს მუქი სათვალის სარკეები უფარავს. შემპარავი, ფრთხილი ხმით ყვება ისტორიულ ანალოგიებზე: ირლანდია... პენჯაბის შტატი... ნუთუ არ იცის, ნუთუ სამაშკისთვის ერთი სიტყვა ვერ გამოინახა? ნუთუ ეს სიტყვა ნაპოვნი არ იქნება?

პირველ დიდ ტკივილს, რომელსაც სამაშკიში შევეჯახე, ასმა მახემლოვამ ჰქვია. 7 აპრილს, როცა ფედერალურმა ძალებმა მოსახლეობა მოსალოდნელი დაბომბვასთან დაკავშირებით გააფრთხილეს, ასმამ თავისი თხუთმეტი წლის რუსლანი ხბორების მოსარეკად გაგზავნა. სარაკეტო და დაბომბვითი დარტყმები ადგილობრივი დროით დაიწყო, მაშინ, როცა სამაშკის მცხოვრებლები მოსკოვის დროით ითვლიან. რუსლანი თავის ხბორებთან ერთად დაილუპა. ასმას ქმარი შირვანი (1949 წელს დაბადებული) 8 აპრილს სარდაფში იჯდა. მერმე საფილტრაციო ბანაკში მოხვდა. თირკმლები დაუზიანეს. გაიარა ასინოვკის, მოზდოკის ბანაკები. ბანაკები გამოიარა მამაკაცთა დიდმა უმრავლესობამ, როგორც ჩეჩნებმა, ისე ინგუშებმა. ეს ის ხალხია, რომლებსაც იარალი არ აუღიათ, მაგრამ რომლებზეც ეჭვი მიიტანეს. ბანაკების გამოცდილება მხოლოდ უარყოფითია. ეს ჯერ კიდევ ვარლამ შალამოვმა აღნიშნა ბანაკებზე. ჩვენს საკონცენტრაციო ბანაკებზე.

სანამ ასმასთან ვსაუბრობ, ბაზრის მოედანზე ხალხმა შეგროვება იწყო. ეტყობა, ახალი უბედურებაა.

... დედა მინდორში სიმინდის ასაღებად წავიდა. შვილი სახლში დატოვა, ეშინოდა, მინდორში ნალმზე არ აფეთქებულიყო. ის მაინც აფეთქდა ნალმზე, საკუთარ ბოსტანში, სანამ დედა მინდორში იყო.

აქ პირველად გავიგე სიტყვათა ჩემთვის ახალი წყობა. რუსულად ნალმი „მინაა“. „გავიარეთ“ - „მინოვალი“ (МИНОВАЛИ ПОЛЕ). მინდორი გავიარეთ? არა! „მინდორი დანალმეს.“ თანდათან ვგებულობ ნგრევის ფარულ, მრისხანე აზრს. ჩეჩენი უყურებს თავისი სახლის მორყეულ ბურჯებს და ფიქრობს: კიდევ საიდან შეიძლება მოვიდეს სიკვდილი?

ღეზი უმაროვეზი

რვა დაა. და ერთი ძმა. მე სამი მათგანი გავიცანი: ლუიზა, ლიზა და სედა. პირველი ორი - მასწავლებელია. მესამე ათი წლისაა. სედა ჩეჩნურად ვარსკვლავს ნიშნავს. აქ, უმაროვეზის სახლში, მივხვდი, რომ ტოლსტოი მართალი იყო. ჩეჩენი ფიქრობს. ფიქრობს საკუთარ, პირად ბედზე. ფიქრობს მრავალჭირგადანახად ჩეჩნეთზე. თავის ისტორიაზე. რუსეთზეც ფიქრობს.

როგორც ყველგან ჩეჩნეთში, სამაშკიშიც ხალხს არ სჯეროდა, რომ ომი მათ სახლშიც შევიდოდა. ეს უცნაური მოვლენაა. ბევრჯერ მინახავს ბლოკირებულ ადგილებში, რომ სულ ბოლო ნუთამდე ადამიანი ფიქრობს - უბედურება მას გვერდს აუვლის. რა დგას ამის უკან? უდარდებლობა? თვითმენახვის ინსტინქტი? საოცრების ბიოლოგიური რწმენა?

დიდებულ რუსულზე მეტყველი არნახული სილამაზის გოგოები მიყვებიან, რომ ვერ მოასწრეს, ესარგებლათ სოფლიდან გასასვლელი დერეფნით. ისინი ბიძის კაპიტალურ სახლში გადავიდნენ. ას კაცამდე შეგროვდნენ, ჩვილი ბავშვებიდან დანყებული, ღრმა მოხუცებით დამთავრებული.

- იცით? - ამბობს ლუიზა, - სარდაფში რა საშინელი ფიქრები მოგდის თავში? ვთქვათ ასეთი: ოღონდ დაჭრილები ნუ იქნებიან. იყონ დაღუპულები, ოღონდ დაჭრილები არა!... მათ ხომ ვერაფრით დაეხმარები. გინდათ, იცოდეთ, როგორ მუშაობს ფსიქიკა, რომელიც დაშლის ზღვარზეა? ერთ წამში როგორ ინგრევა ძველი წარმოდგენები... ნუთუ, სულ ახლახან, ეს მე ვუყვებოდი ჩემს მოსწავლეებს რუს ჯარისკაცზე, რუსული ღირსების სიმბოლოზე?

- ჩვენ ვიცოდით, - მპასუხობს ის ჩემს შეკითხვაზე - რომ სოფელი გარშემორტყმულია, მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდით, თუ ავიცია დაგვბომბავდა. თავიდან სროლების არ შეგვშინებია. მაგრამ როცა თვითმფრინავები გამოჩნდნენ... იცით, რას ნიშნავს მანათობელი რაკეტა? ყველაზე წვრილ შრიფტს წაიკითხავ. მერე თვითმფრინავი გამოჩნდება დაბალ სიმაღლეზე და წავიდა... ჩვენი სოფელი ორი საათისა და თხუთმეტი წუთის განმავლობაში იბომბებოდა. რკინის წვიმა. მე უკვე ვიცი, ეს რა არის.

ლიზა: - ჩვენი მშობლები 44-ში ყაზახეთში გადაასახლეს. გვიყვებოდნენ, როგორ ილუპებოდნენ ადამიანები გზაში სიცივისა და შიმშილისაგან. უცნაურია, ჩვენ თითქოს სხვა ისტორია გვქონდა. მაგრამ, შვიდ აპრილს, როდესაც სარდაფში ჩავდიოდი, ნათლად წარმოვიდგინე, როგორ იტანჯებოდა დედაჩემი ყაზახეთში. მეტიც, მე თვითონ გავხდი

ის. აი, თურმე რა ემართებოდათ მაშინ. მათი ისტორია ჩემი ისტორია გახდა.

ფეთქდება ეროვნული გენური მეხსიერება. ფეთქდება არა მარტო უფროსებში, არამედ ბავშვებშიც. დები საიდ-ჰასან ახმადოვს იხსენებენ. ოთხი ბავშვის მამას, მასწავლებელს. ის დაიღუპა. შემდეგ იხსენებენ თავიანთ თანაკლასელს, რომელიც ტერფში დაიჭრა. მეხუთე დღეს განგრენა დაენყო. ტრაქტორის ლაფეტით გაიყვანეს სამაშქიდან. გზაში ააფეთქეს. აჩხოი-მარტანთან, თუ ვალერიკთან. რა ადგილებია... ვალერიკი. ვერ ვასწრებ ლერმონტოვის გახსენებას, თუმცა, ვალერიკი ნაცნობი სტრიქონებით მწვავს.

ლოზა უცებ მწუხარედ და მოულოდნელად იწყებს ლაპარაკს: „რუსების სიძულვილი არ გვაქვს... როგორი ხალხი ვართ, არა? ყველა ჩვენი უბედურება რწმენის ტალღაზე გადიოდა. ოდესღაც ჩვენ ვერწმუნეთ ავარელ შამილს და რუსეთთან საუკუნენახევრიანი ომით მოგვინია ვალის გადახდამ. ახლა დუდაევს დაუფუჯერეთ...“

და მაინც რა ომია ეს ომი? თუ მართლა ბანდფორმირებების წინააღმდეგ მიდის ბრძოლა, მაშინ - დები მეკითხებიან - როგორ ზეიმობს ბოევიკი თავის ქორწილს, როგორ გადის თავისუფლად ბლოკპოსტებს რუსი ჯარისკაცების თანხლებით.

- ყველაზე გასაკვირი ის იქნება, თუ საყოველთაო ამნისტია გამოცხადდა. რა ომია ეს ომი? სამარცხვინო თამაშები სატირალი შედეგებით რუსი და ჩეჩენი ხალხებისთვის?...

სრულ სიმართლეს ამბობდნენ დები უმაროვები. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ზეპირად რომ ახდენენ ტოლსტოის და ლერმონტოვის ციტირებას (რა ბედნიერებაა, რომ იმ კავკასიურ ომში რუსი ხალხის ღირსება დიდმა სახელებმა იხსნეს...)

ნეტავ ახლა სად არიან დები? მოასწრეს ამ მესამე გზობაზე დერეფნით გამოსვლა? შეძლეს დების, ძმის, დედის, მამის, სკოლის დირექტორის გამოყვანა?

მე ჭიშკრიდან გამოვდივარ და, დანგრეული შენობის შემეყურე, ხელებს ვასავსავებ. „ნეტავი, ვინ ქნა ეს ყველაფერი!...“ არა, არ ვკითხულობ. ისედაც ვიცი. უბრალოდ, უძლურებისგან ჰაერს ვუქნევ ხელს. ათი წლის „ვარსკლავი“ მპასუხობს: „რუსებმა“...

ლოზა მიყვება თავის მოსწავლეებზე:

- მეტად სახიფათოა, როცა ცხოვრებისეული გამოცდილება სათავეს ყველაზე საშინელიდან იღებს. საშინელების აღსაქმელად ადამიანი უნდა მოემზადოს. იმით, რითიც ისინი ცხოვრობენ, ცხოვრება არ შეიძლება. გესმით, არ შეიძლება.

მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში

სამაშკი სამჯერ გაანადგურეს. „სოფელში არ დარჩენილან მშვიდობიანი მოქალაქეები“ - გავიგონე რადიოში... სად არიან ისინი? საერთოდ მშვიდობიანი მოქალაქეები კი არა, კონკრეტული ადამიანები. სადაა ასმა, ლუიზა, ლიზა. სად არის ნურა, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, რომელიც სამაშკიში ერთგულად დამყვებოდა? არის კი მთელი შენი სახლი, ნურა, სადაც, რითაც შეგეძლო, მმასპინძლობდი? მე ვერაფერი გავაკეთე თქვენთვის. ვე-რა-ფე-რი!

ისეთი წარმოდგენა მექმნებოდა, რომ თქვენ ფარული იმედი გქონდათ ჩემი. როგორც ყველასი, ვინც მოსკოვთან ახლოსაა. არსებობს ასეთი რწმენა - „იქ, უბრალოდ, არ იციან მთელი სიმართლე“. მე უკვე კარგად ვიცი, რომ იქ, უბრალოდ, არ უნდათ, იცოდნენ სიმართლე.

„ნუ ამყოფებ აქ, ღმერთო, ნურც მაჰმადიანს და ნურც ქრისტიანს“, - ამ ჩეჩნური ანდაზით გამომაცილეს დებმა უმაროვებმა სამაშკიდან.

აჩხოი-მარტანში კერძო „უაზიკით“ გავალნიე. ნალმზე აფეთქებული ბიჭის დაკრძალვიდან ბრუნდებიან მისი ნათესავები. ნუ ამყოფებ, ღმერთო, ასეთ დროს რუსს მიცვალებულის ნათესავებთან. შეკრული მუშტები, მძიმე სიჩუმე - რეპლიკები რუსულ ენაზე (სტუმრის წყენინების შიში) და ჩემი, თითქოს ტაფაზე ამიშხინებულის, სიბრალულის მსგავსი. მე გავუძელი. პირველი ფიქრი, რომელიც ელვის სისწრაფით მოვიდა: „ასეთ ხალხთან როგორ ვერ შევძელით მოლაპარაკება?“



- დედა, დედა, ისევ გრაჩოვი მოფრინავს.
- წყნარად, შვილო, ეს ჯოხარ დუდაეცია.
- ბავშვი იძინებს.

მასწავლელად

ჰასმაგომეტ ჰასანის ძე ოსმაევი. აჩხოი-მარტანის №3 სკოლის დირექტორი. ისტორიკოსი. დაამთავრა გროზნოს უნივერსიტეტი.

1995 წლის სექტემბერში ეს მან თქვა თავის სოფელზე: „პირდაპირ არტილერიულ მოხვედრას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ომმა თავისი საქმე გააკეთა“. როგორც ისტორიკოსი, ჰასმაგომეტი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს: „ომი უნდა დამთავრდეს. ასეთ ომში გამარჯვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რას წარმოადგენს გამარჯვება ან დამარცხება ერის დაღუპვასთან შედარებით?“

მასწავლებელი მათ შორის იყო, ვინც ჩეჩნეთის სუვერენიტეტს მიესალმებოდა.

-როცა ჩვენი დროშა აღიმართა და ჩვენი ჰიმნი აჟღერდა, როგორც ლერმონტოვი იტყოდა, მე წინაპრების ძახილის მსგავსი ვიგრძენი. დიახ, მე ვტიროდი. მაგრამ ამ წარმომადგენლობით თავყრილობაზე დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ჩემი ეიფორია დამთავრდა. და აი რატომ: მეორე თუ მესამე სიტყვა ჩვენმა ვიცე-პრემიერმა აიღო და ბინძური ანონიმური წერილი ნაიკითხა რუსეთზე.

-რატომ ანონიმური?

-მითხარით, ასეთ ტექსტს შეიძლება სახელი ჰქონდეს? და მაშინ მივხვდი, რომ სუვერენიზაციას თან რალაც პროცესიც ახლავს. ფარული, ჩვენთვის უცნობი... იმ დროის გენერალი დუდაევი მახსოვს. მეამბოხე გენერალი ჩაფიქრებული და გაჩუმებული გახლდათ. ის მაშინ მხოლოდ სტუმარი იყო. მგონი მეცამეტე რიგში იჯდა...

-რა უნდა ქნა?

-რაც გინდა, ოღონდ ომი უნდა დამთავრდეს. როგორ ფიქრობთ, შემიძლია, ჩეჩნურ ენაზე იმის გამოხატვა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ? არა! და იცით რატომ? ჩვენს ენაზე ბევრი რამ არ გამოითქმება. ენა არ ვითარდება. ან ცუდად ვითარდება. ეს ტრაგედია არ არის?

... ბოლოს და ბოლოს, მეძლევა შესაძლებლობა, შიგნიდან შევხედო არა მარტო ჩეჩნურ თემას, არამედ იმასაც, თუ რა მტკივნეულად აღიქმება ის ჩეჩნის სულში, გადამტყდარი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის მრუდე სარკეში. ვინ იფიქრებდა, რომ ჟირინოვსკის და სოლჟენიცინის პოზიციები ჩეჩენი ინტელიგენტისთვის ერთმანეთთან მიახლოებული იქნებოდა.

-ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჟირინოვსკი და სოლჟენიცინი ერთი დედის ნაშობნი არიან. მოუსმინეთ, როგორ იცავს სოლჟენიცინი ჩვენს უფლებას დამოუკიდებლობაზე: „ჩეჩნებმა თავიანთი საქონელი მწყემსონ მთებში“. აი, განათლებული რუსის პოზიცია.

აქედან, აჩხოი-მარტანიდან, თვალნათლივ ჩანს, რა ცოდვები მიგვიძღვის ჩეჩენი ხალხის წინაშე. ჩანს ჩვენი უძლეურება (თუ სურვილის არქონა?), ესაუბრო ისეთ ჩეჩნებს, როგორებიცაა ჰასმაგომეტი ან დები უმაროვები. ესეც ითქვას: გროზნოში ჩამოსვლამდე რამე ვიცოდი ჩეჩნეთის ინტელიგენციაზე?

ომის პირველ დღეებში მასწავლებელმა საკუთარი თავი დაიჭირა იმაზე, რომ არ შეუძლია არც რუსული სიტყვისა და არც რუსული სიმღერის მოსმენა:

-მე მივხვდი, რა სახიფათოა ეს და საკუთარ თავთან ბრძოლა დავიწყე. ვინც ამას ვერ მიხვდა? ვინც მამა, დედა, და, შვილი დაკარგა? თუ ომს ბავშვების პოზიციიდან შეხედავ, ის მხოლოდ ახლა იწყება.

აჩხოი-მარტანში დაწყებითი კლასების ერთი მასწავლებელი უცნაურ ისტორიას მომიყვავა:

-გესმის, როცა ჩემი მოსწავლეები შევავროვე, გავვოცდი - ბევრს ომის არაფერი ახსოვდა. შენ გესმის: მათ არც დაბომბვები ახსოვთ, არც სროლები, არც პანიკა, არც ერთი ადგილიდან მეორეზე გადაბარგებები. არადა, ეს ხომ იყო. ბავშვების ერთ ნაწილს ყველაფერი ბუნდოვნად ახსოვს, თითქოს ეს მოვლენები რამდენიმე წლის წინ მომხდარი იყოს. სხვებს სრულებით არ ახსოვთ არაფერი. ნაიშალი ინფორმაციაც და ემოციებიც. მე თავიდან გამიხარდა კიდევ: რა დამცავი მექანიზმები ჰქონია ფსიქიკას! მერმე თავში ვიტაცე ხელი: იმათ, ვისაც არაფერი ახსოვს, ახალი ინფორმაციის გათავისება საერთოდ არ შეუძლია. ვფიქრობდი - იქნებ შესვენება სწავლაში... აღმოჩნდა, რომ - არა! ბავშვის ორგანიზმში რაღაც ისეთი მოხდა, რომ ახალს არაფრით არ იღებს. დიდხანს გაგრძელდება ასე? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი სომნაბულურ ძილში არიან.

მასწავლებელი ჰასმავომეტი დარწმუნებულია, რომ აქ ყველა ბავშვი ავადაა.

სანამ მე ნაცნობი OKCM-ის, БТР-ის, БМ-ის, ДМП-ს, Град-40-ის სქემებს ვსწავლობ, დირექტორი ჩაის ასხამს და ჩემს გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მპასუხობს: „სოფელი მთლიანად ბლოკირებულია“. „ბამუტისკენ გზა არ არის“. „სამამკიში ავტობუსები არ დადის“. „აქ კონტაქტური საომარი მოქმედებები მიმდინარეობს...“ დერეფნიდან, სადაც რუსი მღებავი ქალები მუშაობენ, რუსული სიმღერების ხმა ისმის. დირექტორი, ჰასმავომეტ ჰასანის ძე ილიმება.

და აი, ის, გროზნო!

გროზნოს ერთი საყურადსაღებო მახასიათებელი: ქალაქი აფეთქებულია. ქუჩები არ სუფთავდება. ზოგჯერ, მრავალსართულიანი სახლის ნანგრევებში ორ ან სამ კაცს თუ შენიშნავთ. რომელიღაც მეხუთე და მეექვსე სართულების რაღაც მონაკვეთზე ქალი და მამაკაცი დგანან, უცნაურად გაშეშებული ქალაქში, რომელსაც არ სურს სიკვდილი და სროლებს შორის შესვენებებში გააფთრებული იწყებს ცხოვრებას.

ერთხელ ვნახე, როგორ იკვალავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნანგრევებში გზას იმ ადგილისკენ, რომელსაც ოდესღაც მათი ბინა, მათი სახლი ერქვა. ისინი დაუჯერებელ სიმაღლეზე დაეკიდნენ. და გაშეშდნენ. მათ არაფერი არ უნდა შეეკითხო. ამ ნახევრადგაგიჟებაში იმდენი თავზებელალებულობა და რისხვაა, რომ ღმერთმა დაგვიფაროს! ომის ნაგავ-

სა და ჭუჭყზე გადაბიჯებით მოდიან ქალები, რომლებსაც თავი ნათელი, ჭრელი თავშლებით აქვთ გაკრული (თავსაფრით თავის შებურვის ათასი ხერხი არსებობს). მოდიან, საუკეთესო კაბები აცვიათ იმათ შორის, რაც შერჩათ. ქართველი ქალებისგან განსხვავებით, რომლებიც ასეთ სიტუაციაში აუცილებლად შავებში ივლიდნენ, მთიელებს დემონსტრაციულად ფერადი კაბები აცვიათ. ამაში გაუტყეხელი ხალხის სიამაყე ჩანს და, როგორც მივხვდი, ჩუმი გამოწვევა.

ჩეჩენ ქალს ხელში ერთი თვის ბავშვი უჭირავს და ჩემს შეკითხვაზე, ბიჭია თუ გოგო, დაუფარავი ქვეტექსტით მპასუხობს:

-რა თქმა უნდა, ბიჭი. ჩვენს სამშობიაროში მხოლოდ ბიჭები იბადებიან.

მე უკვე ვისწავლე ამ „აღმოსავლური“ საუბრის გაბმა, როცა ყველაზე მთავარი და ტკივილიანი პირდაპირი ტექსტით არ ითქმის, მაგრამ ყოველთვის აქ არის, როგორც მთელი საუბრის კონტექსტი. ეს კონტექსტი მთლიანად ცვლის ნებისმიერი სიტყვის, მთელი ფრაზის შინაარსს. საცოდავი ხარ, თუ სმენა გლალატობს, თუ არ გესმის, რას გელაპარაკება შენი თანამოსაუბრე, რომელიც თითქოს ნეიტრალურ დიალოგს გიმართავს. მოგვიანებით შენ ინანებ ამას. ჩეჩენთი ძალიან ბევრს გასწავლის. მათ შორის იმას, სხვისი ტკივილი როგორ გაიგო. ჩანვდე ერის დაუოკებელ წყურვილს - მის ნება-სურვილზე იცხოვროს და არა სხვაგვარად.

ამასთან ერთად, არსებობს ერთი თავისებურება ვაინახების მოქცევაში (იქნებ ეს თავდაპირველი ფსიქოლოგიის თავისებურებაა ან ისტორიული განვითარების დამლა), რომელიც უცებ ხვდება თვალს. ჩეჩენი ან ინგუში სხვას მუდამ თავისი ყურადღების ქვეშ აქცევს, მიუხედავად იმისა, თქვენი გზები ადრე გადაიკვეთა თუ არა. ის დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან ეს გზები შეიძლება, გადაიკვეთოს. საკმარისია, ავტობუსში დაგცდეს, „ვლადიკავკაზში მინდა წავიდე“ და, დარწმუნებული იყავი, ვინც ეს გაიგო, ამ შენს სურვილს აუცილებლად ყურადღებას მიაქცევს. მას შენი სურვილი ახსოვს, ამაშია საქმე. მამაკაცი ავტობუსიდან ჩადის, მერმე ბრუნდება და მწარედ ოხრავს: „ვლადიკავკაზი, ვლადიკავკაზი... რა ხუმრობაა... ტაქსისტი არანაირ ვლადიკავკაზში არ მიდის“. აღმოჩნდა, ავტობუსიდან იმიტომ ჩასულა, ტაქსი უნახავს და ჩემთვის სდომებია მისი აყვანა. „თქვენ ჩემს გამო ჩახვედით?“ - ჯერ კიდევ გაუბედავად ვეკითხები. „თქვენ ხომ ვლადიკავკაზში გინდათ წასვლა, თუ არა?“ კი, რა თქმა უნდა, მინდა!

ერთხელ, ნაზრანის ავტოსადგურში, ხალხის მთელი ჯგრო დამეძებდა. მე გროზნოსკენ მიმავალი ავტობუსი მაინტერესებდა. ჩამოდგა „უაზიკი“, რომელიც განრიგის გარეშე მიდიოდა გროზნოსკენ. ხალხმა იმ რუსი ქალის ძებნა დაიწყო, რომელიც საქაროდ უნდა წასულიყო

გროზნოში. სადგურის სასაუბრეში მომაგნეს, სადაც მომავალ იმამთან სულელურ დისკუსიაში ვიყავი ჩაბმული ყურანის საკითხებზე. ის ახალგაზრდა სლუპცოვსკის სასულიერო სემინარიელი იყო და გზაბნეული ცხვრის მიმართ შესაშურ მოთმინებას იჩენდა.

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ, როდესაც ტაქსი გავეკიდე ყვირილით - „საით?“, მე გავიგონე ახალგაზრდების პასუხი: „ბუდიონოვსკი!“ სიჩუმემ დაისადგურა. მე შევიკუმშე. ახალგაზრდები სიბნელეში გაუჩინარდნენ. და მომეჩვენა, რომ ხმამაღლა ნათქვამის თვითონ შეემინდათ.

...კიდევ იყო შემთხვევა მინუტკაში. სწორედ იმ მინუტკაში, სადაც აფეთქდა გენერალი რომანოვი, რომელიც წარმატებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს მასხადოვთან. მე პირველად მივიღიე ავტოსადგურის რაიონში, იავარქმნილი ცენტრის გავლით. ტელევიზია მუმივად აჩვენებს დუდაევის დანგრეულ სასახლეს. მაგრამ მშვიდობიანი კვარტლები რომ არის დანგრეული... ესენიც „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტებია?“ შეხედეთ ამ სახლებს ჩეჩენი ბავშვის თვალებით, რომელიც არითმეტიკას იმის მიმატებით სწავლობს, თუ ვინ დაკარგა ბინა მის ცხრასართულიან სახლში. თმები ყალყზე მიდგება, როცა მეორეკლასელი ბავშვი თითებს კეცავს: „ოთხი ბინა ერთ სართულზე - ეს ოცი კაცი ... პლუს ძაღლები და კატები... პლუს მეზობელი სადარბაზო... პლუს მეზობელი სახლი... პლუს ბაბუაჩემის სახლი შალიში...“

ჩვენ უკვე გავუარეთ სასტუმრო „კავკაზის“ შენობას. მკვდარი სივრცის შეგრძნება არათუ შენელდა, არამედ კიდევ უფრო ხაზგასმული გახდა. როცა მინუტკას უახლოვდები, გრაჩოვის უძლეველი ჯარების რიცხვი პირდაპირ განუსაზღვრელი ხდება. სწორედ ამ დროს, მთელი ავტობუსის თვალწინ, რომელშიც მხოლოდ ჩეჩენები სხედან, ერთი ახალგაზრდა რალაც თეატრალური ომახით მეუბნება: „რა არის, მადამ, დროულად რატომ არ უსხამთ თქვენს პრეზიდენტს, რომ ნაბახუსევიდან უცებ გამოვიდეს?“ ავტობუსი დაიძაბა. ჩემს თვალებში იმდენი იყო სირცხვილის, ტკივილის და დანაშაულის გრძნობა, რალაცნაირად უღონოდ ვუპასუხე: „ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კი დაუუსხამდი...“ ჩეჩენი უცებ მოეშვა და დამნაშავესავით გადავიდა მოსკოვის თემაზე. იმის აღნიშვნა დაიწყო, რომ მოსკოვი შესანიშნავი ადამიანებით არის სავსე და საოცარია, მათ ომის შეჩერება რომ ვერ შეძლეს.

...ჩეჩნეთის გზებზე არსად შემხვედრია სიძულვილი და გესლი. მასწავლებელს რუსეთიდან, რომელიც თავის შვებულებას ცხელ ნერტილებში ატარებს.

მათზე, ვისაც არაფერი ღაპიწყაბია

ნ სექტემბერს, დამოუკიდებლობის დღეს, ისინი მოვიდნენ სკოლაში და ჩურჩულით უთხრეს ერთმანეთს და მასწავლებლებს: „გილოცავთ!“ იმავე დღეს თემას წერდნენ და საკუთარ და სამშობლოს ბედზე ფიქრობდნენ. მათი სამშობლო კი - ჩეჩნეთია! ისინი ჩეჩნეთის შვილები არიან.

როდესაც ვთხოვე ჩეჩენ მოზარდებს, თავიანთ ნაწერებში ჩემი მოსწავლეებისათვის ომის შესახებ მოეთხროთ, ისინი ამან ძალიან გააკვირვა: „ნუთუ, სხვასაც შეიძლება, აწუხებდეს ჩვენი ვარამი და ტანჯვა? ჩვენ ხომ სრულიად მარტონი აღმოვჩნდით“. საერთო ობლობის შეგრძნება ჩეჩენ ბავშვს მეტად გამახვილებული აქვს.

უფროსებს სრულიად საპირისპირო რეაქცია აქვთ: საერთო ქვეყნის სინდრომი მოქმედებას აგრძელებს. მათ ჰგონიათ, რომ თანამოძმეებმა მოსკოვსა თუ ციმბირში, უბრალოდ, არ იციან, რაც აქ ხდება. „ასე არ არის?“ - ჩამესმის ჩემი ახალი მეგობრის, ინგუში თამარა გურჩიევას ხმა, რომელმაც ქალაქის ბოლოს, თავის ქოხში შემიკვდლა. გროზნოში ყოფნის ყველა დღე თამარასთან გავატარე, რომელთანაც ბედმა ჯერ კიდევ ნაზრანში შემყარა. თამარაზე როგორმე ცალკე ვიტყვი, ახლა კვლავ მთავარ შეგრძნებას დავუბრუნდები — ზრდასრულ ჩეჩენს და ინგუშს ჯერაც არ განელება ყველაფრის თქმის სურვილი. იმის ილუზია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შეკავშირებულნი ვართ ერთმანეთთან, გაქრობის პირასაა, მაგრამ ჯერაც არსებობს. აი, ბავშვების ნაწერებში კი ეს ილუზია არ ჩანს.

„26 ნოემბერს გროზნოში ჯარები შემოვიდნენ. ეს საშინელება იყო. ჩვენ გოიტიში წავედით. იქ ბებიასთან ვცხოვრობდით. როდესაც რუსეთში ჩიქებს უჭახუნებდნენ და სვამდნენ, ამ დროს ჩვენ სარდაფებში ვისხედით და ღმერთს ომის მალე დამთავრებას ვევედრებოდით. ჯარები სოფელ გოიტიშიც შემოვიდნენ. ჩვენ ხასავ-იურტში წავედით. ირგვლივ ტანკები იდგნენ, საგუშაგოებზე არ გვატარებდნენ, საბუთებს ითხოვდნენ. ჩვენ მთელი დღე და ღამე მივდიოდით, ტალახსა და ყინვაში. გზაში მანქანაც გაგვიფუჭდა. ჩავედით ხასავ-იურტში. ტყვიების წული იქაც ისმოდა. ბევრი ადამიანი დაიღუპა. სისხლი დაიღვარა. დედაჩემს უმცროსი და ჰყავს, მას ელინა ჰქვია. ორი ბავშვი ჰყავს. მისი ქმარი მამის მოსაძებნად წავიდა. მამა მკვდარი იპოვეს, დეიდა ელინას ქმარს კი მერვე დღეა ეძებენ. მას ზადლანი ჰქვია. (მ. ე.)

ბავშვები თხზულებებს იმნაირად წერენ, თითქოს ვინმეს უგზავნიდნენ. იმის იმედით, რომ ვინმე წაიკითხავს. წითელი ფლომასტერით გამოიყოფა სტრიქონები, რომლებზეც სწრაფი რეაქციაა საჭირო.

„31 დეკემბერს სახლში დავრჩით. ჩვენ მანქანა არ გვყავდა. ღამის პირველ საათზე ქალაქის დაბომბვა დაიწყეს. ჩვენს ქუჩას ორი სარაკე-

ტო ბომბი მოხვდა. დაინგრა რამდენიმე სახლი. დედაჩემი დაიჭრა. გამნარებული ვეძებდით მანქანას, რომ დედა საავადმყოფოში წაგვეყვანა. ამის შემდეგ ვერ ვიტან რუს ჯარისკაცებს და მათ გაღეშებულ სიფათებს. გრაჩოვს სურდა, თავისი დაბადების დღე აღენიშნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მან საკუთარი ჯარისკაცების გვამები წაიღო“ (ალი ჰაჯიმურათოვი, დაბ. 1983 წ.).

„ომმა უბედურება მომიტანა. ომის გამო სამი ძვირფასი ადამიანი დავკარგე. ომი სჭირდებოდათ დედაევეს და ელცინს... ელცინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდება“ (ზელიმხან იბრაგიმოვი).

„ომმა იმდენი უბედურება მომიტანა, რომ სიკვდილამდე ვერ დავვიწყებ. ამ ომში კინალამ დავობლდი“ (ლუდმილა საგაიპოვა).

„მთელი ომი ქალაქში გავატარე. სარდაფში ვისხედით. იქ დაძინება შეუძლებელი იყო. ტყვიები სარდაფის თავზე დაზუზუნებდნენ. ომის ბოლოს ბებიასთან გადამიყვანეს, მაგრამ ჭურვი იქაც მოხვდა“ (ვიქტორია მავრიისკაია).

„არასდროს დამავინყდება შალის დაბომბვის ერთი მსხვერპლი. ორი წლის გოგონა თავისი სახლის წინ გზაზე თამაშობდა. მოფრინდა თვითმფრინავი და ბავშვი გაუჩინარდა, გაქრა. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბავშვის ნაცვლად მისი კაბა დაკრძალეს“ (დედაევა).

„ჩვენ ლტოლვილები ვიყავით მისკერ-იურტში. ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ვცხოვრობდით. ბაბუამ გროზნოში წასვლა გადაწყვიტა. ვეცადეთ, გადაეთქვა, მაგრამ გზას ფეხით გაუყვა. ის მერე არ გვინახავს. ერთი თვის შემდეგ გროზნოში დავბრუნდით. ბაბუა იქ არ დავგვხვდრია. ხუთი თვე გავიდა. მისი ნახვის იმედი გადაგვეწურა. 1995 წლის თებერვალი ჩემთვის ყველაზე მწარე დროა. დაიკარგა ჩემი საყვარელი ბაბუა, დედაჩემის მამა“ (ელიზა მიზაევა).

„ყველაფერი 1994 წლის 26 ნოემბერს დაიწყო. მხოლოდ 16 დეკემბერს მოვახერხეთ ქალაქიდან გამოღწევა. მაგრამ თვითმფრინავები სოფელშიც მოფრინდნენ. ორ ქალს გული გაუსკდა. ჩვენ ახალ ატაგოში წავიყვანეს. იქ უარესობა იყო. წავედით შატოიში. ერთი თვე სიმშვიდე იყო, თუმცა აფეთქებები არ წყდებოდა. გროზნოში დავბრუნდით. ქალაქი საშინელი შესახედავი იყო. მერე შევეჩვიეთ“ (სალამბეკ დუდაევი).

ძარღვებში სისხლი გეყინება, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობ. თხზულებები რუსულ ენაზეა დაწერილი. ლამაზი კალიგრაფიით. თითქმის უშეცდომოდ.

პირველი, რამაც გამაოგნა, ის იყო, რომ გენერალ დუდაევის სახელი არ იხსენიებოდა. თუ ჩნდება, მხოლოდ ელცინთან, გრაჩოვთან კავშირში. ზოგჯერ ასეთი ინტონაციით: „რა დავაშავეთ ელცინის, დუდაევის, გრაჩოვის წინაშე?“ ყველაზე ხშირად ლერმონტოვის ციტირება ხდება.

საცვარელი სტრიქონებია: „ვით ჩემი მამულის უტკბესი სიმღერა - მიყვარს კავკასია“.

ყველაზე გულსატკეპნი, რაც ომმა დაანგრია ადამიანებში, რწმენაა. მე ეს ჩემი თვალთ მინახავს სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში, ინგუშეთში, შუაში.

„ამ ომმა ცხოვრებაზე თვალი ამიხილა. გავიგე, როგორი ყოფილან ადამიანები. ცხოვრება გამიჭირდა“ (ელინა ჯანტემიროვა).

ბავშვების თხზულებების ვექტორი მკვეთრად იყოფა. ერთში - კომმარისგან გათავისუფლების სურვილია. მეორეში - შურისძიებისა. ნამყვანი მოტივი ერთია: ამის დავინწყება არ შეიძლება.

ის მხოლოდ ათი წლისაა. გოგონა, რომელმაც ზრდასრულის სტრიქონები დაწერა: „ყველაფერი, რაც მანამდე წვრილმანად ჩანდა, ახლა ფართო რაკურსით წარმოჩნდა. ჩემი ცხოვრების წრეში შემოვიდა ის, რაც, წესით, არ უნდა მცოდნოდა“. პირდაპირ საოცარია — რაც უფრო მეტს კითხულობ ბავშვების გულახდილ ტექსტებს, რაც უფრო საზარელია მათ წინ გადახსნილი ცხოვრებისეული სიმართლის სურათი, რაც უფრო გრცხვენია შენ, რუსს, ეს სიმართლე, მით უფრო ძლიერია სიცოცხლის ძალა ომით დაავადებულ ბავშვებში. წინააღმდეგობის ძალა იმ საშინელების მიმართ, რომელიც „უფროსმა ძმამ“ მოაწყო. თხზულებებში მეყსეულად ჩნდება სტრიქონები შორეულ ომებზე, რომლებიც მათმა წინაპრებმა გადაიტანეს. სტრიქონები: „ოჰ, ომო, შე საძაგელო, ეს რა ჰქენი“ - ეჭიდება რუსეთის ტანკის, რუსეთის ჯარისკაცის გამოხატულებას. ეს მძიმე ჩაჭიდება აფეთქებს პირვანდელ ტექსტს, საიდანაც იშვა სტრიქონები და არნახული ძალით ისადგურებს ფიზიკური შეგრძნება ომით მოტანილი უაზრობისა, სისასტიკისა, სიძულვილისა.

მაგომეტ ტაპაევი, მერვე კლასის მოსწავლე, სარდაფში იჯდა, როდესაც სარაკეტო დაბომბვა დაიწყო. ავიაბომბმა სარდაფი გაიტანა. ბიჭი კედლის ქვეშ მოექცა. მამა მიხვდა, რომ ბავშვი ნანგრევებში იყო მოყოლილი. „მამამ ინსტრუმენტები აიღო და აგურების დაშლას მიჰყო ხელი. გამომიყვანეს. ამის მერმე რუსის ჯარისკაცებს ვერ ვიტან. ალაჰ აკბარ!“

თქვენ შეგიძლიათ, ამ ბიჭს რამე უთხრათ? მე - არ შემიძლია!

მერვე კლასში იყო ერთი მოსწავლე, რომელმაც თხზულება მასწავლებელს კი არა, მე ჩამაბარა. ის ბოლო მერხიდან ადგა და ნაწერი გამომინოდა. მთელს ფურცელზე ბოვეკია გამოსახული. ქვეშ ის წარწერაა, რომელსაც სახლების კედლებზე ვხვდებოდი: „ალაჰი ჩვენს ზევითა! გამარჯვება ჩვენია! რუსეთი ჩვენს ქვევითა! ალაჰ აკბარ!“ ახლა, ამ ფურცელზე, ამწუთას, ლოზუნგმა თავისი ანონიმურობა დაკარგა და შინაგანი ხმის ძალა მიიღო, ამაშია მთელი საშინელება. ეს კონკრეტული ბიჭუ-

ნას ხმა იყო. ახლა ის აზროვნებდა ასე. მისი მერხის მეზობელი ჩემს რვეულში მიწერს: „ალაჰ აკბარ!“ შემდეგ უმატებს: „მთელს ქვეყანას ალაჰ აკბარ!“ მიყურებს და სიტყვა „მთელს“ ნითელი ფანქრით გამოყოფს. მიუხედავად შურისძიების პირდაპირი სიტყვებისა, თავში თავხედური აზრი მომდის: სწორედ ეს ბავშვები არ იომებენ არასდროს.

უმაროვების ერთ-ერთმა დამ, რომელიც სამიზნეს მიმარჯვებულ ექვსი წლის ბავშვს აკვირდებოდა, მითხრა: „ესენი დამოუკიდებლობას მიაღწევენ“!

- დედა, გათხოვდი, დედა!
- ვის გავყვე?
- შამილს.
- რომელ შამილს?
- ბასაევს.
- რატომ?
- ყუმბარმტყორცნი მჭირდება.
- რისთვის?
- რუსებს უნდა ვურტყა...
- ბავშვი 6 წლისაა.

ინტერნაციონალი არის!

ს. უმალატოვი, ქალაქ გროზნოს მცხოვრები. 1995 წლის სექტემბერი:

- მე ვფიქრობდი, რომ ინტერნაციონალი მარქსის მოგონილია. ვაცხადებ - ინტერნაციონალი არსებობს. ჩემი თვალით მინახავს. ჩვენს სარდაფში 65 კაცი ვიყავით. ჩემი მეუღლე სარდაფის უფროსის როლს ასრულებდა. რა ჰქვია მეუღლეს? მე მას ბერინანას ვეძახი. ეს ჩეჩნურად „ბავშვების დედას“ ნიშნავს. ის, მართლაც, ჩემი ბავშვების დედაა. აქ არის ნიუანსები, ამჩნევთ? ჩემი ბავშვების დედა კი არა, საერთოდ ბავშვების. სხვათა შორის, ის დუდაევს განათლების მინისტრად ჰყავდა. გენერალს მებრძოლების გაზრდა და განსწავლა ჰქონდა ჩაფიქრებული. გოგონებს განათლება იმდენად უნდა მიეღოთ, რომ ოჯახური კერიისთვის ეპატრონათ. ეს დუდაევსი პუნქტი გახლდათ: მებრძოლი ბიჭები. თვითონ, ქალებთან მიმართებაში, ჯენტლმენი იყო. მისი რისხვა ნებისმიერს შეიძლებოდა დასტყდომოდა, ქალს — არავითარ შემთხვევაში!

ჰო, სარდაფულ ცხოვრებაზე. თავიდან გაუგებარი იყო, ექთან ასე რატომ ლოცულობდა: „ღმერთო! ნუ გვეყოლება დაჭრილები! თუ საშველი არაა, სჯობია მკვდრები გვყავდეს“. მან იცოდა, რასაც ლოცულობდა.

არც ნამღლები გვქონდა, არც წყალი, ყველა გუბე ამოვაშრეთ, ჩვენ, სარდაფის ხალხმა. გასაკვირია, როგორ ვართ აქამდე ცოცხლები? ჰო, ინტერნაციონალი... ტანკებს კიდევ შეიძლება შეეგუო, მაგრამ ავიაცია... ვერ შეეჩვევი. ავიაციის წინააღმდეგ ადამიანი უმწეოა. მფრინავებმა ეს მშვენივრად უწყიან. ავიაცია შიშველი ბომბით გთრგუნავს. მივხვდი: ეს დასასრულია, როცა სარაკეტო დაბომბვა დაიწყო... ურტყამდნენ ქალაქს, რომელიც მშვიდობიანი ხალხითაა სავსე... სარდაფი მოვათვალიერე. ღმერთო დიდებულო! სომხები, ჩეჩნები, ინგუშები, რუსები, ბერძნები. უფრო მეტნი რუსები არიან... რა, ელცინმა არ იცოდა ეს? კარგი, ჩეჩნები არავის აღელვებს, გრაჩოვმა არ იცოდა, რომ ქალაქი რუსებით იყო სავსე? თუ გროზნოელი რუსი მეორეხარისხოვანი რუსია? ყველა გაშეშდა, როცა ავიაცია გამოჩნდა. შიშით გაქვავდნენ. მე კი ეს გამოცდილი მქონდა. ვიყვირე: „ილოცეთ, ყველანი თქვენს ღმერთს შეევედრეთ! ხმამალლა!“ და დაიწყო! ისინი ლოცულობდნენ. ყველა თავის ენაზე. მე უკვე ვიცი, რა არის ინტერნაციონალი და რას ნიშნავს „ჩვენი უკანასკნელი“.

ვერა გრიგოლის ასული უმაღლათოვა, იგივე ბერინანა, გროზნოს სახალხო განათლებას ხელმძღვანელობს. თვალცრემლიანი ყვება, როგორ დაიბნენ ნორჩი ტანკისტები. ზოგიერთს რუკა საერთოდ არ ჰქონდა. ვისაც ჰქონდა - 1975-ში გამოშვებული. კავკასიისთვის უცხო, ველური სიცივე იდგა. ჯარისკაცებს ხელთათმანები არ ჰქონდათ, საზაფხულო უნიფორმა ეცვათ. როცა სარდაფში შემოვიდნენ, ამოიოხრეს: „ადამიანები აქ საიდან გაჩნდნენ?“

— ისინი შემოსვლის წინ დამოძღვრეს, რომ ქალაქი ცარიელია და ნებისმიერ მოძრავ საგანს უნდა ესროლონ. ჩვენ არაფერი გვქონდა, რომ მათთვის გვეჭმია. როგორც გავიგეთ, სავლეს სამზარეულო არც კი ჰქონდათ. წყალი ავუდუღეთ. იარაღი კედელზე მიანყვეს. როცა ამ ბავშვებმა დაიძინეს, მთელი სარდაფი ტიროდა. საბრალო ბიჭუნები. მათ მაინც რას ერჩოდნენ?

სარდაფული ცხოვრების ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ არ შეგიძლია - გამოხვიდე და ცხედარს უპატრონო. ქმრის, მამის, შვილის, უბრალოდ, ნათესავის ცხედარს...

ჩქარი ნაბიჯით ჩავვიარა სახეგაცისკროვნებულმა მამაკაცმა „ვინ არის?“ - ვეკითხები ვერას. ეს - ვადიმ ვადიმის ძე ნიკოლინია. 50-ე სკოლის (მშენებლების დასახლება) ფიზიკის მასწავლებელი. სკოლაში კოსმონავტიკის საუკეთესო მუზეუმი ჰქონდა. თუ უწყის ვინმემ, რომ კოსმოსზე შეყვარებულ ფიზიკოსს სახლი არა აქვს, ყველაფერი დაენვა. განათლების განყოფილება იმ დღეს მასწავლებლისათვის ახალი ფუნქციონალის შექმნას აპირებდა. არ ვიცი, უყიდეს, თუ არა. მართლაც, რამხელა ბედნიერებაა - ასწავლიდე და სწავლობდე!

ომიდან ყველას რაღაც საკუთარი გამოაქვს. ვერა გრიგოლის ასული ბედს და შემთხვევას ერწმუნა. მე ჩავინერე მისი განსაცვიფრებელი ნაამბობი იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს სახლი და ოჯახი, როდესაც ირგვლივ ყველაფერი იბომბება. ჩემმა მეგობარმა თამარამ ერთ დღეს თერგის კაზაკ ოლგასთან მიმიყვანა. კაზაკი ქალი პენსიაზეა. შვილები, შვილიშვილებთან ერთად, უკრაინაში ცხოვრობენ. ოლგა არსად წავა თავისი სახლიდან. არსად! ყოფაში ატამანის მანერების მქონე კაზაკი ქალი მიზიარებს უზუსტეს დაკვირვებებს საკუთარ ქცევაზე, ცხოველების საქციელზე, სამხედრო ტექნიკის გრიმასებზე.

-ბლინების დაცხოზა გადავწყვიტე. არც შუქია, არც ვაზი. ერთადერთი გზა რჩება - ეზოში კოცონი დავანთო. ცეცხლზე ტაფას ვდგამ. წამსვე - „ბახ!“ გავარდა ტყვია და ჩემი ტაფა ეშმაკებში მოისროლა. საბედნიეროდ, ცეცხლი არ ჩამქრალა. განუწყვეტლივ ისვრის ვიღაც, მაგრამ საქმეს არ ვეშვები. დავდგი, დავიმაღლე. საძაგელო, ბლინი გადამაბრუნებინე. გაჩერდა. გამოვვარდი, გადავაბრუნე... ყოჩაღ, ახლა აღება მაცალე. გაჩერდი, მაცალე... ასე ვეთამაშებოდით ერთმანეთს კატა-თავგობანას. ასე გამოცხვავა ბლინები...

ოლეჩკა პენსიაზეა. გამოაქვს ძველი კაბები, შარფები, ქუდეები. მე ყველაფერს ერთმანეთის მიყოლებით ვიზომებ. როგორც კაზაკ ქალბატონს მიაჩნია, ნუტრიის ძველებურმა ქუდმა, პირდაპირ, დამხატა. მორჩა, აწი ამის მოხდას ვინ დავანებებს. ყოველი მხრიდან კომენტარები მესმის. ყველა ნასვრეტიდან, ცხადიდან თუ დაუფერებლიდან, სიცოცხლე ჩქეფს. ის ზოგჯერ ისეთ ფორმებს ღებულობს, რომ იბნევი.

ერთი რამ უდაოა. იმათთან შედარებით, ვინც ომმა ფერფლად აქცია, მე ვიყავი ბრმა-ყრუ-მუნჯი. სიცოცხლისა და სიკვდილის მიყურადება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ადამიანებს სულ სხვანაირი აქვთ. მგრძობელობის მიჯნა მეტად მცირდება.

ავტობუსი, სერნოვოდსკის გავლით, ნაზრანიდან გროზნოში მიდის. უცებ ირგვლივ მჯდომთ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. ყველას სახე გაუმკაცრდა. ერთმა მაჰმადიანმა ხელები აღმართა, ლოცვა დაიწყო. ავტობუსი დაჭიმულ ხიმს დაემსგავსა. ჩემი მეზობელი თამარა (რომელიც რატომღაც ღრმა მოხუცებული მეგონა და ჩემზე უმცროსი აღმოჩნდა), ჩემს უდარდელობას შიშით შეჰყურებს: „ასე არ შეიძლება, მოკვდები“. თამარა დაძაბული და ტანჯული მზერით აკვდება გზას, მე კი ჯიბრით არაფერს ვიმჩნევ (სულელურად მახსენდება ჩემი ბავშვობის „ლურჯი წვერიდან“: „ანა, შენ ვერაფერს ხედავ?“). რამდენიმე წუთში დავინახე საშინელი სისწრაფით მქროლავი „ბეტეერი“. ძრავა ღმუოდა. ქარი წენდა რუსეთის სამფერას ნარჩენებს. ზევით, დროშის ტარზე, ჯაჭვით მიბმული უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი იდგა და მთელი ძალით ჰყეფდა.

შეზარხოშებულმა ბიჭებმა გულიანად შეგვიკურთხეს და სამხედრო მანქანამ გზიდან მარცხნივ მკვეთრად გადაუხვია. ავტობუსმა ამოისუნთქა. დაიწყო ლოცვა - მადლობისა და შვების ცრემლებით გაჯერებული. სიტუაცია „არც მშვიდობა, არც ომი“ (1995-ის ზაფხულ-შემოდგომა) რყენის ჯარისკაცს და ბოლო ნერტილამდე ქანცავს მშვიდობიან მოსახლეს.

მგონი პლატონოვის „კოტლოვანში“ არის აზრი იმ შთაბეჭდილებებზე, რომლისგანაც იბადება და მღელვარებს სიცოცხლე. როგორი სიცოცხლე იბადება ამნაირი შთაბეჭდილებებიდან? - ამაშია კითხვის დედააზრი.

1995 წლის 9 სექტემბერს გროზნოს გარეუბანში, „შიროკის“ ქუჩაზე, ზუსტად იქ, სადაც მე თამარასთან ერთად ვცხოვრობდი, სამხედრო „ურალმა“ ოთხი წლის ჩეჩენი გოგონა გაიტანა. ჩვენი სახლიდან შიროკიზე გამავალ გზაზე დაუსახლებელი ადგილი იყო, ნაგავსაყრელად ქცეული. დღისით და ღამით იქ კატები და ძაღლები დაბორილობდნენ. მათ შორის ისე, რომ არაფრის ეშინოდათ, დაბობლავდნენ ვეებერთელა ვირთხები. ტრასაზე, ხუთ-ექვსკაციან ჯგუფებად დაყოფილები, ადამიანები იდგნენ. ისინი ხმადაბლა ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და ხელები, უნებლიეთ, მუშტად ეკვროდათ. საერთოდ, ჩეჩნები, ყოფით ცხოვრებაში, საკმაოდ მშვიდ ადამიანებად მომეჩვენა, მათი ზოგიერთი კავკასიელი ძმებისგან განსხვავებით.

მივედი მამაკაცების ერთ ჯგუფთან. უნივერსიტეტულ ისტორიკოსს ხმის ამოღების ილაჯი არა აქვს, სახეზე კუნთები უთამაშებს. „დათვრენ ჯარისკაცები ისე“ . გზის პირას „ურალი“ იდგა. ვილაც ადამიანები, აქედან შემთხვევის ადგილამდე, მანძილს ზომავდნენ. გოგონა საავადმყოფოში წაიყვანეს. ყველანი შედეგს ელოდებიან.

მალე დაღამდა. როცა ჩვენ იქაურობას ვტოვებდით, ადამიანები ჯერ კიდევ გზაზე იყვნენ. იდგნენ სიბნელეში ფიგურები გაუნძრევლად, უცნაურად აწვართულები. შავი სანთლები გზის გაყოლებაზე.

მე არ გემშვიდობები, ჩეჩნეთო! არ გემშვიდობები! მე დავბრუნდები შენს გზებზე, შენს ადამიანებთან! და - მადლობა მოთმინებისა და გაგებისთვის. მაპატიე, ჩეჩნეთო! თუ შეძლებ, მაპატიე!

ჩეჩნეთი. 1996 წელი

აჩხოი-მარტანის №3 საშუალო სკოლაში, როგორც საკუთარ სახლში, ისე შევაბიჯე, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მხოლოდ ჰასმაგომეტს ვიცნობდი, სკოლის დირექტორს. მან სწრაფად გამაცნო მასწავლებლები, რომელთა შორის ბევრი რუსი აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი, ნინა ნიკო-

ლოზის ასული მაკარენკო, ათი დღის მანძილზე ჩემი მფარველი ანგელოზი გახდა.

ნინა ხრუშჩოვკაში ცხოვრობს. ვინრო ოთახები, პატარა სამზარეულო. ჩვენ ოთხნი ვიყავით. დენისი - ნინას შვილი, გროზნოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. ქმარი - იაშა. მილიციელი. კინოლოგი. მონადირე. მე და ნინა.

მასპინძელს ყველა იაშკას ეძახის. ბრწყინვალედ ჟღერს. დიდი სურვილი მაქვს, მეც ასე მივმართო. იშვიათი ოჯახია, სადაც უხერხულობა სწრაფად იქცევა პრივილეგიად. შენ დაგიმტკიცებენ, რომ იატაკი ზუსტად ის ადგილია, რისთვისაც მამაკაცებს ერთმანეთში მუდამ დავა მოსდით. პირდაპირ ერთი სული აქვთ - დასაძინებლად იატაკზე მოიკალათონ. ამიტომაც შენ ლოგინში მოგიწევს წოლა.

ნინა რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. ვერაფრით ხვდება, რუსეთმა ომი რომ დაიწყო, რატომ არ იფიქრა ისეთ ადამიანებზე, როგორებიცაა თვითონ, მისი მეუღლე და ერთადერთი შვილი, თვალისჩინი, რადგან როდესაც შინაა, სახლში სიმყუდროვე და თანხმობა ისადგურებს. იაშა ვერ იტანს, როცა სახლიდან ვინმე მიდის. მოილუშა, როცა გროზნოში წავედი. ხშირად მიდიოდა ფანჯარასთან. სამაშკიში ორჯერ დამოუკიდებლად რომ გავემგზავრე, ძალიან შეწუხდა.

- გესმის, რა მდგომარეობაში ვიყავი, როცა რუსეთის ჯარისკაცები ჩვენს სოფელში შემოვიდნენ? ვხედავ მშობლიურ სახეებს. რუსებს. მინდა სიხარულით ხელი დავუქნიო. მახსოვს, სახეზე ღიმილი გადამეფინა და ამ დროს დენივით დამიარა ტანში - სად ვდგავარ ახლა? იმ ხალხთან, რომელთანაც მთელი სიცოცხლე გავატარე. როგორ შემიძლია მათი შეურაცხყოფა. ჯარისკაცები დიდხანს მიდიოდნენ. ისინი ბევრნი იყვნენ - შამანოველები, მათ ნევზოროვი იღებდა. ისინი, წარმოიდგინე, ბამუტის ასაღებად მიდიოდნენ. ყმანვილი ჯარისკაცები ცდილობდნენ, ბავშვები გაეცინებინათ, სახეს უმანჭავდნენ. საქმე სასაცილოდ არ იყო. ბავშვებს დიდებოვით პირქუში სახეები ჰქონდათ. სოფელში შემოსვლისას ერთმა ჯარისკაცმა სოფლის მცხოვრებლებს შეაგინა. დამხვდურმა ამის გამო ჩხუბი დაუწყო. ის სასწრაფოდ დააშოშმინეს, რომ ამით სოფელი არ დაეღალატებინა. ძალიან დიდი კოლონა იყო. ყველაზე ძნელი იცო, რა არის? - ცხოვრობდე სხვა ხალხში და იცოდე, რომ შენი ერი მათთან ომობს.

ნინას, როგორც ბევრ რუსს, სჯეროდა, რომ რუსეთი თავისიანებს არ შეეხებოდა, იხსნიდა. რუსეთმა თავისიანები ვერ იხსნა.

- არ შემიძლია იმის მოსმენა, როდესაც რომელიმე ერზე ერთ განზომილებაში ლაპარაკობენ. ერთი წყება ჩეჩნები ცდილობდნენ, ჩვენს სახლი გაეძარცვათ და ჩვენ კი საიქიოში გავესტუმრებინეთ. სხვა ჩეჩნებმა გვისხნეს. მიდი ახლა და განსაჯე... ეს ჩემი შემთხვევა... შენ დირექ-

ტორს ხომ კარგად იცნობ?! გახსოვს მშენებლები, შარშან სკოლას რომ არემონტებდნენ? ჰასმაგომეტი გრძნობდა, რომ სიტუაცია შეიცვალა და თხოვა მშენებლებს, სწრაფად გასცლოდნენ აქაურობას. მაგრამ ისინი მაღალი კლასის სპეციალისტები იყვნენ, სანტექნიკის შეუმომწებლად დატოვება არ შეეძლოთ და შეყოვნდნენ. ისინი გაიტაცეს. ჰასმაგომეტი იცოდა, ვინც გააკეთა ეს. პირდაპირ მივიდა გამტაცებლებთან, მშენებლების დაბრუნებას ითხოვდა. როცა დარწმუნდა, არ მისცემდნენ, რასაც ფიქრობდა, ყველაფერი პირში მიახალა. სასტიკად სცემეს. ნეკნები ჩაუმტვრიეს. დიდხანს ავადმყოფობდა. ნუ გამოჰკითხავთ ნურაფერს, ვერ იტანს ამის გახსენებას. ან რა არის სალაპარაკო, როდესაც ბიჭები აღარ არიან. მაგრამ ის ხომ იბრძოდა ამ ადამიანებისთვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

პირველ სართულზე, ოროთახიან ბინაში, ულამაზესი ფაუკაცი კურეიმი ცხოვრობს. ყველა ჰოლივუდელი ვარსკვლავი, ერთად აღებული, მასთან ახლოს ვერ მივა. მან საკუთარ თავს სიტყვა მისცა: არაფი სიცოცხლის ბოლომდე არ დალიოს, ლუდი - ხუთი წლის განმავლობაში. დღემდე ასრულებს. ნინა ამბობს:

-მას ყურანზე ჯერ თითიც არ დაუკარებია. წარმოიდგინე, თუ ყურანს ხელი დაადო, რა იქნება!

კურეიმის სიტყვა ერთგვარი საყვედურია იაშას მისამართით, რომელიც, მართალია, არ სვამს, მაგრამ, არ შეუძლია ასეთი სიტყვის დადება და შესრულება. ეს კურეიმმა დააღილა ბანდიტები, რომლებსაც ნინას ბინაში სურდათ შეჭრა. თან ისე, რომ არავინ იცის, რა მდგომარეობაში არიან ისინი, საერთოდ თუ შერჩათ სიცოცხლის ილაჯი.

ზოგჯერ, სალამობით, მთელი ოჯახით ჩავდივართ ჩვენი მხსნელის ბინაში. მივსხდებით იატაკზე და ვმართავთ გრძელ საუბრებს ცხოვრებაზე. კურეიმი ჩეჩნების ისეთ ტიპს ეკუთვნის, ვისზეც ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით ან თავს ვიტყუებთ, რომ ასეთები არ არიან. ის გულმოდგინედ აკვირდება რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს. მეტად რელიგიური ადამიანია. მამების ტრადიციებს იცავს. ერთ-ერთი ტრადიციაა - მეზობელს გაუფრთხილდე. პირველ რიგში, იმ მეზობელს, რომელიც სხვა აღმსარებლობას მისდევს.

ჩეჩნებს თურმე ჩვეულება აქვთ - ყოველ ხუთშაბათს მოიხსენიონ მიცვალებულთა სულები. ნინა ამბობს, რომ საიქიოში გარდაცვლილთა სულები ყოველ ხუთშაბათს მიდიან გასაკითხის მისაღებად. ხოლო თუ მიწაზე შენს შთამომავალს დაავინყდა მონყალების გაღება, შენ (გარდაცვლილი) მიდიხარ და ტვირთს გამოსახავ, რათა მიწაზე დარჩენილმა სირცხვილი არ ჭამოს. მე ვერაფრით ვხვდები, რას წარმოსახავენ იქ სულები და რატომ. ნინა კაბის კალთას იწევს. თავს ისე გაჩვენებს, თითქოს

იქ გასაკითხი დევს და გვერდით ჩავლისას საყვედურით შემოგცქერის. ეს ნიშნავს, რომ მე აქ, მიწაზე, არ გავიკითხე, ხოლო იქ, ცაზე, მას არ სურს, შევრცხვე და თავს ისე აჩვენებს, რომ თასი სავსეა. გასაკითხი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ შენ სხვა სარწმუნოების ადამიანს მოიკითხავ, მოგეზღვება არა იმ ცხოვრებაში, არამედ აქეთურში. მიწაზე. ახლა.

...ვუსმენ, როგორ იხსენებენ იაშკა და კურეიში ერთობლივ ყოფაცხოვრებას. ვხედავ, რა მშვიდად სძინავთ მეზობელ ოთახში სახლის პატრონის ბავშვებს. როგორ ანთებენ ნინა და დენისი სანთელს. როგორ დებს კურეიშის მეუღლე მაგიდაზე გარეცხილ ხილს. როგორ ისადგურებს სახლში სიმყუდროვე. და მეჩვენება, რომ სწორედ ეს არის სამოთხე, სადაც ყველანი კარგად ვგრძნობთ თავს, რადგან დახმარების პირველი მოძრაობა სხვა სარწმუნოების ადამიანისკენაა მიმართული და მაშინ მერისი უნდა მეშინოდეს? მსურდა, ამ სახლზე ფიქრიდან გადავსულიყავი კითხვაზე: რა დაგვემართა ჩვენ ყველას და ვინ არის დამნაშავე იმაში, რაც მოხდა, მაგრამ კურეიშის სიმშვიდე და დამაჯერებლობა რეფლექსიებისთვის არ განგანყოფს. უბრალოდ, სიმყუდროვეა და მორჩა!

ნინამ სრულად შეიგრძნო ჩეჩნეთში მყოფი რუსების მწვავე ტკივილი. ეს ტკივილი ორმაგდებოდა იმიტომ, რომ ის მასწავლებელი გახლდათ.

-ერთხელ კლასში შევედი და ვიკითხე: „ბავშვებო, არაფერი გასურთ, მკითხოთ?“ ისინი მეკითხებიან: „ნახვალთ აქედან?“ მე ვუთხარი: „არა!“ ბავშვებს კარგად ესმოდათ ჩემი გაორება. მე მათთვის რუსული ენა და ლიტერატურა უნდა მესწავლებინა. ის დღე მახსენდებოდა, როდესაც კატორ-იურტში, რომელიც ჩვენს გვერდით მდებარეობს, როგორ იმსხვერპლა ბომბმა მთელი ოჯახი - ცხრა ადამიანი.

სწორედ ნინას უნდა ვუმაღლოდ ნაცნობობას სამ ჩეჩნურ ოჯახთან. საუკეთესო ოჯახებთან, როგორც ნინა ამბობს. ალბათ ნინა, ჩემი მეგობარი, მართალია: ასლახანოვები საუკეთესო ადამიანები არიან მთელს აჩხოი-მარტანში.

სალმანი მძლოლია. მშვენიერი იახა - მისი მეუღლე. ჰყავთ შვილები. შვილიშვილი ოთხი თვისაა. ეს მათზე ამბობს ნინა:

- ვერ ვიტან, როცა ამბობენ, რომ ჩეჩნებს მუშაობა არ შეუძლიათ, რომ ისინი მხოლოდ იპარავენ და ძარცვავენ. შეხედეთ, ესენი თავიანთ სახლს ხომ მთელი ცხოვრება აშენებენ. მშენებლობა არ ჩერდება, იმიტომ, რომ ბავშვები იზრდებიან. დილიდან საღამომდე მუშაობენ.

თითქმის ყველა ჩეჩენი, ვისაც შევხვედრივარ, თავისი ცხოვრების ათვლას ტრაგიკული 1944-იდან იწყებს. არც სალმან იახიტოვია გამონაკლისი. სალმანის დედა, რომელმაც გადასახლების საშინელებას ვერ გაუძლო, 1947 წელს გარდაიცვალა. ახლანდელ ომზე სახლში ხმადაბლა საუბრობენ:

- თუ სარდაფის სათავსო ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, როგორ ფიქრობ, რა ცხოვრება იყო ეს?

სალმანს რუსეთის მაგივრად რცხვენია. ასეთი ძლიერი სახელმწიფო და უცებ... სალმანი გვარის კაცია, ინკუბატორიდან კი არა. მას მშობლები ჰყავდა. უფრთხილდება მათ ხსოვნას. მიამბობს ორეხოვოვში მდებარე საგვარეულო სასაფლაოზე და იქ მომხდარ ბოლო შემთხვევაზე. ადამიანები დაკრძალვაზე მიდიოდნენ. იქით ერთ მიცვალებულს მისვენებდნენ, უკან - ხუთს. ავტობუსი აფეთქდა.

ნინასა და მასპინძლების საუბრების უდიდესი ნაწილი მათ საერთო საქმიანობას შეეხება - მეფუტკრეობას. ეს სალმანმა დაითანხმა ნინა და იაშა, რომ ფუტკარი მოეშენებინათ. ამ საუბრების დროს, ვისაც ყველაზე ხშირად ისაკლისებენ, მათი საერთო მეგობარი ბონდარევსკია. აკლიათ რუსი, რომელიც ჩეჩნეთიდან წავიდა და რომელსაც ძლიერ ენატრება აქაურობა.

- ოჰ, როგორ ვისურვებდი ახლა ბონდარევსკის სახე მენახა, - ამბობს სალმანი. მე უკვე ბევრ რამეს ვერ ვიგებ საუბრიდან. ვერ ვხვდები საერთო სიცილის აზრს, დაკავშირებულს რაღაც ისტორიასთან, სადაც შემთვრალ ბონდარევსკის განსაკუთრებული როლი ეთმობა. საუბრის ცხელმა ტალღამ გადამიარა და მე მხოლოდ შემეძლო, მივხვედრილიყავი, რა კავშირები ჰქონდათ ჩეჩნებს რუსებთან. კონკრეტული ადამიანების კავშირები, რომლებიც უაზრო ომმა დაუნდობლად განყვიტა.

მაოცებდა მასპინძლების რუსული. ისეთი ზუსტი, მდიდარი და რაფინირებულად ლიტერატურული, რომ თავში წავივლებდი ხოლმე ხელს.

სალაუტდინი, სალმანის შვილი, ცდილობს მომხდარის ანალიზი საუკუნეების გადასახედიდან გააკეთოს. ერთობლივი რუსულ-ჩეჩნური ისტორიის საკითხებში ჩემი თანამოსაუბრეები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. სახელდება გვარები, თარიღები, საუკუნეები. ახდენენ ნიკოლოზის, ერმოლოვის, ჩერნიშოვის სიტყვების ციტირებას, რომ არაფერი ვთქვათ უახლესი ისტორიის გმირებზე. ომმა ჩეჩნებს სიღრმისეული ისტორიული ცნობიერება დაუბრუნა. ამ ცნობიერების ვექტორი მათ ერთი არა აქვთ. ამაში დავრწმუნდი. ბევრჯერ დავავლე კალამს ხელი, სალაუტდინის ნათქვამი რომ ჩამეწერა. ის მაშინვე ჩუმდებოდა. ერთი ფრაზის ნაწილი ტვინში ფორმულად ჩამებეჭდა: „რუსების მოქმედების ფარული, მიჩუმებული აზრი იმით განისაზღვრებოდა...“ დიახ, ის ასე რთულად და ხატოვნად აზროვნებდა, მძლოლ სალმანის შვილი.

მე ვერაფრით მოვსულვარ აზრზე, რიგითი ჩეჩენის მიერ უზარმაზარი ისტორიული შრეების დაუფლებიდან გამომდინარე, და ვეკითხები სალაუტდინს: საიდან ასეთი რუსული?

-უბრალოდ, როცა თქვენთან ვსაუბრობდი, ძალიან ვცდილობდი.

ეს ჩემთვის ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ თქვენ ხომ სტუმარი ბრძანდებით.

ჩვენ კი როგორ ვცდილობდით გაგვეგო ჩეჩნებისთვის?

- ჩვენ მეტს არაფერს ვითხოვთ. უბრალოდ, გვითხარით, რომ ადამიანები ვართ. და, როგორც ადამიანებს, გვაქვს სიცოცხლის უფლება.

ესეც ფორმულაა. ის ეკუთვნის სახლის პატრონს, რომელიც გულწრფელად განიცდის, რომ რუსი ქალი ღამის გასათევად მის ოჯახში არ რჩება.

არ მახსოვს, რომელმა თქვა: „ჩვენთვის არც დუდავეი უქნია ღმერთს, არც - ელცინი“. ზუსტადაც! მათ გარეშეც მშვენივრად გავეძლებით.

აჩხოი-მარტანის გარეუბანში, ნოვონაბერეჟნის 1-ში ცხოვრობს ალი უმარის ძე მუკაევი. შემღვლებელი. მშენებელი. ფილოსოფოსი. მისი მშობლები 1944 წელს გადაასახლეს. ჩეჩნები 1956 წელს დააბრუნეს, მუკაევი - 75-ში. ალის მეუღლე რუსია, ლუბა ჰქვია. ბრიანსკიდანაა, ობოლი. „ცხოვრებაში კარგი არაფერი მინახავს,“ - ამას საკუთარ თავზე ამბობს. მათი უმცროსი შვილი, ყველასათვის საყვარელი ახმეტი, 1995 წლის 19 აგვისტოს მოკლეს. ბიჭი ათი წლის იყო. ის თავის მეგობართან ერთად ეზოში თამაშობდა.

ალი იძიებდა შვილის სიკვდილის ისტორიას. თამამად მიდიოდა რუს ოფიცრებთან და ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც მათზე ფიქრობდა. ერთს პირდაპირ მიახალა: „შენ შენს სიცოცხლეს დაჰკანკალებ, მე კი არა. ამიტომ შემიძლია, ყველაფერი ვითხრა“.

ჩვენ ბოსტნისკენ მივდივართ, ახმეტის დალუპვის ადგილისკენ. ნათესავების მახსოვრობა ინახავს თარიღებს, წამებს, სანტიმეტრებს. რუსმა ჯარისკაცებმა ნალმტყორცნი გაისროლეს. უაზროდ. ისე, უბრალოდ. ნამსხვრევებმა ბავშვის ცენტრალური ნერვული ღერძი დაფლითა. ლუბას არ ახსოვს, გასვენებამ როგორ ჩაიარა. ნინა აქვე მიყვება გასვენების მუსულმანურ წესზე. ის მეტად ლმობიერია ქალის მიმართ, რომელმაც შვილი დაკარგა. მამაკაცი ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს. ყველაზე მძიმე ფუნქციასაც კი - ამცნოს დედას შვილის სიკვდილი, რასაც განსაკუთრებული წესით აკეთებს.

ლუბამ ინფარქტი გადაიტანა. ძველმა ავადმყოფობებმაც თავი ნამოყო. გაჩნდა ახალიც - ასთმა. მას ძალიან უშლის ხელს მაჯისსიმსხო ნანწავი, რომელიც კოჭებადღე წვდება. თმების შეჭრას აპირებდა. აწი არასდროს შეიჭრის, ასე, ნანწავებიანი მოკვდება. ახმეტს არ უნდოდა, დედა ნანწავების გარეშე ენახა.

ალი თანამოსაუბრეს საკუთარი სიტყვების წყობის სისტემაში აქტიური ჩართვით სწავლობს.

-თქვენ სიცოცხლე, ასე ვხედავ, გიყვართ?

კი, ალი, მიყვარს. სხვანაირად როგორ.

ალი ცხოვრებას მრავალ ჭრილში ცდის. აი მისი კლასიფიკაცია. ერთი - ენციკლოპედიური. მეორე - იდეოლოგიური. მესამე - რელიგიური. არის მეოთხეც, მას ორთოგრაფიული ეწოდება. ალი დარწმუნებულია, რომ ენა ბევრს განსაზღვრავს ერის ბედში. ეზოპეს იგავ-არაკს საკუთარ ენაზე მოგიტხრობს, როგორც რეალურად მომხდარ ამბავს.

-ენა ის საკვებია, რომელიც ამქვეყნად ყველა დანარჩენს აღემატება. ენა მწარეა, ენა ტკბილია. თუ ენას ვერ მოუვლი, სიტყბო განელდება.

ისტორიაში ქალის როლის შესახებ ასე ამბობს:

-რომაელთა ომებიდან დანწყებული, ყველა ომში ქალის ხელი ერია.

განსაკუთრებული მონდომებით ახდენს გენერალ ერმოლოვის ციტირებას. როცა სივერაგეზე და ლალატზე საუბრობს, კონკრეტული მაგალითები მოჰყავს. არის ერთი მახასიათებელი, რომელსაც სიღრმისეულად ანალიზებს: შური. ის, რასაც ერმოლოვი უშუალოდ ჩეჩნებს აკუთვნებდა, მის მსჯელობაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების რეგისტრშია გადატანილი. ეს მეტად საინტერესოდ მომეჩვენა. ფსიქოლოგი ამ მოვლენას აპერცეპციას დაარქმევდა, როცა ახლის აღქმა განისაზღვრება წარსულის პირადი გამოცდილებით. შესაძლებელია, საქმე გვექნდეს რაციონალიზაციის ტიპურ შემთხვევასთან, როცა აქტუალური მოთხოვნილება გკარნახობს მოვლენის ვერბალური აღწერის საკუთარ მეთოდს, რომელიც შემეცნების სრულიად სხვა სისტემაში არსებობს. ჩეჩნეთში ამ მოვლენასთან შეხება არაერთხელ მქონია.

ერთხელ, გროზნოს მერის თანაშემწესთან, მაგომეტ სატუევთან ვსაუბრობდი. მე ტოლსტოი გავიხსენე და „ჰაჯი-მურატიდან“ იმ ადგილის ციტირება მოვახდინე, სადაც მწერალი რუსების მიმართ ჩეჩნების სიძულვილზე ლაპარაკობს. იმ ციტატაში ასეთი რამეც იყო, მათ რუსების მიმართ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც ვირთხების მიმართ. მე რაღაცას მივედ-მოვედებოდი ტოლსტოის ნიჭზე - გაუგოს სხვა ერს. მაგომეტმა სადღესასწაულო ტირადით გამანყვეტინა:

- ამქვეყნად ბევრი სიძნელე იქიდან მოდის, რომ დიდი ადამიანების ნაზრევი არასწორად იკითხება. ტოლსტოი სხვა რამეზე წერდა. მან თქვა, რომ ყველა ერს თავისი ვირთხები ჰყავს და მეტი არაფერი! ან მას ჩეჩნების ჯერ კიდევ არ ესმოდა მაშინ. ის, რაც თქვენ აღნიშნეთ, შეუძლებელია ტოლსტოის ეთქვა. არაფრის დიდებით!

მე „ჰაჯი-მურატიდან“ ზუსტი ციტირება მოვახდინე. მაგომეტი მაინც ვერ აძლევდა უფლებას საკუთარ თავს - დამთანხმებოდა. ის საკუთარი მიმართების მტკიცებულებებს ეძებდა.

ალიც ამნაირად ცდილობს, ჩასწვდეს რუსეთის ჯარისკაცის სულს.

მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში

- ზოგიერთები საომრად მთლად დაბრმავებულები მოვიდნენ. ზოგმა გაიღვიძა, მე ეს თვითონ მინახავს. თუმცა მძინარენიც დარჩნენ, სწორედ ისინი უშენენ ნალმმტყორცნებს ბავშვებს... კარგია, როცა მხეცი გარუსდება. ცუდია, როცა რუსი გამხეცდება.

შემდეგ ის ბირამის (ნივრის სანაყი) გაკეთებას მასწავლიდა. დამთავალიერებინა სახელოსნო, სადაც ყველაფერი ელექტროდენზე მუშაობს, ამ საქმეში კი ალი პირდაპირ ღმერთია!

- არ არის საჭირო სამხედრო მოქმედებებით ჩხვლეტა, - ისე ამბობს ალი, თითქოს იმ ოპონენტს ეკამათებოდეს, რომელიც ვერ ფლობს ცხოვრების „ორთოგრაფიულ“ ჭრილებს, ანუ არ სჯერა ენობრივი ურთიერთობის.

- მაშინ ჩვენ ყველანი ორანგუტანგები ვხდებით...

ამასთან ის გირჩები უნდა აგროვო, რომელიც ცხოვრების მანძილზე უსვრიათ შენთვის. და უნდა გააანალიზო ისინი.

ძალიან ვწუხვარ, რომ დიქტოფონი არა მაქვს. სიმართლეს ვამბობ, მომავალ ჯერზე ჩეჩნეთში მხოლოდ იმიტომ ჩამოვალ, რომ ალი ჩავინერო. თუმცა, ვერავითარი ფილოსოფიური ნიაღვრე ვერ გააქარვებს ჩეჩენი ალის და რუსი ლუბას მოუნელებელ დარდს.

ალის სახლისკენ მთელი ოჯახითურთ გავემართეთ იაშას მანქანით, რომელიც გაუგებარია, როგორ მოძრაობს, რამეთუ მთლად დამტვრეულია. მოძრაობას ყველა მგზავრის კოლექტიური მცდელობის შემდეგლა ინყებს. როგორც ჩანს, დავიძარი. ალის სახლთან ინყება ვეებერთელა მინდორი, ჭურვებისგან მთლიანად გადათხრილი. ვცდილობ გავიგო, რატომ და რისთვის მოფრინავდა ჭურვი, რომელმაც ორი ბავშვი შეინარა. ვერავითარ სტრატეგიულ ობიექტს შემოგარენში ვერ ვხედავ. ვხედავ ალის სახლს, რკინის ჭიშკარს, მთლიანად დაცხრილულს ტყვიებით. სახლთან ირიბად დგანან ცეცხლისგან გადამწვარი ხეები, სახლის უკან კი ბოსტანი იშლება, რომელიც ასევე ინახავს ჭურვების ნაკვალევს. დამშვიდობებისას რა შემიძლია გითხრა, ალი, რა? სიტუაციაში არის რაღაც იდუმალი და გამოუთქმელი. ამას ვგრძნობთ ისინიც, ვინც მივმგზავრებით და ისინიც, ვინც ჩვენს მანქანას აწვებთან. ჩემს მეხსიერებაში სამაშკიმი გაგონილი ლექსი ტრიალებს:

სოფელი წყვილიაღმა დაფარა.

ყველა მოკლულია.

ინვის სახლები, ინვიან ადამიანები.

ამ სოფელშიც შემოაბიჯა ომმა.

ერთი ეს მითხარით, ბავშვს რას ერჩოდნენ,

პატარა ვინ მოკლა...

აი ესეც! რისთვის მოკლეს ახმეტი, ალის ბიჭი? რისთვის?

მესამე სახლის დიასახლისი ჩეჩენი თამარაა. თამარას მთავარი სატკივარი და სიამაყე მისი შვილი თემურ ბისულთანოვია. სატკივარი იმიტომ, რომ მას სამუშაო არა აქვს. არც პერსპექტივა.

თემური ნიჭიერი ბიჭია. მუსიკას ნერს, საკუთარ სიმღერებს თვითონ ასრულებს. თამარას მთელი თავისი ცხოვრება შვილისთვის აქვს გადადებული. მე ვთხოვ თემურს, ჩანეროს სიმღერები და უცებ ვერ ვხვდები, რომ მას ამის გაკეთება არ შეუძლია. კასეტას ყიდვა ხომ სჭირდება. ფულს ვაძლევ. ის არ იღებს. ძლივს მოვრიგდით. თამარა შვილს სთხოვს:

-ჩემი საყვარელი სიმღერა ჩანერე.

დედის საყვარელი სიმღერა ძველებური ბალადაა რუს ჯარისკაცზე, რომელიც სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა. ის ხვდება ახალგაზრდა ცოლს და მწარე საყვედურს ეუბნება: სანამ მე იქ ვწვალობდი, შენ აქ კარგად ცხოვრობდიო. ლამაზმანი პასუხობს: „მე შენი კანონიერი ცოლი კი არაა, შენი ქალიშვილი ვარ, ობოლი ქალიშვილი...“

რა შესრულებაა. რა საოცრებაა თემურის სიმღერა. რუსული ჰანგები აგვირგვინებს იმ ტკივილიან სიმღერებს, რომლებიც ჩეჩენეთის ომს ეხება. ეს სიმღერები ძლიერი ენერგეტიკით სრულდება. „აღსდგება ძველი დიდება - გროზნო კვლავ ისეთი იქნება“, ასეთია თემურ ბისულთანოვის სიმღერების მოტივი. მაგრამ როცა იწყება ფართო რუსული მოძახილი „როგორ მსახურობდა ჯარისკაცი“, წინა სიმღერებს, ჩეჩენეთის ომზე დაწერილს, რაღაც ემართებათ. წარმოიდგინო, რომ იმ ჯარისკაცის შთამომავალი, რომელზეც ახალგაზრდა ჩეჩენი მღერის, კლავს ალის შვილს ან ესვრის თემურის სახლს, არათუ შეუძლებელი, არამედ პირდაპირ - ველურობაა. თუმცა, ისტორიულად, ეს ალბათ ასეა. ამიტომ გასაკვირია, იმის შემდეგ, რაც მოხდა, თემური რუსულად მღერას რომ აგრძელებს. ის კი არაა, თითქოსდა სწორედ ეს რუსული სიმღერა აძლევს შესაძლებლობას, გახსნას საკუთარი სულის სიღრმეები.

მოხდენით კი ბევრი რამ მოხდა. ერთხელ, ომებს შუა პერიოდში, დედა-შვილი მოსკოვში გაემგზავრა. გზის ფული არ ჰქონდათ და მაცივარი გაყიდეს (ამჟამად მაცივრის გარეშე ცხოვრობენ). ერთ მოსკოვურ ოჯახში ლაბადა მისცეს, ფეხსაცმელი, გაათბეს, შეიფარეს.

-ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები იმ ოჯახმა მაჩუქა.

საუკეთესო დღეებს ბინის ჩხრეკა მოჰყვა. ჩხრეკის მიზეზი და საბაბი სტუმრების ეროვნება იყო. თამარა ტიროდა. შვილს ხანგამოშვებით აჩერებდნენ ქუჩაში. აჩერებდნენ, ამცირებდნენ, შეურაცხყოფდნენ. დედა-შვილი მიხვდა, რომ ომი არ დამთავრებულა და სახლში დაბრუნდა.

ხოლო ის ძველი რუსული სიმღერა ჯარისკაცზე, რომელიც ხანგრძლივად მსახურობდა, კვლავაც საყვარელი სიმღერაა. მე გამახსენდა რუ-

სული სიმღერის მოქმედების ეფექტი ჩეჩნურ ციკლზე, როდესაც ნავი-კითხე ნანყვეტები სამაშკიში გაგონილი ვრცელი ნანარმოებიდან.

...სხეულით, სულით გახლავარ ავად,
ზოგჯერ საკუთარ თავს ვერ ვცნობ თავად,
დამხანაჯლეს, უკვე ველარ ვარ წყნარად.
ბოროტებისას ვერ ვზიდავ ნიშას,
ვაჟკაცმა იცის, ეს თუ რას ნიშნავს.
ძლივს გადაფურჩი ჩეხვას და ხოცვას,
ყოველ ნუთს ჩემს სულს ვასმენდი ლოცვას.
ღმერთს ვმსახურებდი შეძლების დარად
და მან გაძლების მომმადლა ძალა.
ნანგრევებში ვარ, ვერ ვინყებ ლოდინს,
ეულმა ნგრევის სამსალა შევსვი,
ვისმენ მუსიკის საშინელ მოტივს,
ვცდილობ, დავნერო ნათელი ლექსი.
ახლაც გულს მიკლავს ტანჯვა მამულის
და სულს მიშფოთებს მტერი ვერანი,
სიცოცხლეს ვთანგავ წყევლის აღმურით,
ხმლის ვადას ეძებს ხელის მტევანი.

გეცნოთ? აი ასე...

ბაშუტი

აჩხოი-მარტანის სამხედრო კომენდანტმა მიმილო თავის კაბინეტში, რომელიც უზუცესებით იყო სავსე. რალაც მნიშვნელოვანი საუბარი მიდიოდა, რომელიც ჩემი მოსვლით შეწყდა.

-ბაშაევი. ბასაევი კი არა, ბაშაევი, ჰაჯი-მურატი.

ასეთი სახელის გაგონებაზე ხელი გავუნოდე. ჰაჯი-მურატმა ჩემი ხელი შეიყოვნა და მცირე პაუზა გააკეთა. მერმე ყოველგვარი ბრაზისა და ქვეტექსტების გარეშე მკითხა:

- კლასიკურ ლიტერატურას კითხულობთ?
- ვკითხულობ, - ნაჩქარევად ვუპასუხე.
- აი, ელცინი და გრაჩოვი არ კითხულობენ და უბედურებაც აქედან მოდის.

- კამერა? ბლოკნოტი? - მეკითხება.
- ყველაფერს აქ დავტოვებ. თან არაფერს ნავილებ.
- სულ ტყუილად. ამ ყველაფრის გადაღება და ჩვენება საჭირო. ჰაჯი-მურატი ბამუტის სამშვს მინერს.

ჩემს მეგობარ ჰასმაგომეტთან ერთად მივდივარ, მისი ციციქნა მანქანით, რომელიც ლვეზელის გადასატანადაა განკუთვნილი. კომენდანტი უკანასკნელ განკარგულებებს იძლევა - რუსი ქალბატონი წამითაც არ მოიშორეთ. „განელებს“ ადევნეთ თვალი. სახლების შემოგარენში არ შეხვიდეთ.

განგებას სურდა, რომ ბამუტში ნათელ, მზიან დღეს მოხვედრილიყავი. იმ დღეს, როდესაც ბამუტის მცხოვრებლებს ნება დართეს, სოფელს დაბრუნებოდნენ.

და ისინი მიდიოდნენ. ლანჩამორღვეული ფეხსაცმლით, შელანძღული ტანსაცმლით. ქალებს თავი ღია ფერის თავშელებით ჰქონდათ გაკრული. საკუთარ სახლთან ახლოს მისვლა სახიფათო იყო. ზოგიერთები გზაში ჩერდებოდნენ და დიდხანს, დიდხანს იყურებოდნენ კარ-მიდამოსკენ. სხვები გზისპირას იმუხლებდნენ და გაუნძრევლად ჯდომას განაგრძობდნენ. ზოგიერთი ცდილობდა, გადაეღახა ის, რასაც ზღურბლი ჰქვია და მაშინ მათი ფიგურა სახლის გამოშვერილ ნარჩენებს ერწყმოდა. ერწყმოდა მთლიანად, სამუდამოდ და მეჩვენებოდა, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც მათი დაშორება შეუძლია.

საკუთარ სახლთან შეხვედრა იმდენად მტანჯველი იყო, რომ თითქმის ყველა მოსახლე, რომელიც დილით ბამუტში ჩამოვიდა, ტოვებდა სახლს და მოლაპარაკებულებით სოფლის ცენტრისკენ მიემართებოდა. ბევრმა პირველად ნახა ერთმანეთი ბამუტის ჩაბარების შემდეგ. ცნობდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, თავშეკავებით ტიროდნენ. შემთხვევით მასის შუაგულში მოხვდით. ყველამ იცოდა, რომ მე რუსი ვიყავი. ისინი მხედავდნენ, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდნენ. ჩემი თავი არ ჰქონდათ. და არც ჩემი ფუჭი რეფლექსების.

მათ გადამწვარ-დანგრეული ჰქონდათ სახლი. მათ ახლობლები დაკარგეს. გაუნადგურდათ საქონელი. გაუჩნდათ საფლავები სხვის სასაფლაოებზე, რადგან მათი საგვარეულო სასაფლაო დანალმული აღმოჩნდა.

როდესაც ისინი ჩემს უკან მდგარი ადამიანის გადასახვევად მიემართებოდნენ, გვერდს ისე მივლიდნენ, როგორც უსულო საგანს. მათ თვალელებში არ იყო არც სიძულვილი, არც შურისძიება, მაგრამ არც სიყვარული იყო. ასე ვიდრე რამდენიმე წუთი, მობუზული, სანამ ერთი კარ-მიდამოსკენ არ გავიხედე, რომელშიც მტკიცე და გაბედული ნაბიჯებით მიდიოდა მამაკაცი. ისეთი შეგრძნება იყო, რომ სამშენებლო მოედანზე მოხვდა. ჰასმაგომეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მამაკაცს გავეკიდე. ის ხომ მიდის და არაფერი მოსვლია. მე რატომ არ შემიძლია? ჩვენ მივედით სახლთან, ნაბიჯი შევანელებთ სკოლის შენობასთან, რომელზეც დიდი წითელი ასოებით იყო დაწერილი: „ДУХИ - ГОВНО“. ჩენჩეთის სკო-

ლებში ასეთი ლინგვისტური შედეგები ბევრგან ამშვენებს საკლასო დაფებს. მისამართიც მითითებულია: „თქვენს ბავშვებს - მემკვიდრეობად“.

თვითონ მინახავს. კარ-მიდამოს პატრონი მშენებელი აღმოჩნდა. თავისი ცხოვრების ოცდაათი წელი ალტაის მხარეში გაატარა, ტროიცკის რაიონში. დამსახურებული მშენებელია. ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად. ერთ-ერთი იმ ჩეჩენთაგანია, რომელსაც ვერასოდეს წარმოედგინა საკუთარი ცხოვრება რუსეთის გარეშე. სახლი მშობლებისთვის აუშენებია. ომის დროს მოხუცები არშტში გადასულან, მელოტი მთების გადავლით.

ჩეჩენები მელოტს უწოდებენ იმ მთებს, რომლებიც გადაბუგულია სარაკეტო-ბომბური დარტყმების შედეგად. კიდევ მათ შავ მთებს ეძახიან.

მაჰმუდ-გირეი ალის ძე მურდალოვი, არ ვიცი, ზუსტად დავიმახსოვრე თუ არა სახლის პატრონის სახელი, ბლოკნოტისა და კალმის ამოღებას რალაც არ მანებებს. მურდალოვის სახლი ერთადერთია ბამუტში, რომელიც გარეგნულად გადარჩა. აქ 3654-ე ნაწილის შტაბი იყო განთავსებული. შიგნით ყველაფერი განადგურებული და შეურაცხყოფილია. მორღვეულია ჭერის კოჭები, ამოგლეჯილია იატაკის ფიცრები, ნაფახითაა დაჩეხილი ფანჯრის ჩარჩოები. იატაკზე ყრია რალაც საბუთების ნაგლეჯები ადამიანების სახელებითა და გვარებით.

დავიარეთ კარ-მიდამო. მშობლებს მაცივრის გადამალვა უცდიათ. ფარდულში შეუნახავთ და ფიცრებით შეუნიღბავთ. მაცივრის გამოშიგნული კორპუსი ეზოში გდია. მას ჯერ კიდევ ეტყობა იმ დეტალების კვალი, რომლებიც ვილაცას ბარბაროსულად მოუგლეჯია. სახლში არც ერთი მთელი ნივთი არ არის.

- ეს როგორ... ისინი ხომ აქ ცხოვრობდნენ. თუ დაიპყარი, ადამიანურად მაინც იცხოვრე.

შვილმა არ იცის, როგორ მოიყვანოს აქ მშობლები. მათთვის ეს სანახაობა საბედისწერო იქნება. ჯერ კიდევ ალტაიში, ტროიცკიში, პროგრამა „ვესტიში“ ნახა საკუთარი სახლი. ეს იყო რეპორტაჟი ბამუტის ალების შესახებ. ისე გადმოსცემდნენ, თითქოს ბერლინი აეღოთ. მან იცნო საკუთარი სახლი, მის თავზე რუსული დროშა აღმართეს.

- აბა, მანამდე ჩემს სახლზე რა დროშა იყო? რომელი? რატომ აღმოვჩნდი მე მტერი?

ალტაელ მშენებელთან შეხვედრისას პირველად გამიჩნდა აზრი, რომ სწორედ რუსეთმა დააჩქარა სეპარატისტული პროცესები და მისცა შესაძლებლობა, ჩამოყალიბებულიყო იდეა - ამჯერად საბოლოოდ ჩამოშორებოდნენ რუსეთს.

- მე ვერ წარმომედგინა ჩემი თავი რუსეთის გარეშე, მაგრამ ახლა...დაე, ჩემი სამყარო ნუ გასცდება ჩემს სახლს, ჩემს კარ-მიდამოს. მე

მეცოდინება, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩემს შვილიშვილს არ მოუწევს სახლის ნანგრევებზე სიარული, სირცხვილით არ დაინება გაუბედურებული მშობლების შემხედვარე. დიახ, მხოლოდ გამოყოფა... გადახედეთ ჩვენს ისტორიას. ეს მხოლოდ წიგნები და სიტყვები არ არის.

მან საკუთარ კარ-მიდამოზე ხელი მიმოატარა. კარ-მიდამოზე, რომელიც ამჟამად იმ ყველაფრის სასაფლაო იყო, რაც დაგროვილა მურდალოვების არაერთი თაობის მიერ და მათივე აზრს წარმოადგენდა.

სახლის პატრონი იშვიათ ყურადღებას გამოხატავდა ჩემს მიმართ. ის, ალბათ, გრძნობდა, რომ სირცხვილი მწვადა. ან რამე სხვა, ჩემთვის უცნობი გრძნობა, განაპირობებდა მის ასეთ ქცევას. ჩემთვის ნათელი იყო: მის ადგილას რომ აღმოვჩენილიყავი, არ მექნებოდა მშენებლის არც მოთმინება, არც ვაჟკაცობა, რომელმაც რუსეთთან ჯერ კიდევ მისი წინაპრების მიერ დაწყებული დავა ასე გადაწყვიტა. არა დიადი ქვეყნის სასარგებლოდ.

მე ბევრი რამ მენახა პოსტსაბჭოური სივრცის ამ უცნაურ ომებში, მაგრამ ბამუტმა ძალის უკანასკნელი მისხალი წამართვა, რაც აქამდე არასდროს მომსვლია. შუადღეს წინასთან ბინაში დავბრუნდი და მაშინვე სანოლზე მივეგდე. ზუსტად ერთი დღე-ღამე არავინ გამკარებია და არც არავის უკითხავს არაფერი. თუ სახლში ვინმე მოვიდოდა, ნინა ჩუმიად ეუბნებოდა: „ელვირა დღეს ბამუტში იყო“.

როგორ ახერხებენ ისინი ცხოვრებას? ისინი, ვინც ბამუტიდან თავისი ფეხით ლტოლვილების ვაგონეტებსა და სხვა დროებით თავშესაფარს უბრუნდებოდა...

სალამოს ნინა და დენისი ფილმის „ვიეტნამი. მოკითხვამდე“ ერთ-ერთ სერიას უყურებდნენ. ხალხი ნალმზე ფეთქდებოდა. ბომბები ცვიოდა სახურავებზე. ფილმში დედისა და ვაჟიშვილის ორიენტაციამ შემადრწუნა. დილით ნინამ თქვა: - ეს ყველაფერი ჩვენზე იყო. ჩვენს ომზე. ზუსტად ისაა.

„რახან ცოცხლები დაგვტოვეს, ვცხოვრობთ...“

-მთელი სკოლა ჩარჩა კლასში, - მწარედ ხუმრობენ სოფელ სამამკის საშუალო სკოლის მასწავლებლები. სკოლა ფიზიკურად არ არსებობს. ის გადანვეს. ბავშვები რომელიღაც სანარმოს ადმინისტრაციის შენობაში სწავლობენ. სხვათა შორის, არც ეს სანარმო არსებობს. კედლები მონგრეულია. იატაკი - აცვენილი. საკლასო დაფები არა აქვთ. არც ცარცი, არც სახელმძღვანელოები. მასწავლებლები მაინც ადგილზე არიან. კა-

პიკსაც არ ლეზულობენ, მაგრამ ბავშვებს მაინც ასწავლიან. მათ შორის რუსულ ენასა და ლიტერატურასაც. ერთ-ერთი მათგანია ანა ელჟუევა. ლამაზი, ტემპერამენტული, დიდი შინაგანი ძალითა და ღირსებით. მისი მონაყოლი:

-მე ახალგაზრდა ქმარი მყავს, ორმოცდაშვიდი წლისაა. ბოევიკებთან არასდროს ყოფილა, მაგრამ როდესაც პასპორტიზაციის საშინელება დაიწყო, მივხვდი, რომ ისიც და ჩემი ბიჭებიც სადმე უნდა გადამემალა. ორი ბიჭი მყავს. ერთი ოცისაა, მეორე - თექვსმეტის. უნდა გადავმალო, მაგრამ როგორ...

ვიზვართ სარდაფში. შემორბიან ყმანვილი ფედერალური ჯარისკაცები: „დაიმაღეთ! კონტრაქტის ხალხი მოდის!“ ვერ მოვასწარი. გამოგვიყვანეს სარდაფიდან. ყველა მამაკაცი კედელთან მიაყენეს. უბრძანეს, ხელები თავზე შემოეწყოთ... ჰო, ერთი საშინელი ისტორია სარდაფშიც იყო. ბიჭი გამოჰყავდათ, სრულიად ნორჩი. და ზემოდან გადაეფარა და ყვიროდა: „მე მესროლეთ! ტყვია ჩემთან დარჩება!..“ არ მახსოვს, ყველაფერი როგორ დამთავრდა. მომკალი და არ მახსოვს. ქალები ერთ მხარეს დაგვაჯგუფეს, მამაკაცები - მეორე მხარეს. ბრძანებას ელოდებიან. როგორც კი მამაკაცებს გვერდზე მიდგომას უბრძანებენ, ქალები კივილს იწყებენ. ვხედავ, ჩემი ბიჭები ჩვენგან ზურგშექცევით უყენიათ...

მობრძანდა მთლად უფროსი. მესმის: „დახვრიტეთ“. ვხვდები, რომ ეს ბრძანება ჩემებს ეხება, ვხედავ იმას, ვისაც ბრძანების შესრულება დაავალეს და ვინც ჩემები გაიყვანა. ზედ ვეკიდები, ხელს ვუჭერ, ავტომატის აღმართვის საშუალებას არ ვაძლევ. ის ჩემს მოშორებას ცდილობს. უფროსი ბრძანებს, ჩვენები ფარდულის უკან გაიყვანონ. - მორჩა, - ვფიქრობ, - ყველაფერი დამთავრდა!

კარგად მახსოვს, იმ უფროსს ძალიან მოსწონდა ამ სიტყვის წარმოთქმა: „დახვრიტეთ!“ ან შეიძლება, მაშინ ასე მეჩვენებოდა.

მამაკაცები ფარდულის უკან გაიყვანეს და ამ დროს ის, ვისაც ზედ ვეკიდე, ხელიდან დამისხლტა. მივდექ, მაგრამ ვერ ვენწევი. რატომღაც მჯერა, რომ ამ სროლაში ხელის შეშლას თუ მოვახერხებ, მეტი სროლა არ იქნება. რა სულელი ვიყავი! მივდექ, ჩვენს შორის რამდენიმე მეტრი. მან ავტომატი აღმართა, თითი სასხლეტს დაადო. მე ვხვდები, რომ ვერ ვასწრებ...

სროლის ხმა გაისმა. ვხედავ, ჩემი ბიჭები დგანან, ავტომატიანი „კონტრაქტნიკი“ კი ნაიქცა. თავიდან ვიფიქრე, რომ შევიშალე. მე ხომ სროლის ხმა გავიგონე. მომეჩვენა, რომ ვხედავ იმას, რისი დანახვაც მინდა და არა იმას, რაც სინამდვილეშია, მაგრამ არა, „კონტრაქტნიკი“ მკვდარი ეგდო. ეს დღესავით ნათელი იყო. ჩემი ბიჭები კი იდგნენ. სამივენი.

ერთბაშად ვერ მივხვდი, რომ მისი გასროლა ბოევიკებმა აღკვეთეს. მას იქით ესროლეს და ის უსულოდ დაეცა. ჩვენები იდგნენ და ეგონათ, რომ მათ ესროლეს. და ალბათ ვერ ხვდებოდნენ, რატომ იდგნენ ცოცხლები ფეხზე.

გადარჩნენ ჩემი კაცები, მაგრამ ეს ჩემი სიგიჟეა. ის ჩემთანაა. ყოველთვის, მოუშორებლად. შენ მეკითხები, როგორ ვცხოვრობთ ამის შემდეგ. რახან ცოცხლები დაგვტოვეს, ვცხოვრობთ. ამ შემთხვევაში დაგვტოვეს ცოცხლები.

გალიამი, რომელიც სამასწავლებლოს მოვალეობას ასრულებს, მოაქვთ ჩაი, ყავა, კანფეტები. ჩეჩენი მასწავლებლები, რომლებსაც მესამედ ვხვდები, მიყვებიან სამაშკის ბოლო შტურმზე, რომელიც 1996 წლის 15 მარტს დაიწყო. როგორც პირველი შტურმის დროს, ახლაც, თვითმფრინავები სოფლის თავზე ურტყამდნენ ირაოს. ისროდა მძიმე ტექნიკა. ადამიანები სერნოვოდსკისკენ მიდიოდნენ. კოლონას თავი სერნოვოდსკში ჰქონდა, ბოლო - სამაშკიში. უცებ დაიწყო მოთქმა, ყვირილი, ტირილი. ადამიანებმა უკან მობრუნება დაიწყეს.

აღმოჩნდა, რომ გამშვებ პუნქტში ყოველ მამაკაცს აკავებენ, პატარებსაც კი. დედებს ხელიდან სტაცებენ შვილებს და განზე გაჰყავთ. ყველასათვის ნათელია, რომ ფილტრაციულ ბანაკებში მიჰყავთ, საიდანაც არავინ ბრუნდება. ხოლო თუ ვინმე ბრუნდება, ისინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინვალიდებად რჩებიან. ადამიანები უკან, სამაშკის მიაწყდნენ.

ყოველთვის ვფიქრობ, გამოჩნდება კი ვინმე, რომელიც, უბრალოდ, აღწერს ომში ჩვენი არმიის მიერ ჩატარებულ ოპერაციას. როგორ გვინერია სამხედრო წესდებაში? — კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, პასპორტიზაცია, განმენდა და რა ვიცი რა. როგორც ერთმა ჩეჩენმა თქვა, დასახლებულ პუნქტებს ბოევიკებისგან ათავისუფლებდნენ მთელი დასახლებული პუნქტის განადგურების ფასად.

მოვლადი ბორშიკოვი, სამაშკის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, მიყვებოდა, რომ ყველა ულტიმატუმი, რაც სოფელს წაუყენეს, მოსახლეობის ნამდვილი აზრად აგდება იყო. რამდენჯერ მოგვცეს სიტყვა, რომ სოფელში არ შემოვიდოდნენ და არ დაგვბომბავდნენ. შემოდიოდნენ. გვბომბავდნენ.

- მე გამოუვალ სიტუაციაში ჩამაყენეს, - ამბობს მოვლადი. - იძულებული ვარ, რუსეთისგან გამოყოფა ვისურვო. სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს.

სერიჟა, ჩემი ნაცნობი მასწავლებლების, ლუიზას და ლიზას დედა, აჩხოი-მარტანში მაცილებს. სოფლის ბოლოში ვდგავართ. რამდენიმე თვის წინ სწორედ აქ იდგა იგი თავის შვილიშვილებთან ერთად. ტანკები,

ჯარისკაცები, ლტოლვილები სხვა სოფლებიდან. შტურმის მტანჯველი ლოდინი. პირველი ორი შტურმის გამოცდილებიდან ცხადი იყო, რომ სასაკლაო ელოდათ, მაგრამ მთლად ასეთს მაინც არ ელოდნენ. აქედან, ამ ადგილიდან, ისინი საქონელივით გაირეკეს დავიდენკოსკენ.

ახლა სერიუა გამჭოლი მზერით აფასებს სიტუაციას:

- რატომ არ ჩაჯექი, ელვირა? მანქანაში მოხუცი ჩეჩენი იჯდა. ის შეცდომას არ დაუშვებს.

ვუცდით მანქანას მოხუცი მძღოლით. გამოჩნდა, როგორც იქნა. ესაა, ჩეჩენი აჩხოიში კი არა, უფრო ახლოს, შაროიში მიდის. მე, სულელი, მაინც ვჯდები. მიუხედავად იმისა, რომ აზრზე არ ვარ, შაროიდან როგორ გავალწევ.

- მოხუცი მოიფიქრებს რამეს, - მემშვიდობება სერიუა და დიდხანს, დიდხანს მაცილებს მზერით.

- სამაშკი? სამაშკი - ყოველთვის ბერლინია. - ამას ერთ-ერთი თანამგზავრი ქალი ამბობს.

გზავამყოფთან მძღოლმა თავისი მგზავრი ქალები გადმოსვა. ისინი ფეხით ნავლენ შაროიში. მე კი, გამოდის, აჩხოი-მარტანში მიმიყვანენ? სწორედ ასეა!

ასაკოვან ჩეჩენს მთლად ცენტრამდე მივყავარ. ვცილილობ, ათი ათასი რუბლი ჩაუტყურო ჯიბეში, მაგრამ მოხუცი, უარის ნიშნად, თავს აქნევს:

- ცუდად მოვიქეცი. იმ ქალებთან ერთად ჩემს სახლში უნდა წამეყვანე. შეჭამდი, დალევდი რამეს. მხოლოდ შემდეგ უნდა წამომეყვანე აქეთ.

ომმა მოხუც ჩეჩენს ბევრი უბედურება დაატეხა თავს. ვერაფრით გაუგია, რატომ ისადგურებს ასეთი აუტანელი ჯოჯოხეთი დედამინაზე, რა ცოდვების გამო.

დამშვიდობებისას მეუბნება: ალაჰმა ჩვენ სიკვდილით შეგვზღუდა. ჩვენ კი ეს შეზღუდვა დავივინწყეთ. ღმერთს კბილი გავუსინჯეთ. აქედან მოდის ყველაფერი.

სრულიად შესაძლებელია, რომ მოხუცი ჩეჩენი მართალია.

სახლისკენ

1996 წლის ნოემბრის დასაწყისი ცივი და წვიმიანი გამოდგა. დილაადრიან დენისი და ნინა გასაცილებლად გამომყვნენ. ჯერ ნაზრანამდე უნდა ჩამეღწია, იქიდან კი ვლადიკავკაზში. ნინა განაგრძობს ჩეჩნების წეს-ჩვეულებებზე საუბარს და ასკვნის: ჩვენ ჩეჩნებისგან უნდა ვისწავლოთ, როგორი უნდა იყოს ერი. ამას სიმწრით ამბობს, რადგან იცის: აქე-

დან წასვლა მოუწევს. იაშას სამშობლო ეწევა. უკრაინაში უნდა წასვლა. მაგრამ ელოდება კი ვინმე იქ?

დენისი ერთ ისტორიას ჰყვება, ვერ გაიგებ, ანეკდოტია თუ სიმართლე. დენისი ამბობს, რომ ეს სინამდვილეში მოხდა.

საგზაო პატრული ავტობუსს აჩერებს.

-ყველა მამაკაცი ჩამოვიდეს, მხოლოდ ქალები დარჩნენ!

მამაკაცები ჩადიან, პატრული ავტობუსს ათვალეერებს და ერთ მამაკაცს შენიშნავს.

- შენ რატომ არ ჩახვედი? შენ რა, ქალი ხარ?

- კი, ქალი ვარ. მამაკაცი ისაა, ვინც მთებში იბრძვის.

მჯდარა ასე, არ ჩამოსულა...

ცრის. მრავალრიცხოვან ჯიხურებს პოლიეთილენს აფარებენ. ვიხედებით, რას შეიძლება გავყვე. უცებ ნინა ამბობს:

- თუ პრობლემა შეგექმნება, შეგვატყობინე. აი, მოვენწყობით და შენც აუცილებლად დაგეხმარებით. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით, ასეთი ოჯახი გვაქვს. თუ ცუდად შეიქენი - ჩვენ ნუ დაგვივინწყებ.

ყელში ბურთი მეჩხირება. დგას ავტობუსი ფირნიშით „გროზნო“ და მე რატომღაც გული მწყდება, რომ სხვა ავტობუსი მჭირდება, სხვა ფირნიშით. იაშა ჩემს მოლოდინში არ იდგება ფანჯარასთან. ვერ ვნახავ, როგორ ეთამაშება დენისი კატას. ვერ გავიგონებ რუსულის მასწავლებლის, ნინას ნაამბობს იმ ერზე, რომელთანაც ერთად ლუკმაპურს იყოფდა. კავკასიაზე, რომელიც სამუდამოდ უნდა დატოვოს.

სლეპცოვსკიდან ვლადიკავკაზისკენ მიმავალი ერთადერთი ავტობუსი უკვე წასულა. ნაზრანამდე მივდივარ. აქ მწუხარე ჩერმენია, ოსებისა და ინგუშების დაპირისპირების ადგილი. ნაზრანის ავტოსადგურში დროს ვკლავ. სასაუზმეში შევდივარ. იმ მაგიდასთან ვჯდები, სადაც ახალგაზრდა კაცი სადილობს. მას მაგომეტ კოტიკოვი ჰქვია. თვალეებში არაქაური ნათელი და მისი ასაკისთვის იშვიათი სიმშვიდე უდგას. ის სლეპცოვსკის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს. იმამი იქნება. მალე არა, მაგრამ იქნება.

-მართალია, რომ ყურანის მიხედვით, ურჯულოს მოკვლა შეიძლება?

-კვლა არც ყურანის მიხედვით შეიძლება და არც საერთოდ.

-არა, ამბობენ, რომ ყურანის მიხედვით... ეს ისევე მე ვარ.

მაგომეტი მომთმენია გზაბნეული ცხვრის მიმართ და როგორც პირველ შემთხვევაში, იმეორებს: „კვლა საერთოდ არ შეიძლება“.

-აბა, ეს როგორ... — ისევე ვინწყებ.

მაგომეტი მკაფიოდ წარმოსთქვამს: ჩვენ ცუდი ხალხი ვართ. პირველად იმას უნდა შეხედო, რატომ გვემართება ეს მაინცდამაინც ჩვენ, რატომ?

მასწავლებლის მოგზაურობა კავკასიაში

როგორც ძველ დროში იტყოდნენ, ომის გზაზე მონანიების მოტივი ძვირფასია.

ფანჯრიდან რაღაც უცნაური ავტობუსი შევნიშნე. პლატფორმაზე გამოვარდი. მართლაც! უზარმაზარი ბორბლები. პატარა ფანჯრები გისოსებშია ჩასმული. ავტობუსის კორპუსი ჩვეულებრივზე ორჯერ დაბალია. თითქოს ვილაცამ ავტობუსი გაჭყლიტა და მერმე შეაყენა მაღალ ბორბლებზე. გამოვიდა მოდერნიზებული ბადრაგის მანქანა. ხალხი ავტობუსის მაღალ საფეხურებზე ადის. ადიან მდუმარენი, მობილიზებულინი. სად შეიძლება მიდიოდეს ასეთი მონსტრი? მძღოლს მივაფრინდი:

-თქვენ ვლადიკავკაზში მიდიხართ?
-დიახ.

-ნამიყვანეთ მეც.

-არა! ჩვენ იქ გაჩერების უფლება არ გვაქვს.

-გემუდარებით, მხოლოდ ნუთით შემიჩერეთ, სხვანაირად ვლადიკავკაზში ლამით მოვხვდები, მე კი არსად მაქვს ლამის გასათევი.

-არ შემიძლია, უფლებას არ მომცემენ. გამცილებლები მომყვება.

ავტოსადგურის უფროსთან გავრბივარ. ვთხოვ, სიტყვა შემანოს. პლატფორმაზე გამოვდივართ, საიდანაც რამდენიმე ნუთში ბორბლებზე შემდგარი ციხე უნდა დაიძრას.

-ააა, ეს? ეს არაფრით არ ავიყვანთ. მას გზაში ოსური „ომონი“ მიაცილებს. ხედავთ, მანქანას როგორი ნომრები აქვს? ინგუშეთის. ოსეთში გავლა არ შეუძლიათ. ხალხს კი სახლში უნდა წასვლა. ეს ჯეირახია...

ჯეირახი! სმენა და გული ერთად გამეპო... ისე მომინდა გავიარო მთელი გზა, ოსეთის გავლით, მაღალმთიან სოფელ ჯეირახამდე, სადაც ინგუშები ცხოვრობენ.

გამოდის, ომი ჯერაც მიდის. გრძელდება.

უკანასკნელი მგზავრი ადის ავტობუსში. მკაცრ კონტროლიორს ბილეთს აჩვენებს. პატარა, გისოსიანი ფანჯრებიდან მოჩანს მდუმარე სახეები. მოხუცების, ქალების, ბავშვების. ავტობუსი ფეთქებადსაშიში ნომრით ოსეთისკენ მიემართება. ჯეირახი... ჯეირახი... ზამთრის მანძილზე რამდენჯერ გაჟღერდება ამ ადგილის დასახელება ტელევიზორში: აფეთქდა ჯარისკაცებით სავსე მანქანა... დაილუპნენ ადამიანები... ჯეირახის გზაზე პროვოკაცია მოხდა...

თუ ცოცხალი ვიქნები, ერთი წლის შემდეგ ამ გზას გავივლი. თუ ცოცხალი ვიქნები.

ჩერმენს გავდივართ, ოსებისა და ინგუშების ბრძოლის ადგილს. ჩერენი ქალი ითხოვს, იმ ავტობუსამდე მივიყვანო, რომელიც ვლადიკავკაზში მიდის. სანამ მგზავრები იკრიბებიან, დისპუტს წინ რა უდგას.

-არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ოსები ნორმალური ხალხია, - ამბობს ხანშიშესული ქალი.

- სომხები არა? - წამოენთო მეზობელი.
- მე სხვებზე ცუდი არაფერი მითქვამს. უბრალოდ ვამბობ, რომ ჩვენ, ოსები, ნორმალური ხალხი ვართ...
-გამოდის, ინგუშები არანორმალურები ვართ?
სიტუაცია იძაბება. დაძაბულობა ავტობუსში ამოსულმა მამაკაცმა მოხსნა. ის ფართოდ იღიმება და ამბობს:
-ოფიციალურად გიცხადებთ ყველას: ქვეყნად ყველაზე უკეთესები ჩეჩნები არიან!
კაბინიდან მძღოლის ხმა ისმის:
- ქალბატონებო და ბატონებო! რა ხმაურია? ა-ა, დისპუტი ეროვნებებზე? ყურადღება! ვაცხადებ: ყველა ერი ერთნაირია. ესაა, არსებობენ ცალკეული კერძო ინდივიდუალებიც.
ცალკეულ, კერძო ინდივიდუალად ყოფნა აღარავის სურს. ყველამ უცებ გაკმინდა ხმა. მხოლოდ ჩეჩენმა ქალმა გაბედა კამათის შეჯამება:
-როგორც დიდი ყაზახი პოეტი ბულატ ოკუჯავა ამბობს - ყველა ერს ჰყავს ცალკეული ადამიანები. ამაზე შეთანხმდნენ.
წინ ვლადიკავკაზია. იქვე - ჯვრის უღელტეხილი. და თბილისი — ჯერაც ყველა ენაზე მოსაუბრე.

საზღვარი

ფულს ვითვლი. გადავწყვიტე, თბილისი-მოსკოვის ავტობუსით წავიდე. ბილეთი დაახლოებით სამოცი დოლარი ღირს. ოთხ დეკემბერს გადავიდვარ. ზამთარია.

ჯერ კიდევ ყაზბეგიდან იწყება საბაჟო მღელვარება. ნაბრძანებია — ყველა მამაკაცი ჩამოვიდეს და სახელოები დაიკაპინოს. ნარკომანები უნდა გამოავლინონ. მამაკაცები ბრუნდებიან. ანი მოსკოვამდე არ შენყდება კამათი ადამიანის უფლებებზე.

ყოველ საპოლიციო და საბაჟო ხიდს თავისი დროშა და გერბი აქვს. ვინც საზღვარი უნდა გადაკვეთოს, მათ ჩრდილქვეშ უნდა იწვინოს ძარცვისა და აბურღად აგდების მთელი სიმშვენიერე. დიდი საერთო ქვეყნის სინდრომი ჯერაც ცოცხლობს ჩვენში და საზღვართან ყოველ ჯერზე გახსენებს თავს. ჩვენ კიდევ გვეჩვენება, რომ ეს სულელური თამაშები, ერთ დღესაც, დამთავრდება და ჩვენ ისევე ისე ვივლით ერთმანეთთან, როგორც ადრე. არადა, არა! ყველაფერს სერიოზული იერი აქვს, ჩანს ასე ხანგრძლივად გაგრძელდება.

მე პატარა ქართველი ბიჭი მყავს მობარებული სამეურვეოდ. დედა საქართველოშია, მამა - მოსკოვში. ბავშვს საბუთები დაეკარგა. შედგენილია რალაც ცნობები, მილიციამ თავისი შუამდგომლობა დაწერა.

მთხოვეს, მოსკოვამდე ჩასვლაში ბიჭისთვის დახმარება აღმოემჩინა. მე დაუფიქრებლად დავეთანხმე.

ქართული საგუშაგო საკმაოდ უზრუნველად, თუმცა, არც მთლად ნერვების მოშლის გარეშე, გავიარეთ. რუსეთის საზღვარი ახლოვდება. მშობლიური მესაზღვრეები. მათი ღირებულებები ჩემთვის ცნობილია. პასპორტში 50 ათასი უნდა ჩაიდოს და საზღვარს გადადიხარ.

უფრო ადრე, ოქტომბერში, მქონდა სულელური მცდელობა - გამერკვია ადამიანის უფლებები საზღვრის გადაკვეთისას. მესაზღვრემ სტენდთან მიმიყვანა, რომელზეც რალაც განკარგულება ეკიდა, ნახევრადგადაშლილი ასოებით. მესაზღვრის მტკიცებით, იქ ენერა, რომ რუსული პასპორტით რუსეთში შესვლა შეიძლება, საქართველოში - არა, ხოლო ქართული პასპორტით საქართველოში შეიძლება შესვლა და რუსეთში - არა. გაუგებარია, ასეთ პირობებში, საავტობუსო მიმოსვლა როგორ უნდა ხორციელდებოდეს.

ბედის ირონიით, სწორედ ამის წინ, დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირზე სიტყვიტო ის პრემიერ-მინისტრი გამოვიდა, რომლის ხელმოწერაც ამშვენებდა სხენებულ განკარგულებას. მისი გამოსვლა სწორედ საზღვარსა და საბაჟოს შეეხებოდა. ვიქტორ სტეპანეს ძე გვარწმუნებდა, რომ მას საზღვრის არც ერთი ბოძი არ ავიწყდება. ცბიერია ჩვენი სტეპანიჩი. ან, შეიძლება, უბრალოდ, არ იცის, საზღვარზე რაც ხდება.

ერთი სიტყვიტო, ამ ჯერზე, მესაზღვრეებმა ჩვენს ავტობუსს გამოცდილი მზერა შეავლეს და გადაწყვიტეს, ექვსი მილიონი რუბლის ხარკი აეკრიფათ.

ჩვენს შორის იყვნენ ასაკოვანი და ავადმყოფი ადამიანები, რომელთაც ზედმეტი თანხა არ გააჩნდათ. ის ადამიანები, რომლებსაც ფული საერთოდ არ ჰქონდათ, ჩვენგან უკვე განთესეს. ლტოლვილი ქალი დმანისიდან სტავროპოლში მიდიოდა ქმართან ისე, რომ რუსეთში მიწერა ვერ მოასწრო. კაპიკიც არ ჰქონდა. ის გაცეცხლებული ჩამოხტა ავტობუსიდან. ისე, რომ თავისი ცალი, საკმაოზე მეტად გაცვეთილი ფეხსაცმელი, ავტობუსში დარჩა...

სანამ ფულს კრებდნენ, ჩემი სამეურვეო ბიჭუნას ამბავი ირკვეოდა. აქვს თუ არა მას საზღვრის გადაკვეთის უფლება. ამ დროს გამოვჩნდი მე, ჩემი, როლან ბიკოვის ფონდის მიერ გაცემული, შუამდგომლობით. ახალგაზრდა მესაზღვრე სასწრაფოდ აორთქლდა. რამდენიმე წუთში მეორე გამოვიდა, გაცილებით უფროსი. ის მიცხადებს, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, მოქალაქეებს, რომლებსაც რუსეთის ჩანერა არა აქვთ, რუსეთის საზღვრის გადაკვეთის უფლება არ გააჩნიათ.

- თქვენი ავტობუსი თბილისში გაბრუნდება.

მძლოლი დიმა, რომელსაც ექვს მილიციელთან თითქმის ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა, დამწუხრდა:

- მე ხომ გთხოვეთ, ელვირა ნიკოლაევნა, არ გაგვეზურებინათ...

ავტობუსი დაიძაბა. ქვები ჯერ არ უსვრიათ. დიმა მსაკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ საზღვრის გადაკვეთის მთავარი პირობა ჩემი ავტობუსში არყოფნა იქნებოდა. მე, რომელსაც რუსეთში შესვლის აბსოლუტური უფლება გამაჩნდა, ავტობუსი უნდა დამეტოვებინა. ასეთი იყო მესაზღვრეების მოთხოვნა.

ავტობუსიდან ჩამოვდივარ, ყრუ კავკასიურ წყვილად შერჩენილი. საზღვარი ღამის ათ საათზე იკეტება. დილის ექვსზე გაიხსნება. თერგი შმაგად ღრიალებს. ტალღებს კლდეს ახეთქებს და მის შემხედვარეს ისეთ არარაობად გეჩვენება შენი ეული არსებობა, მით უფრო - მესაზღვრეთა გმირობა.

აი, დარიალის ხეობაში ვარ. ეული. ღამეა. ქარი სამოსს არ მიჩერებს. სიბნელეს თვალს ვაჩვევ. „კამაზების“ გრძელი ქარავანი აღმოვაჩინე. ეს რუსი სამხედროები მიდიან ბენზინის წამოსაღებად. ისინი არ გაატარებს. მთელი ღამე აქ იქნებიან. კოლონის უფროსი დაუზოგავად ივინება. ეტყობა, კარგადაა შემთვრალი. ჯერ ერთ „კამაზს“ ვუკაკუნებ, მერ - მეორეს. როგორც იქნა, ერთ-ერთი მძლოლი კაბინაში მიშვებს. თბლისეული სომეხია, რუსეთის ჯარში კონტრაქტით მსახურობს. კაბინა მხოლოდ მაშინ თბება, როცა მოძრაობ. ვცდილობთ დასასვენებლად მოვენყოთ. მე უფრო კომფორტული ადგილი მეთმობა. მძლოლი, ალბერტი, მამშვიდეებს, რომ ის საჭეზე თავმიდებულად ძილსაა შეჩვეული. „კამაზის“ სავარძელზე გადაწოლილი ვხედავ, თუ როგორ იწვევენ ჩემსკენ ვეებერთელა ქვები. ეს, აპობენ რა ღამის წყვილად, თავიანთ უხმო დიდებაში გამოდიან თეთრი სალი კლდეები. არავითარი ფილოსოფიური აზრი არ მომდის. მხოლოდ ერთ სანყალი ნოტა ხმიანდება ტვინში: „რამდენი შეიძლება გაგრძელდეს ჩემი სულელური მოგზაურობა კავკასიაში? სად არის ჩემი ავტობუსი? სადაა ჩემი ნივთები? სადაა ჩემი სამშობლო და მაქვს კი იგი საერთოდ?“

ალბერტი საათს დაჰყურებს. ათ წუთში საზღვარი დაიკეტება. მას ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ჩემი ავტობუსი დღეს საზღვარს ვერ გადაკვეთს, ხვალ კი მესაზღვრეების ახალ ცვლასთან მექნება საქმე და მე გადავალ ჩემი სასწაულებრივ, ვრცელ სამშობლოში. მაგრამ ჩვენი ავტობუსი, რომელსაც ყველა დროისა და ხალხის უდიდესი დიპლომატი დიმა მართავს, სხვა მანქანებს უკან იტოვებს და მძიმე სვლით შორდება საქართველოს საზღვარს. კიდევ წუთი და ის რუსეთში იქნება.

და აქ მახსენდება, რომ მე ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვარ და რუსეთის პასპორტით საზღვრის გადალახვა შემიძლია. გამალებული მივექანები

სასაზღვრო საგუშავოსკენ, სადაც ორი გამტყვერალი რუსეთის დამცველი მხვდება. ერთ-ერთი მათგანი მეორეს უყვირის:

- მიდი, დედიკუნას ორგანიზება გაუკეთე!

ეს მე მეხება, მე უნდა გამიკეთონ „ორგანიზება“. გაღეშილი მესაზღვრე მიახლოვდება, ავტომატს მოუქნელად და მძიმედ მოათამაშებს. შლაგაუმი იხურება. მე რუსეთს გარეთ ვრჩები.

ალბერტი ცდილობს, დამანყნაროს. ოჯახური ნამცხვრით მიმასპინძლებს. მომითხრობს თავის ოჯახზე. საუბარი რაღაც სერიალზე გადააქვს.

გააფთრებული თერგი ნთქავს ჩვენს სიზმარმორეულ საუბარს და დილის ექვსი საათისთვის საზღვარს გადავივივართ. ჩვენ, ე.ი. რუსი სამხედრო მოსამსახურეების კოლონა, რომელიც ბენზინის წამოსაღებად მიემართება. მთელი ღამე დავკარგეთ. ახალგაზრდა მესაზღვრე ცდილობს, გაარკვიოს, როგორ მოვხვდი „კამაზში“. ნუთუ ჩემი პასპორტი არგუმენტი არ არის? ეს ბასაევები და რადუეეები როგორ ახერხებენ ნეტა საზღვრების გადალახვას?

ჩემი ძალები ამონურვის პირასაა. მესაზღვრე ამას მიხვდა. ალბერტთან ერთად მივივივარ ნალჩიკისკენ. იქ ღმერთი რამეს მისაშველებს...

-თქვენ აქეთ-იქით გაიხედეთ. იქნებ ავტობუსი დაგელოდათ? - მეუბნება ალბერტი.

-რას ლაპარაკობთ, რომელი ავტობუსი! ბევრი მგზავრი იმ ანგარიშით მიდიოდა, დადგენილი დროისთვის მატარებლისთვის მიესწრო. რვა საათი ხომ არ დამიცდიდნენ...

არა! არ შეეძლოთ! მორჩა, არსადაც არ ვიხედები.

ალბერტი სიჩქარეს ანელებს. რუსეთის საზღვრიდან ხუთასიოდდე მეტრში გვერდზე მიმდგარი ავტობუსები თვლემენ. ჩვენი ავტობუსის ნომრები არ ვიცი. საერთოდ არაფერი არ ვიცი ამ ქვეყანაზე. გული გამშამაგებით მიცემს. ვინ იცის...

სასაცილოა, წარმოიდგინო, რომ ოცდაათზე მეტი ადამიანი დგას და უცდის ეულ რუსს - შერეკიდ ქალს, რომელიც ყველას უსიამოვნებებს ჩუქნის, მხოლოდ იმიტომ, რომ აქვს სულელური ჩვევა: ცხვირი ჩაჰყოს იქ, სადაც არაფერი ესაქმება.

ალბერტი ამუხრუჭებს... არც არავინ მინახავს, ისე ჩამოვივივარ „კამაზის“ მაღალი საფეხურიდან და ვგრძნობ, რომ ვილაც ხელებს მახვედრებს. რბილი ქართული აქცენტი:

-სად ხარ ამდენი ხანი, გიცდით.

ეს ძველი მძლოლი, ჩვენი ღიმას მენყვილე, უკვე გზაზე დგას და მელოდება.

მთელს ავტობუსს სძინავს. ჩემი თანამგზავრების საყვედურების ში-

შით თავკვივით ვისუსები კუთხეში. უხერხულად სძინავთ მოხუც ადამიანებს. პატარები დედ-მამის ხელებზე მოკალათებულან, ღრმად სძინავთ ახალგაზრდებს. სძინავთ, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

კიდევ სამი დღე-ღამე გვინევს მგ ზავრობა. ერთხელაც არავის შეუხსენებია ჩემი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ მოსაწონი საქციელი. მაშინაც კი, როდესაც ავტობუსი რვა საათის დაგვიანებით ჩავიდა როსტოვში და მგ ზავრებს ცივ, თოვლჭყაპიან ღამეში მოუწიათ ჩასვლამ, არავის გახსენებია რუსის ქალი, რომელმაც ასე არივ-დარია გრაფიკი.

გვიან ღამით შევდივართ მოსკოვში. ცეცხლად აალებული ღამის დედაქალაქი თავისკენ გინვევს და გაჯადოებს, როგორც გინვევს და გაჯადოებს მირაჟი უდაბნოში.

შელკოვსკის ავტოსადგურში ღამის სამ საათზე შევდივართ. სადგურის კარები ყრუდ არის ჩაკეტილი. ორ ასიათასიან კუბიურას ვიღებ და დიმას ვუნვდი, თან იმ უხერხულობაზე ვლულულუღებ რალაცას, რომელიც ყველას შევეუქმენი.

ულამაზესი დიმა ელეგანტური ჟესტით იშორებს ჩემს ხელს და ამბობს:

- რას ამბობთ? ჩამობრძანდით თბილისში. ყოველთვის გავგვიხარდება.

სადგურში თავის ნაცნობს პოულობს, ჩემი ნივთები მის მანქანაში გადააქვს. დამშვიდობებისას კი ამბობს იმას, რაზეც სამი დღე-ღამე ღუმდა ყველა:

- თქვენ ერთი ადამიანის დახმარება გინდოდათ. ისე გამოვიდა, რომ სხვები ჩავარდნენ ცუდ დღეში. ჩვენ ვიცოდით, რომ ამას განიცდიდით. ყველანი გელოდებოდით. მინდა, იცოდეთ ეს.

ტრემლები მახრჩობს. უცებ იშვა ცელქი აზრი: რა იქნება, იმავე ავტობუსით დავბრუნდე უკან, თბილისში?!

დავბრუნდე კავკასიაში, სადაც, რაც არ უნდა გავიჭირდეს, ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, ვისთანაც არ დაიკარგები.

დავბრუნდე ამ ეროვნებებისა და ეთნოსების, ასობით ენისა და კილოკავის მოთუხთუხე ქვაბში, სადაც ხდება წინაპრების ადათისა და დროის სრბოლის საოცარი შეხამება. სადაც არის მედგარი და საბედისწერო დაპირისპირებაც და პირველყოფილი წყურვილიც სიმშვენიერისა და ჰარმონიისა.

შევიდე პირველ შემხვედრ სახლში და შევიძინო ძმა და მეგობარი. მე არ გემშვიდობები, კავკასია!



გამოცემაზე მუშაობდნენ:

ალლა გამახარია (პროექტის დირექტორი)

მერი ბელაშვილი (პროექტის კოორდინატორი)

ლალი შენგელია (რედაქტორი)

არჩილ წირღვაპა (თარგმანი რუსულიდან)

ლია კოსტაპა (დიზაინი)



მისამართი: ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. №6

ტელ.: (+995 31) 7 29 02

ფაქსი: (+995 31) 7 13 68

ელ. ფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ. გვერდი: www.fundsokhumi.ge

